

652 |  
1975/3

041363-4  
303-000000000000



# ନୀତିପତ୍ର

ଅନ୍ତର୍ମାସିକ

ଅଧିକାରୀ ଏତୋରୁଙ୍ଗ ଓ ମନ୍ଦିରମଣି

3

ଅଧିକାରୀ, ପରିଚୟ

୧. ଶର୍ମିଳୀ — ପାତରେଣ୍ଡି ଆରଜିବ୍ସ

ମାଧ୍ୟମିକା ବ୍ୟୋଲା . . . . . 5

୨. କୌଣସି — ଲେଖକୀୟିତା . . . . . 8

୩. କାବ୍ୟାଳ୍ପିତା — ପାତରେଣ୍ଡି, ମନ୍ଦିରମଣି-

ଲାଲିତା ମନ୍ଦିରମଣିକା . . . . . 13

୪. ପ୍ରଦୀପକାଳୀ — ବ୍ୟୋଲିଟିକିଲ୍ସ

ମାଧ୍ୟମିକା ବ୍ୟୋଲା . . . . . 40

୫. କାବ୍ୟାଳ୍ପିତା — ପାତରେଣ୍ଡି ବାନ୍ଦରି

ମାଧ୍ୟମିକା ବ୍ୟୋଲା . . . . . 48

ପରିଚୟ

୬. ପାତରେଣ୍ଡିକାଳୀ — ରୂପେତାଳ

ମାଧ୍ୟମିକା ବ୍ୟୋଲା ବ୍ୟୋଲାକାଳୀ ବାନ୍ଦରି

ମାଧ୍ୟମିକା ବ୍ୟୋଲା ବାନ୍ଦରି ପାତରେଣ୍ଡିକାଳୀ . . . . . 79

୭. ପାତରେଣ୍ଡିକାଳୀ — „ପାତରେଣ୍ଡି ବ୍ୟୋଲା

ମାଧ୍ୟମିକା ବ୍ୟୋଲା ବାନ୍ଦରି ବାନ୍ଦରି ଏବଂ

ମାଧ୍ୟମିକା ବ୍ୟୋଲା ବାନ୍ଦରି ବାନ୍ଦରି . . . . . 87

ବାନ୍ଦରି ଏବଂ ପାତରେଣ୍ଡି

୮. କାବ୍ୟାଳ୍ପିତା — ମନ୍ଦିରମଣି କାଲୋ-

ମନ୍ଦିରମଣିକା . . . . . 95

୧୩/୧୬

ଲୀଠିଲାତିଶୀଳୀ-ମେହତିବିଳୁଳି ଏବଂ  
ଶାଖଗିରାଇନିକିଟ-କାନ୍ଦିଲିତିକିରି  
ଶୀରନାଙ୍କି

ପାତରେଣ୍ଡିକାଳୀ ପାତରେଣ୍ଡି  
ମାଧ୍ୟମିକା ବ୍ୟୋଲା ବାନ୍ଦରି ଏବଂ  
ମାଧ୍ୟମିକା ବ୍ୟୋଲା ବାନ୍ଦରି  
ମାଧ୍ୟମିକା ବ୍ୟୋଲା ବାନ୍ଦରି

୧୯୭୫ ଜାନୁଆରୀ — 1975

ପାତରେଣ୍ଡି-କାବ୍ୟାଳ୍ପିତା

හටදාකම්තෙරු ආ. ජොන්ඩ

සාරචදාකඩො කෝඛේගඹ:

ආ. ඇංග්‍රීසියානු

ඇ. ජාත්‍යන්තර (ඇ/තහ ගණවානු)

ඇ. දැඩිජිත්

ඈ. තාප්‍රාග්‍රෑහිතයානු

ඉ. තාප්‍රාග්‍රෑහිතයානු


රුදාක්ෂී මිසාමාර්ගය: තාතුමි, ග්‍රැන්ඩ්සිස් අ. № 21.  
උළුවෙනු — 33-71.

කේලම්පුරුහිලා දාසඡ්‍රේදාල 12.8.75. සාජ්‍යදා 6, සාගාමියුම්ලා 5 තාත්‍යා.  
ඡ්‍රැන්ඩ්සිස් № 2994, ග්‍ර. 01234, ජාලාලදිස් තොමා 60X90<sup>1/16</sup>, උරුමා 2.040.

\* \* \*

සාජ්‍යත්වෙලන් සිර මිනිස්ත්‍රිත සාජ්‍ය දුපුලුව සිතුවා සාජ්‍යත්වෙලන්  
ක්‍රමිත්‍රියා මතාවාර්තනාලියාජ්‍යෙන් තාතුමි ස්ථානය № 9  
(ලුෂ්සේම්බූරුගාස්, 20).

අභ්‍යන්තර ජ්‍යෙෂ්ඨ-ජාත්‍යාගාර සාමෘහික මණ්ඩලය



## დიდი გნერალი და მოაზროვნე

აღარ გვყავს კონსტანტინე გამსახურდია — „დიდოსტატის მარჯვენის“, „დავით აღმაშენებლის“, „მთვარის მოტაცების“ და სხვა ეპოქალურ ნაწარმოებთა ავტორი, რომელმაც ქართულ პროზას, ქართულ მწერლობას სამთელქვეყნოდ გაუთქვა სახელი და გვაჩიარა მხატვრული აზროვნების ახალ მასშტაბებსა და განზომილებებს, თვალშეუდგამ სივრცეებსა და სიმაღლეებს.

კონსტანტინე არსაკიძის, დავით აღმაშენებლისა და თარაშ ემხვარის მხატვრული ცხოვრების მიმწუხრის სურათებმა ჩვენი სული ახლა უფრო შესძრა, როცა მათი შემოქმედი მეფეურად მიიცვალა და კოლხური კოშკის სანახებში ჰპოვა სამუდამო განსასვენები.

დიდი ისტორიული ქართეხილებისა და რევოლუციური გარდაქმნების ხანაში, თითქმის ექვსი ათეული წლის მანძილზე კონსტანტინე გამსახურდია შეუდრევლად იდგა ჩვენი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში, თავისი ტიტანური შრომითა და უებრო ნიჭიერებით ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი მხატვრული კულტურის, ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ განვითარებასა და გამდიდრებას.

იგი ეკუთვნის იმ დიდ ადამიანთა მცირე რიცხვს, რომლებმაც თავი-ანთი ნამოღვაწარით კიდევ უფრო აამაღლეს მშობელი ერის ღირსება, წა-რმოაჩინეს მისი საუკეთესო თვისებები და შორს გაუთქვეს სახელი ქარ-თველი ხალხის შემოქმედებით გენის.

ამ სოფლად მოსვლას რა ფასი აქვს, თუ იგი ისეთივე დასტოვე კაც-მა, როგორიც შენამდე ყოფილაო, ამბობდა დიდი მწერალი და ჭირსა თუ ლხინში მუდამ მხარში ედგა ახალი საზოგადოების მშენებლებს, ხიტყვა-სთან გოლიათურ ჭიდილში ქმნიდა ხალხის გმირული შრომისა და ბრძო-ლის მხატვრულ მატიანეს.

თანამედროვეობა იყო მისი მთავარი თემა და საზრუნვი. დიდი ის-ტორიული ტილოები წარსულისთვის როდი შექმნა. აკი თვითონ ბრძანა: „ყველაფერი, რაც შემიქმნია ჩვენი ერის სახელოვანი წარსულის საღი-დებლად, განკუთვნილია ჩემი ხალხის დღევანდელი დღისა და მისი მოშა-ვლისათვის, რომლის მედაფდაფედ და მეაბჭრედ მომაქვს კიდევაც თა-ვიო“.

კონსტანტინე გამსახურდია ხმალამოწვდილი იბრძოდა პროვინცია-ლიზმისა და კუთხურობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, მთე-ლი მისი შემოქმედება შთაგონებულია ჩვენი ერის მტკიცედ შეკავშირე-ბა-შედუღაბების, ხალხთა ურყევი მეგობრობის, ქვეყნად სიყვარულის, სიკეთისა და მშვენიერების დამკვიდრების პათოსით.

ქართველი ხალხი გულისტკივილით გამოეთხოვა თავის სახელოვან-შვილს, დიდ მწერალსა და მოაზროვნეს. ეს გულისტკივილი გაიშიარა მთელმა საბჭოთა მწერლობამ, რომლის ერთ-ერთი ბურჯი იყო კონსტან-ტინე გამსახურდია.

ამიერიდან ეს სახელი ისტორიის კუთვნილებაა.

ნათება პდენი

## გვივრენი პრეზენტაცია

დეკემბრის სუსტიანი დღე იყო. დილიდანვე კოკისპირულად წვიმდა. დღის შეორე ნახევარში წვიმაში თოვლის ფანტელებიც გაერია. მე და ჩემი და სიხარულით ცას ვეწიოთ.

დედა ცივ, ჩამუქებულ ცას შიშით შესცემოდა. ვაითუ მოთოვა, ხმამაღლა აღმოხდა ნაფიქრალი და ცივ ღუმელს გახედა, სადაც სამად სამი ლერი შეშა იდო, შავი ღლისათვის შემონახული.

სამივენი ცას შევცემოდით, ჩენ, სიხარულით, რომ საახალწლოდ გუნდაობით ვიჯერებდით გულს, დედა შიშით... გვიყვირდა კია რად ეშინოდა დედას ასე თოვლის...

ცოტაც და კარს მოგვადგებოდა 1943 წელი. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა დროის ქორონიკონს, მოდიოდა ახალი წელი და ახალი წლისაგან უფრო გემრიელ სუფრას ველოდი, ეს იყო და ეს.

ნეტა დღეს იყოს ახალი წელი, ვინატრე და ნერწყვიც მომადგა. თითქოს ეშმაკები ჩამიძევრენო მუცელში, ნეტა რა არ ინატრეს, რა არ ინდომეს, ლამის გადამრიეს. ის იყო უნდა მეყვირა, დედა მშია, რომ დედა ჭერ მთელი ტანით მოგვეყრდნო; მერე ჩაცურდა და იატაკზე დაეცა.

ვიღას ახსოვდა შიში ჩასახლებულიყო ჩემს სულში, ასჭერდა ათასჯერ შიმშილზე უარესი, დედა უკვე თვალგახელილი იწვა ლოგინზე, მაგრამ მე და ჩემს დას ძალი დაპალუბით ჩამოგვდიოდა ცრემლები.

ეზოში ვიღაცამ დაიძახა — ზღვაში აუარება თევზი დაუჭერიათ და მთელი სანაპირო ფელუკებითაა სავსე! — ამის გაგონება და გარეთ გამოვარდნა ერთი იყო. სანახევროდ ძირგაცრეცილ ვეღროს რახარუხით მივარბენინებდი სანაპიროსაკენ.

სანაპიროსთან აუარება ხალხი ირეოდა. ვის რა ეჭირა ხელში და ვის

რა. — გადით იქეთ, გადით! — ყვიროდნენ მენავეები და შემსეულ ხალხი  
ძლიერ ამაგრებდნენ. მე ამ ხალხში რისი იმედი უნდა მქონდა, ვიდეს  
განზე და ველოდი რა მოხდებოდა შემდეგ. მერე ვიღაცა კაცი, რომელსაც  
მეზღვაურის ფორმა ეცვა, მივიდა ბოლო მენავესთან და რაღაც უთხრა.  
მენავე ნავის კოფოზზე შედგა და დაიძახა, — ხალხნო აქეთ მოდექით, მხო-  
ლოდ რიგი, რიგი უნდა იყოს, თორემ არაფერსაც არ მოგცემთ! ეს ერთი  
ნავი თქვენი საახალწლო ფეშვაში იყვეს.

ხალხი ერთი წამით ერთმანეთში აირია და ახლა იმ ბოლო ნავს მიაწ-  
ყდა. — მასე არა, არა! — ყვიროდა მენავე, — თუ რიგს არ დაიჭერთ  
არაფერსაც არ მოგცემთ!

ხალხი ჯერ სულაც არ აპირებდა გაშლას, მერე როცა მიხვდნენ არა-  
ფერი გამოუვიდათ ამ „უცხვირპირო“ მენავესთან, როგორც აქა-იქ აჩურ-  
ჩულდნენ, რიგი ზლაზვნით გაიშელა.

ზღვაურმა დაუბერა, ქარმა მიმართულება იცვალა და თოვლჭყაპი  
პირდაპირ ცხვირპირში შემომაყარა. ახლა შიმშილთან ერთად სიცივეც  
ჩამისახლდა მუცელში და საშინლად ამტკივდა. მაგრამ დახეთ, შიმშილმა  
ისე დაჯაბნა სიცივე, რომ ადგილიდან ფეხი არ მომაცვლევინა და ვედრო-  
თი პირდაპირ სანაპიროსთან ჩავიმუხლე. ტალღები ჯიბრზეო, ზედ ფეხე-  
ხებთან მიხტებოდნენ და ისედაც სველ ფეხებზე ქაფიან. ნაპერშეკლებს მა-  
ყრიდნენ.

ახლა დედასთან თბილ ლოგინში ჩამსვა, — ვინატრე და თითქოს მო-  
მესმა კიდეც, რავა გაყინულხარ შვილო, გამოიქცი ჩქარა! წამოდგომა  
ვდადე, მაგრამ გათოშილმა ტანი ვეღარ დავიმორჩილე.

— შენ აქ რა გინდა, — თავზე დამადგა ლაბადა მოხვეული კაცი, მე-  
რე ჩემი ვედრო იმ მენავეს გაღააშოდა, — აბა გაიქცი სახლში, მითხრა  
და სავსე ვედრო მომაწოდა.

შიმშილი და სიცივე უცებ იბარგნენ ჩემი სხეულიდან, კი არ აიბა-  
რგნენ, წამით მიყუჩდნენ, რადგან მათზე ძლიერმა დაისადგურა ჩემს სუ-  
ლში.

კი არ მოვდიოდი სანაპიროდან, მოვფრინავდი, მინდოდა ჩქარა მივ-  
სულიყავი სახლში, მაგრამ ისედაც დამძიმებულ სხეულს საღ შეეძლო ამ  
სასიამოვნო ტვირთის ჩქარა წაღება.

საღვურს გავცი თუ არა, ჩემი სახლი ორი ქუჩით დამიახლოვდა.  
ერთერთ ფარდულს შევაფარე თავი და რკინის სახელურზე ჩამოვისვენე.

ამ დროს ძალზე მაღალი, ჭაღარა კაცი მომიახლოვდა, ჩემს წინ შეჩე-  
რდა, ჯერ მე ჩამათვალიერა, მერე წვრილი თევზებით სავსე ვედრო, —  
შორს ცხოვრობ? მკითხა მან.

— არა ძია, — აი იმ ორ ქუჩას გაღავალ და იმ მესამის დასაწყისში  
ჩემი სახლია.

— წამოდი, მეც იქეთ მივდივარ, — მითხრა და ვედრო ბუმბულიგან  
აიტაცა. ნეტავი ასეთი ღონიერი ვიყო, ვინატრე და უცნობი მსრუბაშიდე  
ავათვალიერე. მერე მზერა ფეხებზე გადავიტანე. ცალი ფეხი კალოშებში  
ჩაეყო, მეორე ფეხის ნაცვლად მრგვალ რკინას მოაკაკუნებდა.

უცებ ხელიდან პატარა კასრი გაუვარდა და ხმაურით გაგორდა. წამით  
შეჩერდა, — ამას მე წამოვიდებ, ვთქვი და დავწევდი — ჰო, კარგი, თქვა  
და გზა განაგრძო.

ისედაც მოქუფრულ ცას ბინდი ჩამოაწვა. უკაცრიელ ქუჩას ეტლის  
ტლაშუნი შეეხმიანა და მიყუჩდა.

ჩემი სახლის ფანჯრებს სანთლის მყრთალი შუქი ელაციცებოდა.

— მე აქ ვცხოვრობ ძია, — ვთქვი წყნარად და ჩემი სახლის ფანჯრე-  
ბი დავანახე.

— ჰოო, კარგია, — თქვა მან და ვედრო დადგა. მე ვერ მივხვდი რა  
იყო კარგი, აქ რომ ჩემი სახლი იყო, თუ რომ მოვედით.

— გმადლობთ ძია, — ვუთხარი და ცარიელი კასრი გავუშოდე.

— ნახვამდის! — მითხრა ისე, რომ არც მოუხედავს და გზა კა-  
კუნით განაგრძო.

ერთხანს გაკვირვებული შევცემეროდი ამ ჯმუხა კაცს, რომელსაც ასე  
განიერი მხრები ჰქონდა და აფრიალებულ შინელში რატომღაც გაფრე-  
ნილ არწივს მავრნებდა.

მერე... მერე... სირბილით დავედევნე, — ძია თქვენ სანაპიროდან მო-  
დიხართ? — მან გაკვირვებული თვალები შემომანათა და არაფერი თქვა.

ხელიდან გამოვტაცე თუნუქის კასრი, ვედროსთან მივირბინე, წვრი-  
ლი თევზებით პირთამდე შევავსე და წამსვე მასთან გავჩნდი. — ჩვენ  
ისედაც გვეყოფა, ვთქვი წყნარად და სახლში გავიქეცი.

ერთხანს თავისაქინდრული იდგა, მერე მოიხედა, იქ რომ ვერ დამინახა,  
შებრუნდა და გზას გაუყავა.

გული რალაცნაირი სიხარულით შემიტოკდა, ვერ გეტყვით რა ქვიო-  
და ამდაგვარ სიხარულს, მაგრამ ეხლა ვგრძნობ, რომ ეს იყო დათესილი  
სიკეთის სიხარულის ფეხსვი.

## ს პ ხ ს ო ვ რ ა დ ღ ძ მ ნ დ ე ს

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი  
გალაკტიონი

ზღვა, გემები, და თეთრი აფრები,  
მზე ლიანებს რომ სხივებს აქსოვდა,  
სახსოვრად გქონდეს ეს ყველაფერი,  
ეს ყველაფერი გქონდეს სახსოვრად.

მე ვიცი, უკვე აღარ მოშელის  
სამი მაისის მწვანე ფერდობა,  
სახსოვრად გქონდეს ლამე, რომელიც  
იყო და აღარ გნმეორდება.

სახსოვრად გქონდეს სადაც გაივლი  
გზები ჩავლილი, ღრო და მანძილი...  
თითო წუთი, ვით თითო ყვავილი,  
ხსოვნის თაროზე დადე განძივით.

ჩაქვის გზები და მყუდრო სალამო  
ატარე, როგორც აფრა გაშლილი,  
და ასე, ყველგან, დაუსაბამოდ  
ხსოვნის ყვავილი კრიფე ბავშვივით.

ის, რაც გითხარი და რაც არ მითქვამს,  
ისიც, რაც გითხრა პირველმა თოვლმა.  
სახსოვრად გქონდეს პოეტის სიტყვა,  
პოეტის გულის ღელვა და თრთოლვა.

აწ და მარადის, ყველგან, ყოველთვის  
 არ დაივიწყო თეთრი ალვები,  
 სახსოვრად გქონდეს შენი პოეტის  
 ტკბილი ღიმილი და მისალმება.

ზღვა, გემები და თეთრი აფრები,  
 მზე, ლიანებს რომ სხივებს აქსოვდა,  
 სახსოვრად გქონდეს ეს ყველაფერი,  
 ეს ყველაფერი გქონდეს სახსოვრად.

## რ ი ტ ა

რიშა — აფხაზთა ძველი ლეგენდა  
 და მოლიგლივე მწვანე კორდები,  
 დიდი ხანია გული გეძებდა,  
 მოველ გნახე და ველარ გშორდები.  
 რიშა — ლამაზი ოცნების ქალი,  
 მე და შენ ორნი და სხვა არავინ...  
 მომაბყარ შენი ცისფერი თვალი.  
 რომ შენს ნაპირთან დავსცე კარავი.  
 რიშა — მაღალი მთების მინდორი,  
 გარშემო მთები, როგორც ტაძრები...  
 მე აქ ქუხილით მოსვლა მინდოდა,  
 უხმოდ მოველ და ველარ გავძელი.  
 რიშა — ოცნების ცისფერი ბალე.  
 მისი კატარლა, გზა და მისნობა...  
 მე მინდა გული ზღვის ღელვას გავდეს  
 და სიყვარული მარადისობას.  
 მაღალი მთები ფერხულს უვლიან  
 ტბის გარშემო და ზეცა კამკამებს.  
 ზაფხულია თუ გაზაფხულია  
 ლამე რიშაში ჩაყრის ვარსკვლავებს.  
 მზე იძირება მთების გადაღმა,  
 საცაა ბინდი გაფენს ხალიჩას,  
 მარტო დავრჩებით მე და კატარლა  
 და რიშა სახლში აღარ გამიშვებს.  
 რიშა — ოცნების ცისფერი ბალე,

მისი კატარლა, გზა და მისნობა...  
 მე მინდა გული ზღვის ღელვას გავდეს  
 და სიყვარული მარადისობას.  
 რიშა... აფხაზთა მთების ასულო,  
 სხვა გუნება მაქვს ახლა სრულიად,  
 მე სახლში მიმაქვს შენი წარსული  
 და გულს გიტოვებ დიოსკურიად.

\* \* \*

აშირად მოხდება ამისი მსგავსი,  
 როცა ვშორდები საღმე გულითადს...  
 ჩემი ცხოვრება გავს გემის გასვლას  
 ყველაზე დიდი ნავსადგურიდან.  
 ფიქრის და ლელვის კორიანტელი  
 ქრუანტელივით დამივლის ტანში  
 და ვისმენ ძახილს, რომლის ანტენა  
 არასდროს არ წყვეტს მიწასთან კავშირს.  
 და მოაჯირზე დავაწყობ ხელებს,  
 გამხდარს და დაღლილს, თბილსა და მძიმეს,  
 შორიდან ვუმზერ პატარა ხმელეთს,  
 ყველაზე ძვირფასს განძსა და იმედს.  
 და ძალიან შორს წასული კაცი  
 მოველი ახალ შეხვედრის განცდას.  
 ვიცი, რა არის მგზავრობა მყაცრი  
 და თუ კი ზღვებზე ხიფათი ამცდა,  
 და თუ კი ზღვებზე მგზავრობა შევძელ,  
 მომენატრება თეატრი, კინო...  
 მე შემიძლია ვიფიქრო შენზე  
 და ყველაფერი წარმოვიდგინო.  
 მივდივარ და თან მიმაქვს ხმელეთი  
 და სხვა, რაც ზღვაზე არის საჭირო,  
 რომ პატარა და მძიმე ხელებით  
 დიდი იმედი გადავარჩინო.

„ნამძინარევი და ნამთრალევი,“  
 მაგრამ ზომაზე მეტად ფხიზელი,  
 ყველაფერს ხედავს ჩემი თვალები,  
 რაც მიწაზეა, ანდა მის ზევით.  
 არა, ისე, ვით უცხო კუნძული.  
 არამედ როგორც სანდო ნაპირი,  
 მე ყოველ წუთში ვარ დახუნძული  
 აღტაცებებით, მზით და აპრილით.  
 მივალ და ფიქრის ფარას მივდენი,  
 ვარ მდიდარი და თანაც ღარიბი.  
 მივალ და ფიქრის ფარას მივდენი  
 და თან უმდაბლეს სალაში ვარიგებ.  
 და მინდა ვიყო უფრო კეთილი  
 და უფრო მეტად იმედიანი.  
 მგონია მე ვარ გზავარედინი  
 სამყაროს ყველა მერიდიანის.  
 ჩემშია ყველა მთა და ტრამალი  
 და სივრცეების შორი კივილი.  
 ვისაც გსურთ, მე მაქვს ტკბილი წამალი,  
 რომელიც არჩენს ყველა ტკივილებს.  
 ნამძინარევი და ნამთვრალევი,  
 მაგრამ ზომაზე მეტად ფხიზელი,  
 ყველაფერს ხედავს ჩემი თვალები,  
 რაც მიწაზეა, ანდა მის ზევით.

### ხ ვ ა ლ

ყველაფერია ამ ერთ სიტყვაში,  
 ეს სინატიფე ყველა ქალშია  
 და ვეფერები ჩემს ჯიუტ ბავშვებს —  
 ამ ჩემს სიხარულს, დარდს და ხვაშიადს.  
 სავსეა გზები მზით და ეკლებით,  
 გზაზე ეცემა ჩრდილი ვეება.  
 შენი იმედი მუდამ მექნება,  
 ჩემი იმედით სავსე დღეები.

## 6060 ჭავშავაძეს

იყავი საგსე, სათნო, წარმტაცი,  
ბუღეშურები გეხატა გულთან.  
დუელში ვიწვევ ყველა ვაჟკაცებს,  
ვისაც კი შენი ღიმილი სურდა.

ვდგები და ვისხამ მოვერცხლილ ფარ-ხმალს,  
რა ვუყოთ, წლებმა თუ არ დაგინდო,  
უბრალოდ, მინდა იცოდეს ხალხმა,  
რომ სიყვარული ახლაც რაინდობს.

შენ ახლაც ისე იციმციმებდი  
შენი პოეტის პალმების ქოხთან.  
მინდა ჩავუკლა ყველას იმედი,  
ვისაც კი შენი იმედი ჰქონდა.

გავეჯიბრები ყაბახის რაინდს,  
მეც დავაფეთებ ღუნიბში ლეკებს.  
„ვაჲ, დრონი, დრონი“... იცვალნენ მაინც,  
ახლა სხვა დროის ზარები რეკენ.

აგერ მანანა,  
აგერ მაიკო,  
აგერ გრიგოლი,  
ტატოც აქ არი,  
მავრამ ვაი რომ შენ ვერ გაიგებ,  
რომ მეც ვარ შენი ერთი ამქარი.

იყავი საგსე, სათნო, წარმტაცი,  
ბუღეშურები გეხატა გულთან.  
დუელში ვიწვევ ყველა ვაჟკაცებს,  
ვისაც კი შენი ღიმილი სურდა.

ჯემაღ ჯაყიღი

## გონიერები, მასროლობი!

გათენებამ, სინათლის ზღაპრულმა სვეტმა, კარსტული გამოქვაბულის განათებამ გაამხილა ერთი ყველაზე დიდი და არასასიამოვნო საიდუმლო. ეს საიდუმლო კი მდგომარეობდა გამოქვაბულის უფსკრულიდან თავის დაღწევის ყველა შანსის საბოლოო განაღგურებაში.

სამწუხაროა!

„ნეტავ არ გათენებულიყო და არ დავრწმუნებულიყავი ამ ჯიუტ სინამდვილეში. ადამიანი იმედით ცოცხლობს. იმედის მოსპობა სიცოცხლის სიხარულს ძირშივე სპობს. რა ვჭნა ახლა მე? ფიქრები, სიცივე, შიმშილი და გარდაუვალი სიკვდილის ლოდინი... ლოდინი არა თუ ძვირფასი სტუმრის ან თუნდაც შვილის, არამედ... სიკვდილის“. ფიქრობდა გამწარებული შაქრო და გრძნობდა უცნაური ცეცხლის შემოყიდებას. ყურები უბუღუდა და სისხლის წნევისაგან თავბრუ ეხვეოდა. წუხდა. უცებ გადაწყვიტა დაევლო დანისათვის ხელი და სიცოცხლეს გამოსალმებოდა, — დაკრილი და განწირული მიბარბაცებულიყო უცნობი მესაზღვრის ჩოჩხან, გვერდით დაწოლილიყო და სული განეტევებია! მაგრამ თავბრუდა-ხვეულმა ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა და იქვე გონდაკარგული დაეცა.

ვინ იცის რამდენ ხანს იყო ასე.

უიხარივი თავისი არეული ფიქრებიდან გამორკვეულიყო და თვალებით ექებდა მის ერთადერთ იმედს და ხმის გამცემს. იქვე, გვიმრებზე მიწოლილი რომ დაინახა, გული და იმედი მიეცა.

\* დასასრული. იხ. „ჭორხხი“, № 3.

— გლეხო! — ხმადაბლა, ნახევრადჩურჩულით შეეხმიანა.

ძია შაქრო, გულწასული და გონდაკარგული ეგდო. უიხარიოვს ეგონა, ხმას არ მცემსო და უფრო ხმამაღლა დაუძახა.

— გლეხო!

ამაოდ, პასუხი ვერ მიიღო. გაბრაზდა და გასძახა:

— გლეხო!

არც ამ ნერვიულმა ძახილმა დაამშვიდა. ზლაზვნით წამოდგა, მიუახლოვდა და უთხრა:

— არ გვსმის? ბრიუვი რომ სხვას აბრიყვებდეს, ეს ჯერ არავის გაუგონია. აქ ხმის გაგონება ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე ტაიგაში დაკარგული კაცის ძახილი, ვიდრე ცოცხლად დამარხული კაცისათვის ერთი უბრალო ხმის გაგონება. თუნდაც ის იყოს ყველაზე სალანდლავი და შეურაცხმყოფელი.

გონდაკარგული შაქრო მაინც არ იძვროდა. თვალები დაეხუჭა და მთელ სიგრძეზე იწვა, ბაგებგამშრალი და გაფითრებული.

უიხარიოვს ეგონა აინუნშიაც არ მაგდებსო და წინ გადახრილმა ფეხზე ფეხი წაჰკრა. ამანაც რომ ვერ შეაშმუშნა ძია შაქრო, ლანჩხაამძრალა ფეხსაცხელი ფერდში ჰყრა. პირდალებულ ლანჩას ნიანგის კბილებივით წამოსჩენოდა დიდრონი ლურსმნები.

თითქოსდა ნიანგი იყოო, მოხვდა თუ არა, ტანსაცმელი „კბილებში“ მოიყოლია და ლანჩა მოულოდნელად „დაიკეტა“.

უიხარიოვმა ფეხი ვეღარ მოიდგა, დაბარბაცდა და დაეცა. მოტეხილი მელავი ქვას გაჰკრა და... ტკივილისაგან რომ დაიღრიალა, მერე აღარა ახსოვს რა. გონწასული გაიშხლართა მომავდავივით.

დიდხანს, დიდხანს ასე უცნაურად გადაჭაჭული ეყარნენ.

ხან გმინავდნენ, ხან ფშვინავდნენ. სიცოცხლის ნიშანი მკერდის ულიშლამო მოძრაობაზე ეტყობოდათ — სუნთქავდნენ. გონს კი ვერც ერთი ვერ მოგებოდა.

ბოლოსდაბოლოს, ეტყობა, ბურუსი ოდნავ დაილექა უიხარიოვის ცნობიერებაში, მაგრამ ლანდების ცეკვა არ თავდებოდა. უცებ მოელანდა უცნობის ჩინჩხი ადამიანად გადაჭცეულიყო. უიხარიოვისათვის ცალი ფეხი გულზე დაებიჯებია და ცალით ორკაბ ჭოხს ყელზე აჭერდა. სწორედ ისე, როგორც კარაბადინის შემქმნელები მოითხოვდნენ ძალლის კისერზე ორკაბის დაბჯენას, წამლისათვის რძის მოსაწველად.

უიხარიოვს ნესტოები დაებერა, ლამის გაიგუდა, უცებ ქშენასთან ერთად ღრიალიც ამოუშვა და აბორგდა.

— მიშველეთ!!!

ღრიალებდა, ვიდრე დარწმუნდებოდა. რომ იმავე კარსტულ გამოქვა-

ბულშია, იგივე ხელი ტკივა და იგივე ბეღშია, როგორშიც იყო გონების დაბნელებამდე.

— გლეხო! — გაბზარული ხმით დაიძახა.

პასუხი ვერ მიიღო და წამოდგომა დააპირა. ძია შაქროს პერანგზე „ყბებჩაცვინული“ ფეხსაცმელი ვერ დაიმორჩილა და შეცბა. შეეცადა ფეხი თავისაკენ მოეწია, მაგრამ ამაღლ. გაუკვირდა. უცებ ეს სიზმრის საშინელ გაგრძელებად მოეჩვენა და ისევ აღრიალდა.

ძია შაქრო პერანგის მოქაჩაზე და ამ ღრიალზე შეიშმუშნა, თვალგაუხელელად ცნობიერების ბურუშში კბილები გაახრციალა და გონების დაბინდული თვალით გარეგამლიზიანებელს მიაყურადა.

— გლეხო! — ისევ გასძახა და „დაბმული“ ფეხი თავისკენ მისწია. პასუხი ვერ მიიღო და გაცხარდა. — ეს შენ მიჰერ ფეხს? კმარა ეს უშნო ცელქიბა. გამიშვი ხელი.

ძია შაქრო გონს მოეგო და შეეცადა გაეგო, თუ რა ხდებოდა მის ირგვლივ. იფიქრა, ეს უიხარიოვი მართლაც უშნოდ ცელქობსო და წყნარად უთხრა:

— უიხარიოვ, კმარა. დაწყნარდი, სამარეში ხარ და ცელქობ.

— მე ვთქვი, გამიშვი-მეთქი ხელი, წამოდგომა მინდა. გეძახი, შენ კი ისევ მიჰერ.

— დამანებე-მეთქი თავი.

— მე დაგანებო თავი მაშინ, როცა შენ არ მანებებ? მომეცი ჩემი ფეხი, გამიშვი.

— სად მიდიხარ, რა უბედურებაა?

— გამიშვი-მეთქი.

— მართლაცდა გირჩევნია გამიშვა. ეს უკანასკნელი პერანგიც დამეხა. — შეეცადა წყნარად ეთქვა და როგორმე გაეგებინებინა ამ აბეზარი-სათვის.

— სამარეში ვართო ამბობ და პერანგზე ჩივი, მომეცი ჩემი ფეხი, თორემ, ღმერთმანი, გავმწარდები.

ძია შაქრომ თვალები გაახილა და ისევ დახუჭა. ისევ გაახილა და გაიფიქრა: „თვალებში სინათლე ჩამეშრიტა თუ ამ გამოქვაბულში ჩამოდგა სიბნელე? ვერაფერს ვხედავ. უიხარიოვის ხმა თითქოს სულეთიდან მოდის. ან იქნებ სულაც არაა ეს უიხარიოვის ხმა“.

— ბიჭო, უიხარიოვ, ეს შენა ხარ?

— აბა ვინ ეშმაკი იქნება.

— ქვესკნელში ეშმაკი რა გასაკვირია.

— მომეცი ჩემი ფეხი! — გამწარდა უიხარიოვი.

— მომეშვი და მერე იღრიალე. ეს რა, წიხლსაც შცემ? კარგი დროსაა. დაწყნარდი-მეთქი!

უიხარიოვმა, რომელსაც ეგონა ფეხზე საბელი პქონდა მიბმული და

იჭერდნენ, წამოშევა სცადა. მუხლში მოიდრიკა, ახლოს მიჩოჩდა და შესაბამის რად თქვა:

- გლეხო, ილავი გამიშყდა. ღმერთი შეგეშვა. გამიშვი, ნუ მიჭერ.
- მე შენ გიჭერ თუ შენ მე მიჭერ?
- შენ მე მიჭერ ფეხს, გლეხო!
- არა, შენ მე მიჭერ და თავსაც იყატუნებ.
- სინათლე მაინც იყოს, ვერაფერს ვტელავ.
- სვეტი ნათლისა გაპარულა. ნეტავ თუ გვეშვევა ხვალ?
- ხვალამდე ჭერ კიდევ სიცოცხლეა საჭირო, გაძლებაა საჭირო.
- მომშივდა, — წყნარად თქვა ძია შაქრომ.
- შეც მომშივდა, თანაც მშეყურია.
- მცივა.
- მოგცემ ჩემს ქურთუქს. მე შიგნითაც კარგად მაცვია, ოღონდ მხრებზე ქამრები ამხსენი.
- ვერაფერს ვხედავ.
- მომეცი ჩემი ფეხი, ძია შაქრო!
- აუტანელი ხარ, უიხარიოვ, პერანგი სულ შემომაზიე და კიდეც წილებითა მცემ. ეგ მჭირდება ახლა მე? — თქვა და წამოიწია. ხელების ცეცებით გაიგო, რომ უიხარიოვის ფეხი რაღაც მანქანებით მიბმული იქნა პერანგზე.
- ამხსენი ბაჭარი და გამიშვი ხელი.
- შენ სულ დამაბნიე, უიხარიოვ. ეტყობა, ერთმანეთს მართლაც ვაჭერთ და გამოუვალ უფსკრულში კი ვყრივართ.

— ვწევარ და არტაშნებით შეკრული ხელი ამ ღორლს ეხება, რის გამოც ტკივილების წკეპლებით ვიკენწლები. მკლავის მოხრა რომ შემეძლოს, მოახლოვება არ გამიჭირდებოდა, რომ გამეგო, თუ რა ხდება ჩემს ირგვლივ. იწამე ღმერთი, მომეცი ჩემი ფეხი, თორემ ახლავე გული გადამეღვევა.

ძია შაქრო დარწმუნდა, რომ აქ მართლაც რაღაც საიდუმლოება იმალება და შეეცადა როგორმე ამოეხსნა მისი არსი. წამოიწია, ხელებით საიდუმლოდ მოაცეცა იქაურობა. უიხარიოვს მუხლზე წვდა და წვივისაკენ ჩამოაყოლა შეცივებული, გამხდარი ხელები. მას გონების თვალის ჭვრეტაც მიაყოლა:

„ეს — ამ ოხერის ტეხასურა, ეს — ფეხსაცმელი, ეს — ქუდი, ეს — ლანჩა. ფეხსაცმელი ფეხსაცმელია, მაგრამ ჩემი პერანგი აქ რამ მიაბა?“  
 — გაიფიქრა და ლანჩა საგულდაგულოდ შეამოწმა. „ლანჩა ამძვრალი იყო, ახლა შეუკეთებია თუ რაა?“ — ველარ მოითშინა და აბეზარს წვიზზე მუშტი დაარტყა.

უიხარიოვს წვივი აეწვა და ფეხი უცებ მოქაჩა. ამ მოძრაობაზე პერან-

გის ნაჭერი მოიგლიგა და ფეხი გაუთავისუფლდა. ფეხსაცმელზე ხელი შე-  
ისვა და პერანგის ანაგლეჭი რომ ნახა, მიხვდა რაშიც იყო საქმე და დაწყ-  
ნარდა. ლანჩას „პირი დააღებინა“ და გაჩრილ ძვალივით ჩარჩენილ პე-  
რანგის ნახევი ამოაცალა.

— ესეც შენი თვალთმაქცობა! — თქვა შაქრომ.

— ჩემი ბრალია. — წაილუდლულა ვალერიმ.

— და მაინც მე მაბრალებდი.

— მაპატიე, ასე არ მინდოდა. მაპატიე, რომ მაშინ ფეხი მოგარტყო...  
მეგონა განგებ არ მეპასუხებოდი და გავწიშმატდი. ხომ იცი, რა საშინე-  
ლებაა აქ მარტოდ ყოფნა, ან რა სასაცილოა აქ ერთმანეთზე დამდურება.

გლეხმა ნაცემ გვერდზე ხელი მოისვა. მის სიტყვებს ყურადღება  
აღარ მიაქცია, რადგან ვერ გაიგო, რას ნიშნავდა „მაშინ“ და თვალი და-  
ხუჭა.

რამდენიმე ხნის შემდეგ უიხარიოვი შიუახლოვდა, გვერდით მიუწვა  
და უთხრა:

— მოყევი რამე.

— აი, სწორედ მაგისთვის მცალია, უიხარიოვ.

— მაშ ეს უბედური ლამე რამ უნდა გალიოს?

— მოთმინებამ. საზღვარზე ოცნებამ... — გამოაჯავრა.

— დაცინვის კი არა, დაჩეხვის ლირსი ვარ.

— არა, ეს ისე, ცუდ განზრახვებს კაცი სამარემდე მიყავს.

— ეს შენ მიბიძგე და...

— აյი თქვი, სამარეში მოხვედრილი აღამიანები სასაცილონი არიან,  
როცა ერთმანეთს ემდურებიანო?

— მერე?

— მოყევი რამე... აი, შენ ამასწინათ თქვი, რომ დედა რუმინელი  
გყავს, მამა კი გერმანელი, დაიბადე 1941 წელს, შვიდჯერ გიშვილეს და  
შვიდჯერვე გამოიპარე.

— გინდა მაინცამაინც გავიხსენო? — თქვა და მტკიგანი ხელი გუ-  
ლზე მოჭრილ ტოტივით დაიდო.

— ან დაიძინე, ან მოყევი.

— არ მეძინება, ეს ოხერი.

— ლოცვა წარმოსთქვი...

— არცერთი ლოცვა არ ვიცი. როცა მიჰირს, ღმერთს ვევედრები  
„ღმერთო, მიშველე“.

— აქ გიშველის კი?

— გამიგონია: ქრისტე შეიძყრეს თურმე და ჩასვეს ისეთ ვიწრო სა-  
კანში, საღაც მხოლოდ ფეხზე მდგომი ერთი კაცი დაეტეოდა. საკანს ჭერ-  
ში სავსე მთვარისოდენა ამონაჭერი ჰქონდა. გამოეცხადა ანგელოზი და

13/16

უთხრა, ამოდიო. ქრისტემ მარჯვენა ხელით ანიშნა — თავი ამომტევულ  
მაგრამ ტანი და მხრები არაო. ჭერ შუბლზე მიიღო ხელი, მერე გულზე,  
მერე მარჯვენა და მარცხენა მხრებზე. ამის შემდეგ, თითქოს ხვრელი გა-  
ფართოვდაო, ავიდა და გათავისუფლდა. ამ მოძრაობას ხალხმა პირჯვარი  
უწოდა და გაჭირვების შემთხვევაში გამოიყენა — პირჯვარს ვინც გადაი-  
სახავს, შეუძლებელს შეძლებსო.

— ო, ეს ძალიან საინტერესოა. ვისგან მოისმინე?

— ჩემმა პირველმა მამობილმა მითხრა, ვინც შვილად ამიყვანა, გვა-  
რად ჟიხარიოვგა.

— მერე და შენ მას გამოექვეცი? უმაღლურობაა.

— მასეთს შვილს გამოვექვეცი, — კი გითხარი!

— მაშ, მოყვეთ თავიდან. ეტყობა, ყველაზე დიდი ბედნიერებაა დრო-  
სი იმ მონაკვეთის დავიწყება, რომელიც გარშმუნებს უმწეობასა და უიმე-  
დობაში, თანაც გაბერებს.

— ავტობიოგრაფია არასოდეს არ დამიწერია. არც არავისთვის მიამბ-  
ნია. თუმცა მისი მთავარი მომენტი — მშობლების ვინაობა სხვისგან გა-  
ვიგვ.

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ომის დროს, სამამულო ომს რომ  
ვეძახით, დავიბადე...

— მერე? სჭობს უფრო დაწვრილებით მოყვე, სიკვდილის მობრძანე-  
ბამდე ჭერ კიდევ დროა.

— უფრო ზუსტად, 1941 წელს დავიბადე. გერმანელები მოლდავეთ-  
შიც მოსულან. ერთ-ერთ გერმანელს გაუცვნია რუმინელი ქალი. რამდენ-  
ჯერმე შეხვედრია და... ამრიგად გავჩენილვარ მე. მალე ეს გერმანელი შე-  
ნაერთთან ერთად იქიდან წასულა. ჩემი გაჩენის შემდეგ დედაჩემიც წა-  
სულა რუმინეთში, მე თურმე ბავშვთა სახლში ღვთისნიერი აღმზრდელე-  
ბის ხელში ვიზრდებოდი. არ ვიცი, მაშინ რა მერქვა, ან რა გვარი ვიყავში. რორი წლისა ვიღაც მუსიკოსმა წამიყვანა. შვილი არ ჰყავდა. დიდხანს ეწ-  
ვალა თურმე საბუთების შესაგროვებლად, რომ შვილად ავეყვანე.

რაც თავი მახსოვს, ვალერი ჟიხარიოვს მეძახიან. მამის სახელად თა-  
ვისი სახელი მოუცია გვართან ერთად, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემს დოკუმე-  
ნტებში დარჩა... ასე გავხდი ვალერი ივანეს ძე ჟიხარიოვი, დედით რუმი-  
ნელი და მამით გერმანელი. საშინელებაა, არა?

გაოგნებულ ძია შაქროს ყველაფერი დავიწყებოდა და მთელი გული-  
სყურით უსმენდა.

— ჟიხარიოვ, მგონი ჩვენს მდგომარეობაში მყოფი არ მოიტყუებს.  
თუ ეს ყველაფერი მართალია, მე შემიძლია გითხრა, რომ ასეთი კაცის  
მნახველი არა ვარ... მერე?

— შვილი წლისა რომ გავხდი, მამობილმა პიანინო მაჩუქა, დედობი-

ლომა მოსწავლის ფორმა, ჩანთა და შიგნები მიყიდა. ერთ დღეს გრძაც მოვადაშა ბიჭი, ეტყობა, საიდანლაც გამოპარული, მოვიდა და მითხა, მატარე-შელში ლომები შეიყვანეს, წამო, განახოო. მამობილი კონცერტს მართა-დღა, დედობილი მალაზიაში წავიდა, რომ ჩემთვის რბე ეყიდა... მოხდა ისე, რომ ამ ბოშას გავყევი. ლომები გალიაში ჰყავდათ გამომწყვდეული. ყვე-ლაფერი დამავიწყდა. სახლი რომ გამახსენდა, მატარებელი უკვე შუა ჭიათე იყო.

ამის შემდეგ ისევ ბავშვთა სახლში მოვხვდი. აქედან — რომელილაც ოჯახში. თავს მევლებოდნენ...

— მერე და შე ოჯახქორო, იქედან საღა გარბოდი, ან რატომ მოუკა-ლი გული შენს პირველ დედობილსა და მამობილს?

— აცვენილი ვიყავი. მერე ჩემსავით უდედმამო ბიჭს დავუქმობილ-დი. ისევ მიშვილეს, ისევ გავიპარე. წამოვიზარდე. ბავშვთა ხასიათის ფო-რმირებას ბანაუში აღმოვჩნდი, მშენებლობაზეც ვმუშაობდი. ქურდობაც დავიწყე. ვერაფრით თავი ვერ წავართვი ახირებას. შევაწუხე ლვთისნიერი ჰალხი. ჩემზე უბედური, ალბათ, არავინაა ქვეყნად.

— ნუ გეშინია... მერე?

ვალერი დაღუმდა.

— მერე რა ქენი? — ისევ შეეკითხა ძალა შაქრო.

პასუხი ვერ მიიღო.

წამოიშია და დააცეკერდა.

ხელის ცეცებით თმებში შეეხო და ფრთხილად მოაქანა.

— რატომ გაჩუმდი?

უიხარიოვი ხმას არ იღებდა. გლეხი დაინტერესდა, თუ რა მოუვიდა, და ხმადაბლა, თითქმის მშობლიური დაყვავებით უთხრა:

— ნუ გეშინია. ხომ გაგიგონია, არ იდარდო იმაზე, რაც უკვე იყო, საჭიროა იფიქრო სიკეთეზე. სიკეთეზე ფიქრი სულის ამოხდომამდეა სა-ჭირო.

უიხარიოვი ისევ დუმდა.

გლეხი ვერ ხედავდა მის სახეს, თვალებს, გამომეტყველებას, თორეშ უსიტყვოდაც გაიგებდა მისი გულის ვარამს. თვითონაც წამოწვა და გაყუ-ჩიდა. შემთხვევისა და მისი უცნაურობის შესახებ ფიქრობდა.

ამ საერთო სამარისებურ დუმილში დრო გავიდა.

უიხარიოვმა ამოიგმინა.

ცოტა ხნის შემდეგ გაიცინა. მალე კიდეც ახარხარდა. ამ მდგომარეო-ბაში ჯოჯოხეთურად აუტანელი იყო ეს ხარხარი. კარსტული გამოქვაბუ-ლის ციცაბო კედლები ისეთ გამოძახილს აბუბუნებდნენ, თითქოს ეშმაკე-ბის დღეობა ყოფილიყოს.

ჭკუაზე ხომ არ შეცდაო, წამოიშია გლეხი და გონების თვალით მია-ჭურადა მის სუნთქვასა და მოძრაობას.



— უიხარიოვ, მე შენზე თვრამეტი-ოცი წლით უფროსი და უძველესი გაჩენის უბედურ დღეს გერმანელებს ვეომებოდი. დამიჯერებ, არაა საჭირო გოდება, ამბავი მითხარი და, თუ შევძლებ, იმედს მოგცემ. თქვი:

— ერთი დღე გამახსენდა ჩემი ცხოვრებიდან.

აკვალანგისტის ნიღბით ერთხელ დნესტრის ფსკერზე გავწევი. ამხანა-გებმა მითხრეს, რომ ერთ-ერთი ფაბრიკის დირექტორის ცოლი მოვადა შაბანაოდ. შენიშნული გვქონდა, რომ ეს ხელჩანთაში საქმაოდ ბლომად ინახავდა ფულს. ხელზე ოქროს საათი და ბრილიანტის ბეჭედი ეკეთა...

გაიხადა და გედივით შესცურა დნესტრში. მე კი აქვა, ფსკერზე ვიყავი ნიანგივით გაწოლილი და დადარაჯებული. ხელსაყრელი დრო რომ მოვიდა, ფეხზე წავავლე ხელი და ჩაგაყურყუმალავე. ეს იყო ყველაზე დიდი და კარგი ღლავი იმათ შორის, რაც მანამდე დამეჭირა... სანაპიროს ხალხი საქმაოდ რომ შემოეცალა, ჩემმა ძმაკაცებმა წაიღეს ის ხელჩანთაც და სხვა ძვირფასეულობაც. მე ნიანგივით გავყევი დნესტრის დინებას და სადღაც ქვემოთ ამოვყევი თავი.

მეორე დღეს ხალხმა თქვა:

გუშინ დნესტრში ასეთი და ასეთი ქალი დაიხრჩო.

ვიღაცები სტიროლნენ, ჩვენ კი გულში გვეღიმებოდა.

ძია შაქრო ამ ამბებმა შეაშფოთა. ვერაფრით ვერ დაიჯერა, რომ ასე-თი რამ შეიძლება მომხდარიყო.

— აი, წელან რატომ ხარხარებდი?

— გამახსენდა შენ რომ პერანგი დახიე და არტაშანით შემიკარი მო-ტეხილობა.

— შერე აქ რა იყო სახარხარო?

— ეს მე კი არა, ჩემი ბედი დამხარხარებდა.

— საოცარი კაცი ხარ, უიხარიოვ. რაღაც არ მჯერა, რომ შენ ასე ვერაგულად დახახრჩვე ქალი.

— მე ეს, უბრალოდ, ერთი მაგალითი გითხარი.

— არ მჯერა!

— არც ის, რომ მე გველის შხამს ვსვამდი?

— გეყოფა ხუმრობა! — შეუტია შაქრომ და გაღააფურთხა.

— არ ვხუმრობ. ვიჭერდით გველს, დავარეტიანებდით, შხამს ავაც-ლიდით და...

— რა უბედურებად გინდოდათ?

— გვინდოდა, მიგჩეოდით საწამლავს... ცხოვრებაში ათასი რამ შენ-ვდება კაცს. ორგანიზმი კი მზად უნდა იყოს ყველა უბედურების გადასა-ლახავად. ასეთ პირობებში ჩავარდნას ვერ ვიწინასწარმეტყველებდი, თო-რებ ეშმაგას ვიაძულებდი ესწავლებინა ჩემთვის კედლებზე სიარული.

ძია შაქრომ ვეღარ გაუძლო ასეთ უცნაურობას და გულარეული გა-დაბრუნდა.

— გაწყენინე?

— არა, ისე: მე ასეთი რამე არ დამესიზმრებოდა.

— კარგი, დავანებოთ თავი ყველაფერს... სამარეში დამდურება სა-  
საცილოა... მთხოვე მიამბეო და მებუტები.

— არ გებუტები. მერე?

— ვეურდობდი და მიჭერდნენ. მშენებლობაზეც ვმუშაობდი. ზელ-  
ფას იქვე ვხარჯავდი, მუშებს ვურიგებდი.

— ეს ოქრო საღ ნახე, პარკში რომ...

— აკი გითხარი, მოვიპარე-მეოქი.

— მერე და ვერ გაიგებდნენ?

— ვერა, ხომ გაგიონია, დანაშაულზე თუ ვერ წაასწრებ, ქურდობას  
ვერ დააბრალებ. არის ასეთი კანონი. ოლონდ ამ ბოლო ხანებში ლაშის  
დავმარცხდი... ერთ-ერთ ზღვისპირა აგარაზე ერთი ახალგაზრდა კაცი  
გავიცანი. ბანდიტების მეთაური ვარო. სახელი გვარი კი მითხრა, მაგრამ  
არ დავიჯერე, ასეთი ადამიანები თავიანთ ნამდვილ სახელებს მაღავენ...  
იმის შემდეგ ერთი „ოპერაცია“ მოვასწარი. ბანკი გავძარცვეთ. ბიჭები  
ჩაცივდნენ. მე თავის დაღწევის მიზნით გადავწყვიტე, საზღვანზე გადა-  
ვიპარო. თხუთმეტი დღე ვიხეტიალე, სანამ შენს სოფელს მოვაღწევდი.  
შიმშილ-წყურვილმა დამაგდო. დანარჩენი თავად იცო.

— ჟიხარიოვ! — უაზროდ წამოიძახა და წამოდგა გლეხი.

— დიახ, მე, ჟიხარიოვი გისმენ.

გლეხმა სათქმელი ვეღარ იძოვა და ხელები გაასავსავა.

— ჟიხარიოვ, ამდენი ტყუილი საიდან მოიტანე? ვფიქრობ და ვერ  
მომიტიქებია, ნუთუ შეიძლება გაწვე მდინარის ფსკერზე და მობანავე  
ჩაითრიო დასახრჩობად.

— რა არის აქ გასაკვირი?

— ის, რომ ადამიანს თან უმზერ და თანაც სიცოცხლეს ასალმებ.

— ამას შენ ლაპარაკობ, ომის მონაწილე? ბუხენვალდი მაინც არ გა-  
ვიგონია?

— გამიგონია! — თქვა და ჩაფიქრდა. მწარედ გაიღიმა და გაიმეორა

— გამიგოა!

ჟიხარიოვმა, თითქოს ეს საკმარისი პრიონ, დაუმატა:

— რაღა შორს წავიდეთ, მოიგონე პირადი მაგალითი: აი, იმ მუხის  
ძირას, სადაც შენ გეძინა... ფიზიკურად რომ შეგძლებოდა მომაკვდინებე-  
ლი წინააღმდეგობის გაწევა, ძალიანაც კი მჭირდებოდი, მაგრამ მოგ-  
კლავდო.

— ახლაც მომკლავ?

— ახლა მირჩევნია, შენ მომკლა. ამ უფსკრულში მარტოდ გდებას  
და სიკვდილის ლოდინს, სჯობს... შენ რომ მოკვდე, მე იმავ წუთში თავს  
მოვიკლავ!

— მაგრამ ეს ხომ ადამიანური სიყვარულით არ იქნება ნაკარნაზევისა! ხმას სხვანაირად ეგოიზმს ეძახიან.

— ეგოიზმი ადამიანს დედის მუცლიდან დასდევს. — თქვა და მრავალმნიშვნელოვნად დადუმდა ვალერი, თითქოს რაცა თქვა, ასი იმდენი უთქმელი დარჩა.

— შენ გერმანელი ხარ! — დაცინვის კილოთი უთხრა გლეხმა, — ამიტომაც ასე გეადვილება მქვლელობაზე ლაპარაკი.

— ფაშისტი ასეთია, ყველა გერმანელი კი ფაშისტი არაა. აბა რა ვიცი, იქნებ ის კაცი, რომელიც მამად მერგება, ძალად გამოგზავნეს ომში.

— ფაშისტი ადამიანის სიკვდილში სიამოვნებას პოულობს. ვინ იცის, მამაშენმა რამდენი კაცი მოკლა. იქნებ ჩემი ძმა მამაშენმა მოკლა...

— მაგრამ აბა დაითვალე, თუ შესძლო, რამდენი გერმანელი მოჰკალი შენ! იქნებ მათ შორის მამაქემიც იყო...

— მე ჩემს ქვეყანას მედავებოდნენ და ამიტომ მოვკალი! — ხმას აუწია ძია შაქრომ. — მე კი არ მივსულვარ მამაშენთან საომრად, თვითონ მოვიდა. და მართლაც თუ მკვდარია ის, თანაც ჩემგან, მე მაინც არ ვითვლები მის მქვლელად... ის მაშინ მოკვდა (თუნდაც ამჟამად ცოცხალი იყოს), როცა ნაბიჯი გადმოდგა ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ. ფაშისტი თუ იყო, ასე ეკუთვნის. თუ უბრალო მშრომელი გერმანელი იყო, არ უნდა დაკყოლოდა ფაშიზმის ნებას. თუ ძალად დაიყოლიეს, ერჩია, იქვე მოეკლა თავი. გერმანელი უმიზეზოდ მკლვდა, ეს დიდი ცოდვაა, მე ის სამართლიანად მოვკალი... კაცი ცალი ფილტვით ვსუნთქავ, შენ კი, ამ ქვეყანაში დაბადებული და გაზრდილი კაცი, ქურდობ. ბავშვთა სახლიდან ლვთისნიერმა ადამიანებმა გიშვილეს, გამოიქეცი, შვიდჭერ გიშვილეს, შვიდჭერვე გამოიქეცი, გვარი მოგცეს, სახელი მოგცეს, მამის სახელი მოგცეს, თუ საჭირო იქნებოდა სისხლსაც, სიცოცხლესაც მოგცემდნენ, შენ „ტყისაკენ“ იყურებოდი, შშენებლობაზე მოგაწყვეს, თვალთმაქცობდი, ქურდობდი, ფულისათვის ადამიანს ახრჩობდი, გველის შხამს სეამდი და სხეულს იყაფდი, რომ ცუდი საქმეებისათვის ბრძოლაში, თალღითობაში არ დამარცხებულიყავი. ბანკის გატეხვა მოასწარი, შენი ამხანაგები „ჩაცვივდნენ“, შენ მართლმსაჯულებას გაექეცი და ვითომდა თავის გადასარჩენად საზღვარგარეთ გარბიხარ, თავისთავს ჰყიდი....

ძია შაქრო წყნარად ლაპარაკობდა. შემდეგ ხმას თანდათან აუწია და ბოლო სიტყვები ისე ნერვიულად წარმოსთქვა, გამოქვაბულში „ექომ“ ჯოჯოხეთური ბუბუნი გამოსცა, ქარბორიასავით დაატრიალა და ზეცაში აიჭრა. გლეხი წამოდგა, ვალერის საყელო ნერვიულად მომჯილა, მოაჯაჭეურა...

— მომკლა გინდა? — შიშით იყითხა ვალერიმ.

— მოგბლა კი არა, დაგნაყო მინდა. ხელი გტკივა და რა ვაუკაცობაა.

შენი გალახვა, თორემ ამ გულზე ისე გემრიელად დაგბეგვავდი, სიკვდი-  
ლის კარს მიგავლებდი.

— მე რომ მოგრეოდი?

— ამას აღარ დავეძებ. მე ჩემსას ვიზამდი.

— კარგი, დაწყნარდი შაქრო, ჩვენ ახლა ერთმანეთის ჭირისუფლები  
ვართ. იმაზე ვითიქროთ, აქედან თავის დაღწევა შეიძლება თუ არა. თუ აქ  
სიკვდილი გიშერია, რაღა შიმშილ-წყურვილითა და ლოდინით მოვკვდეთ,  
დაგხოცოთ ერთმანეთი და... მოვრჩეთ ჯოჯოხეთს. თუ შესაძლებელია,  
დაუაღწიოთ თავი, ჯერჯერობით არც კუჭი გაგვხმობია შიმშილისაგან, არც  
ფილტვები დაგვშრობია და არც ფრჩხილები დაგვცვეთია. ყოველივე ეს  
ხუმრობა არ გევონოს...

დადუმდნენ.

გამოქვებულში როგორც დღისით, ასევე ღამითაც სამარისებური  
მყუდროება სუფევდა. ამაღამ კი, როცა ურთიერთ დახოცვის აზრი მოუ-  
ვიდათ, ჯერ თითქოს ყურებში, მერე მთელს ყრუ გამოქვაბულში, რაღაცა  
მომეტებულად აჩქამდა და ახმაურდა. ამას გულის დაგა-დუგიცა და სა-  
ფეოქლებში სისხლის შხუილიც მოემატა, მაგრამ გადარჩენის იმედის  
ულიმღამო ნაპერწყალმა ყოველივე ეს მიამდუმარა და ისევ მყუდროება,  
სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

ძია შაქრო თავისთავში „მოგზაურობდა“, განიცდიდა, ფიქრობდა.  
გახსოვრობის დღიდან ამ წუთამდე მის მიერ განვლილი ცხოვრების გზას  
სინჯავდა, ყველაფერი კინოლენტივით ტრიალებდა და სურათს სურათით  
ცვლიდა. მასში ბავშვობის ხმებიც ისმოდა და ომის გრიგალიც, ფუტკრე-  
ბის ზუზუნიც და შვილების საუბარიც, მერცხლის ულურტულიცა და ყა-  
ნის შრიალიც.

ძია შაქრომ ამოიგმინა და გადაბრუნდა.

ჟიხარიოვიც მისდევდა მის მიერ განვლილ ეკლიან ბილიკებს. მანაც  
ყრუდ ამოიგმინა და ხელი თავქვეშ ამოიდო. ცოტა ხნის შემდეგ ფრთხი-  
ლად წამოიწია. ხელით რომ მიწას დაეყრდნო, იგრძნო, რომ ორლესულ  
დანაზე ებჯინა თითები. თავისთავისა და ძია შაქროს სიცოცხლის გამოსა-  
ლმებას არაფერი უშლიდა ხელს, მაგრამ დანას ისე მოაცილა ხელი, თი-  
თქოს ის მორიელი ყოფილიყო. წამოდგა, რის ვაივაგლახით გაიხადა ქუ-  
რთუკი, მტკიგან მელავს კბილების ღრჯენით გააძრო სახელო, მარჯვენა  
ხელით მაღლა აიკალთა, თითქოს გაფერთხაო, და ძია შაქროს დაახურა.

გლეხს არ ეძინა. მან ყველა ეს მოძრაობა კარგად შენიშნა, და ისიც,  
თუ როგორ წახურეს ქურთუკი, მაგრამ არ განძრეულა. თითქოს ეძინა.  
ხმა არ ამოულია. ჟიხარიოვის ტანიდან ქურთუკით გამოყოლილი სითბო  
იგრძნო. გათოშილ სხეულს ესიამოვნა, მაგრამ სული აუთრთოლდა. ამ სი-  
თბომ თითქოს უფრო შეაცივა, მაგრამ ქურთუკზე ქარის თქმით ჟიხარი-

ოვის „მადლზე დაფურთხების“ უფლება სინდისმა არ მისცა და დაუმილეს ამგობინა.

შეცივებული ჟიხარიოვი შაქროს ზურგი-ზურგ მიუწვა და გაირინდა. ქნელი იყო იმის თქმა, თუ რამდენ ხანს იყვნენ ისინი ამ მდგომარეობაში. ბოლოს ჩაეძინათ. უფსკრულში ზურგი-ზურგ შექცეული ძია შაქრო და ვალერი ჟიხარიოვი სწორედ იმ გულთამხილავმა ვარსკვლავმა იპოვა, წუ-ზელ რომ ძვირფას სტუმარივით ეწვია და იმედის ნათელი მოუტანა ჰათ.

\* \* \*

მეორე დღე სწორედ ისე დაიწყო, როგორც გუშინდელი დილა. გან-სხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ უფსკრულის მობინადრენი დღეს თავს უფრო მშვიდად და იქაურობის პატრონებად თვლიდნენ. იქაურობის პატ-რონობა არაფრად ეპიტნავებოდათ, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დღეს უფრო ნაკლებად აფორიაქებულნი იყვნენ, ვიდრე გუშინ. ერთმანეთს უფრო უკეთ გაცნობოდნენ, შეგუებოდნენ და ჭირსაც შეჩვეოდნენ. ამას-თანავე, გონიერება უფრო ეტყობოდათ, ვიდრე სიგიურ და ნერვიულობა, გაუტანლობა და ზაფრა-ქარები. თითქოს დაბრძენებულანო, ერთმანეთს შეჰქომებდნენ და გონიერად სჭიდნენ, თუ რა გამოსავალი შეიძლებოდა არსებულიყო.

— სანამ შიმშილისაგან ქანცი არ გაგწყვეტია, ამ ციცაბოს უნდა შე-ვებრძოლოთ, — თქვა ძია შაქრომ. — შიმშილის ლანდი ზურგსუკან დგას და სიკვდილის თვალებით გვიმზერს. ფრჩხილებით, წახნაგოვანი ქვებით, დანით უნდა ვიმუშაოთ.

„მაინც რა უნდა ვქნათ?“ — შეწყალების თვალებით შეხედა ჟიხა-ზიოგმა.

— საფეხურები ამოვკვეთოთ.

— ეს შეუძლებელია.

შაქრომ ციცაბოს ახედა და ორლესულით ერთი საფეხური გამოჩო-რენა. ერთს შეორე მოემატა, როგორც იმედი, მეორეს მესამე, მეოთხე, მაგრამ ამან მხოლოდ ერთი მეტრით შეამცირა სიმაღლე. ერთი მეტრი სი-მაღლის „გადალახვას“ ერთი დღე დასჭირდა. ათისას, ალბათ ათი დღე დასჭირდებოდა. შიმშილი მოუთმენდა ათ დღეს?

ძია შაქრო ქვაზე ჩამოჯდა, მზერა უფსკრულის ყელამდე აატარ-ჩა-მოატარა, უიმედოდ ჩაიქნია ხელი და თავი ჩაღუნა.

— რა მოხდა? — ნამტირალევ ბავშვივით იკითხა ვალერიმ.

— სხვა არაფერი მინდა, ოლონდ გაჩუმდი.

ჟიხარიოვიც გაჩუმდა.

ცოტა ხნის შემდეგ ძია შაქრომ ამონაჩორენი საფეხურიდან ჩამონა-შალი აიღო და ხელი მოუჭირა, თითქოს რამე პასუხს თხოვდა. მომუჭა

და დაცემულდა. მიწას არ ჰგავდა, კირქვა უფრო იყო, ვიღრე სხვა რამა ასეთი „მიწა“ ჯერ არ ენახა მიწასთან შეზრდილ გლეხს.

„რა არის ეს?“ — გაიფიქრა. „კირის გარდა რა უნდა იყოს? ხომ შე-იძლებოდა მიწისქვეშა წყლებს კირი გამოერეცხა და გამოქვაბული შეექ-მნა? ძა... თეთრი მდინარე კირის ნარეცხი ხომ არაა?“.

წამოდგა და სულ სხვა აზრი დაებადა...

დიახ, ძია შაქროს გუმანი სწორი იყო. საუკუნეთა განმავლობაში მი-წისქვეშა წყლებმა კირის ფენები გამორეცხეს და შექმნეს ღრმულები. მიწისქვეშა სილრმეს ზედაპირის თხელი ფენის თაღი გაუჩნდა. თაღი ჩან-გრა და გაჩნდა დახშული ჩაღრმავება. ეს დახშული ჩაღრმავება საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა, თანაც ციცაბო და ყელვიწრო. სწორედ კარსტულ გა-მოქვაბულში აღმოჩნდნენ ძინი... მაგრამ წყალი? წყალი რა იქნა? სად წავიდა ის მიწისქვეშა წყალი? ამის გაგება ძნელი არ იყო. თაღის ჩანგრე-ვაშ თავისუფალი ღრმულისაკენ მისცა წყალს მიმართულება. დატბორე-ბული გამოქვაბული კი შემდგომ დაშრა და დარჩა ბნელი ინცარიელე.

ბევრი, ძალიან ბევრი იუიქრა ძია შაქრომ. აზრების მოძრაობა სახეს უცვლიდა, ხან უმშვიდებდა, ხანაც უმანჭავდა, ხან ღიმილს მოვგრიდა, ხა-ნაც უიმედობით ავსებდა. არაფერს და არავის გრძნობდა მის ირგვლივ. არც იმას, რომ უიხარიოვის ნასროლ ქვებს ჭახა-ჭუხი გაპქონდა.

რას შევრებოდა უიხარიოვი? ზემოთ, ციცაბოზე შემორჩენილ ზურგ-ჩანთას ქვებს ესროდა, რომ როგორმე ჩამოეგდო. ჩამოაგდო კიდეც. მას ეგონა, ძია შაქრო ჰქუაზე შეცდაო და ფიქრობდა თავი მოეწამლა იმ ამ-პულით, რომელიც ზურგჩანთაში ჰქონდა, რადგან დანა ძია შაქროს ეპ-ყრა და რომ ეთხოვა, ადვილი შესაძლებელი იყო „შეშლილ“ კაცს იგი სიცოცხლისათვის გამოესალმებინა. ასე ფიქრობდა უიხარიოვი.

ძია შაქრო წმოდგა და ციცაბოზე მიყრდნობილ ქვას გლებური გუ-მანით მიადო ყური. წყლის ჩხრიალი უფრო ცხადად გაიგონა და გული აუფართქალდა. ხელები გაშალა და სიხარულისაგან აყვირდა. უიხარიოვი-საკენ გაიხედა და მართლაც გიყივით აწარხარდა.

ვალერიმ ეს სრულ სიგიურედ მიიღო და... დაბარბაცდა, წაჭევისაგან თავი შეიმაგრა და რაღაცა წაილუდლულა.

შემდგომ ძია შაქროს თვალებში ჩაშტერდა, მხრებში წვდა და ჰეითხა:

— მშვიდობაა?

— მშვიდობაა.

— ჰქუაზე ხომ არ შემცდარხარ?

— ეს შენ ხარ ჰქუაზე შემცდარი, სულელო! წამოდი ჩემთან. ხელი მოკიდა, ბრტყელი ქვის ფილასთან მიიყვანა და უთხრა, — მიადე ყური და მოუსმინე.

— მერე?

— გესმის წყლის ჩხრიალი?

— მესმის.

აღარაფერს დაელოდა, წვდა ქვას და მოზიდა. ჩახერგილი ქვებისა—  
გან ძირი გაუსუფთავა და ისევ მოზიდა.

— ეს ლონე სად გქონდა შაქრო?

— სიცოცხლის იმედში მქონდა გამოხვეული! — თითქმის გაუგებ-  
რად უთხრა და ქვას შეეჭიდა. უიხარიოვიც მიეშველა და... ქვა გადმოაბ-  
რუნებს.

— მიწისქვეშა მდინარე! — წამოიძახა ძია შაქრომ.

— მიწისქვეშა ხეობა! — წამოიძახა ვალერიმ.

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ და ატირდნენ.

— თავის დაღწევის სრული შანსი გვაქვს, ჟიხარიოვ! — დამაჯერებ-  
ლად უთხრა ძია შაქრომ და დააკვირდა. აინტერესებდა გაეგო ერთ ბედ-  
ქვეშ მყოფთა ერთი საფიქრალი ახალი გზის პოვნის შემდეგ გაიყოფოდა  
თუ არა.

— ეს თავდაჯერება ცოტა ნააღრევი ხომ არ არის? — დაეჭვდა ვალე-  
რი.

— რომ არ იყოს, რა მოხდებოდა? — კვლავ ნიშნის მოგებით უკითხა  
ისედაც დაეჭვებულმა შაქრომ.

— მადლობას გადავუხდიდი ღმერთს შენი სახით. შენ იქნებოდი ჩემი  
მშველელი ღმერთი...

— მე რატომ? — შორს დაიჭირა შაქრომ.

— შენმა საზრიანობამ და გუმანმა გაიმარჯვა, მიწასთან მეგობრობამ,  
მიწის ნაცნობობამ გაიმარჯვა... შენ გადაგიხდი მადლობას.

ძია შაქრომ ვერაფერი გაუგო და გამომცდელ შეკითხვებს თავი დაანე-  
ბა. უცებ ეჭვმა უკბინა, ვაი თუ მართლაც ნააღრევი აღმოჩნდესო სიხარუ-  
ლი. ის სათაფლიაში ნამყოფია და კარგად იცას რას ნიშნავს მიწისქვეშა  
მდინარე. ის ზოგან მაღალი თაღების ქვეშ მიედინება, ზოგან კალაპოტი  
ვიწროვდება და დაბლდება, ზოგან კი კლდის ნაპრალში გადის, ირგვლივ  
კლდის არტახი აკრავს და შიგ ისე სავსეა წყალი, როგორც დახურულ ღა-  
რში, ან წყალსადენის მილში... მერე ისიცაა საფიქრალი, მდინარე რამდე-  
ნი მეტრის მანძილზე მიედინება მიწისქვეშ, ასი მეტრის? ორასი? იქნებ  
კილომეტრი ან მეტია გასავლელი ამ ლიპ ქვა-ლოდებზე. ასეთი სიძნელე-  
ები რომ შეხვდეთ, რა უნდა იღონონ? ველარც უკან დაბრუნდებიან, რომ  
მშვიდად დაელოდონ სიკვდილს, ველარც წინ წავლენ, ან მართლაც რომ  
ნაპრალი შეხვდეთ, ან მაწისქვეშა ჩანჩქერი? წარმოუდგენლად ძნელია  
ყოველივე ამის გააზრება, ასევე ძნელია დარჩენაც. ბრტყელი ლოდის გა-  
დმობრუნებით გამოქვაბულს თითქოს ფანჯარა გაეღო, საიდანაც სიკვდილ-  
სიცოცხლის ქაოსური ბგერები ისმოდა... ამ ბგერებში რწმენა და ურწმუ-

ნოება ირეოდა. მდუმარე გამოქვაბული წყლის ჩხრიალმა ჯოჯონეთურად აახმაური. არც მოცდა შეიძლებოდა და წასკლაც სახიფათო იყო.

— შენი დაღონება ნელი ქმედების ნაღმივით მიახლოვებს სიკვდილს, ძია შაქრო! — სევდიანად, თანაც თითქოს წამახალისებლად დასძინა ვალერიმ და ხმაურიან „ფანჯარაში“ ჩაიხედა. აი, რა მაღალი თაღი მისდევს მღინარეს!

— შენ არ იცნობ მთის მდინარეების ბუნებას, მიწისქვეშეთს...

— თითქოსდა შენ აქ ნამყოფი იყო.

— სათაფლია ან მისი მსგავსი გინახავს?

— არასოდეს.

— მაშინ სკობს გაჩუმდე.

— ჩემი დამხსნელი, მფარველი ანგელოზი ხარ, ღმერთი ხარ, ძია შაქრო!

— გაჩუმდი! ჩემს სოფელში ჩემზე ბევრად უკეთესები არიან, ჩემს ქვეყანაში კი — მილიონობით. მე ყველაზე უბრალო ადამიანი ვარ.

— ახლა რაღა გაფიქრებთ. გადაწყვიტეთ წასკლა.

— ეს ისე ადვილი არაა. აქ სინათლე აღწევს, იქ კი სრული სიბნელეა. ფუმცა, რაკი ერთადერთი გზა არსებობს, ფიქრი ზედმეტია. გულებელდაკრეფილ სიკვდილს მოძრაობაში, ბრძოლაში სიკვდილი ჭობია. — მცირე დუმილის შემდეგ ხმადაბლა, საქმიანად ჰქითხა, — უიხარიოვ, ასანთო გაქვს?

— აი, ზურგჩანთაში სანთებელა მაქვს.

— კარგი. — გაუხარდა შაქროს. — მომეცი ეგ სანთებელა და... გაიხადე ფეხზე, დანაც მომეცი?

ვალერიმ უსიტყვოდ შეასრულა დავალება. თანაც თვალს არ აცილებდა, უნდოდა გაეგო, რა საერთო ჰქონდა სანათებელთან ფეხსაცმელსა და დანას.

— მიწისქვეშა მდინარის გასწვრივ ისეთი სიბნელეა, რომ მასთან შედარებით ჩვენი გამოქვაბული ჭალებით გაკაშკაშებულ დარბაზს შეედრება. ამიტომ ყველა ღონეს უნდა მიგმართოთ, რომ რითიმე გავინათოთ სავალი. — თქვა შაქრომ და ვალერი თავისთან მოიხმო. — ჲა, დაიჭირე შენი ფეხსაცმელი! — ამძვრალი ლანჩა მიაჭრა.

— ჩეზინა კარგად იწვის. — გამოიცნო ვალერიმ.

შაქროს ხმა არ გაუცია. ლანჩის ბოლო ხეზე მიამაგრა და აანთო. სინათლემ ორივეს თვალები „დაუბრმავა“. დაუყოვნებლივ ჩაქრეს მომჭირნეობისა და თვალების „გადარჩენისათვის“.

მაშხალის ანთების შემდეგ იქ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ყველაფერი ცეცხლმა დაფარაო, ჩაქრობის შემდეგ კი თანდათანობით ყველაფერმა თავისი სახე მიიღო.

შაქრომ სანთებელა გამოართვა, შარვლის წინა ჭიბეში საგულდაგუ-

ლოდ შეინახა და მაშალა ისე დადო ბრტყელ ქვაზე, თითქოს შორს მრემულ  
გზავრებოდა, ტრანსპორტი ელოდა და ის კი სამგზავრო ნივთებს ჩემოდა-  
ნში ალაგებდა.

— გამოდის, რომ ღლესვე მივდიგართ, არა?

— მივდივართ. მოემზადე.

უიხარიოვმა გადაგდებული ნივთები მოძებნა, ტყვიებისათვის, რომე-  
ლიც სადღაც ნაპრალში ჩაუცვივდათ და რომლის პოვნა შეუძლებელი  
იყო, ყურადღება აღარ მიუქცევია, დანა და რევოლვერი ზურგჩანთაში  
ჩაალაგა.

— მე ვარ ერთადერთი კაცი, ვისაც ნათესავი არა ჰყავს, არც მათი  
საფლავი იცის, არც წინაპართა საფლავი ეგულება. ეს, ეტყობა, დიდი  
უბედურება. მე მინდა ვიცოდე ჭეშმარიტი ტირილი ახლობლის დაკარ-  
გვაზე, სიხარული ახლობლის დაბადებაზე... ასეთი გრძნობა ჩემთვის  
უცნობია.

— შეგერთო ცოლი, გაგეჩინა შვილები, შვილიშვილები და... ასე  
შეიქმნებოდა ახლობელთა წრე, მოგესმინა გამზრდელებისათვის... ბანკი  
გატეხე და... თავშესაფრად საზღვარგრეთ გარბიხარ!..

— ძია შაქრო, მაპატიე, მე გვიან, ძალიან გვიან გავიგე ყველაფერი.  
ცოცხალი თუ დავრჩით, გამოვასწორებ. ჯერ კიდევ სიკვდილის ყბეზში  
ვართ. იქნებ ეს გამოქვაბულიც მოგვენატროს, ვინ იცის. ჰო და გაუგება-  
რი მდგომარეობის უფსკრულთან მოერიდე ჩემს გულს! ვინ იცის, იქნებ  
ორივე უნდა ჩავიხოცოთ სადმე ნაპრალში. საიქიოს მაინც ნუ წამყვება  
ვინმეზე განაწყენების ეშმაკი! — თითქოს ემუდარებოდა ვალერი.

— ვითომ გასაგებია ყველაფერი?

— დამიჯერეთ.

— მაგას კიდევ გავსინჯავ უიხარიოვ. ახლა გამოვნახოთ რამე თოკის  
მსგავსი.

ქამარი ქამარზე გადააბეს. ბრტყელი სარტყელი გაჭრეს, ისინიც ერთ-  
მანეთზე გადააბეს, ამას მიუმატეს ზურგჩანთის ცალი სამხარე და მიიღეს  
საკმაოდ გრძელი და საიმელო თოკი.

ძია შაქრომ მაშალა მოიმარჯვა და უიხარიოვს მიუბრუნდა:

— აქ ღლე-ღამის გარჩევა ძნელია. მუდამ ბნელია. ამიტომ დილის  
ლოდინი ზედმეტია. წყლის ამ მომაბეზრებელ ჩხრიალში დ შთაბეჭდილე-  
ბების ქაოსში მაინც არ დაგვეძინება. ვიაროთ! იცოდე, მე სათაფლია მი-  
ნახია და მესმის მიწისქვეშა გამოქვაბულისა და მდინარის კალაპოტის  
თავისებურებანი. მე არ მინდა ზედმეტად დაგაშინო, მაგრამ მინდა გაგა-  
რთხილო, იყავი დაკვირვებულად, ნაბიჯს აზრი მიაყოლე, ლოდები ლი-  
პია და ამით უფრო საფრთხილო. მოგვიწევს ხოხვა, წყალში სიარული,  
ლოდებქვეშ ძვრომა და ყველაფერი ის, რასაც „გზა დაგვავალებს“. უფრ-  
თხილდი მტკივან ხელს ზედმეტი შეფერხების თავიდან ასაცილებლად.

წყალი ძალიან ცივია. იქნებ კიდეც გავითოშოთ. მოულოდნელი რჩტვრე-  
ვისა და სასიკვდილო დაშავების დროს... — აქ მოულოდნელად სიტყვა  
გაწყვიტა ძია შაქრომ და ვალერის შეხედა. ვალერიმ თავი დახარა უსიტ-  
ყვო მორჩილების ნიშნად. ისევ შაქრომ დაიწყო: — მოსწი მარჯვენა, ქა-  
მარი გამოგაბა! — გამოაბა ქამრის ერთი ბოლო, მეორე ბოლო თვითონ.  
შოიბა მთამსვლელივით, რომ საღმე ერთმანეთი არ დაკარგოდათ ან სხვა  
რომელიმე უფსკრულში არ ჩავარდნილიყვნენ. ანთებული მაშხალა მაღლა  
ასწია და უთხრა:

- ილოცე!
- ღმერთო მიშველე, ღმერთო, გვიშველე!
- ჩემს მაგივრად ლოცულობ?
- ოღონდ მზე დავინახო და... იმ ყანას მე გავითოხნი, სულ დავთო-  
ხნიდი კოლექტივის ყანებს!

ძია შაქრომ დამცინავად გაიღიმა და თქვა ერთი სიტყვა:

— მომყევი!

პირველი თვითონ შებრუნდა.

კარსტული გამოქვაბულიდან მდინარის კალაპოტამდე ორი ნაბიჯი-  
იყო. ამ ორი ნაბიჯის გადადგმამ ისინი საუკუნოდ დააშორა კარსტულ გა-  
მოქვაბულს, ნაცნობ გარემოს, „შეჩვეულ ჭირს“... წყალქვეშა მდინარის  
გვირაბს ელდასავით დაეცა მარად უხილავი შუქი. ამ შუქმა იქაურობა  
უცნაური გარინდებითა და გულის ხმაურით ავსო. სიცარიელე და მდინა-  
რე ერთმანეთს ებრძოდა. ერთი წუთით მდინარე რომ გაყინულიყო, სიცა-  
რიელეში ჭერ უხილავი მყუდროება დამყარდებოდა. იქაურობა თავისი  
მდუშარებით რომ აჯანყებოდა მდინარეს, ამით არაფერი შეიცვლებოდა.  
თავნება, ურჩი, მუდამ მოძრავი, მებრძოლი, ჭიუტი მდინარე უშიშრად გა-  
ნაგრძობდა გზას. იქ ღროს ჰქვია ერთი სახელი: მარადისობა..

დასაწყისში თაღი ისეთივე მაღალი იყო, როგორც ჩვენი უცნაური  
მგზავრების „მშობლიური“ გამოქვაბული. ოღონდ არსად არ ჩანდა ცის-  
ნაჭერი. ალბათ აქ უცნაურიც იქნებოდა ზეცის დანახვა, ეს ალბათ მოუ-  
ლოდნელი და ამ მოულოდნელობის გამო გაუძლისი სიხარული იქნებო-  
და. მოულოდნელი დიდი სიხარული მოულოდნელი დიდი ელდის თანაბა-  
რია. ისინი ერთნაირი ქმედებით აჩქროლებენ სისხლს და უცნაური წნე-  
ვით აწვებინ გულის კაპილარებს.

ახლა კი ცის ნაჭერის გამოჩენა მათ აზრადაც არ მოუვიდოდათ და  
მართალიც იყვნენ. ცასა და დედამიწაზე მზეა, სიცოცხლის სუნთქვაა, სი-  
ცოცხლე თავისთავად გულისხმობს ღროს, სიმეტრიას... აქ კი მხოლოდ  
წყვდიადია, მარადიული წყვდიადი, და კველა ესენი გამორიცხულია.

პირველი, რაც აქ მათ „გაიცნეს“, იყო ნესტოებზე შეობებული ცივრ-  
სინესტე, სიყრუე, ჭერ განუცდელი ხმები და გარემო, ლორწოსა და „შა-  
რადიულობის“ სუნი.

უიხარიოვს მოეჩვენა, რომ ადამიანი არასრულყოფილი უმნიშვნება, რომ მას აკლია რომელიღაც გრძნობა, თორემ ამ ხმებს, ამგვარ გარემოს, უცნაურ წინააღმდეგობებს, ერთბაშად, მშვიდად. ჩვეულებრივად ალიქვა-მდა, აქაც ისე იგრძნობდა თავს, როგორც სახლში: ჭადრაკის ან ბილიარ-დის თამაშის დროს, ყავის ან ღვინის დალევისას, მეგობართა შორის წაუ-ბრისას ან კიდევ ჩვეულებრივ — მატარებლით ან თვითმფრინავით მოგზა-ურობისას მშვენიერ ქალთან ერთად. ის, იქნებ მაშინ ყოფილიყო სრული ბედნიერება. და თუ კი ვინმეს ბედნიერება აკლია, ეტყობა, ეს მისივე პი-როვნების არასრულყოფილების ბრალია და არა სხვა რამას.

თავისთვაში ასეთი უქმარობა მაშინ დაეუფლა უიხარიოვს, როცა მაშ-შალით განათებული სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების. სამყაროში შე-ვიდა. ის ამ მშვენიერებამ მოხიბლა, თანაც შეაშინა და მონუსხულივით გჩერდა. ეს იყო ძია შაქრომ ლოდიდან ლოდზე გადააბიჯა, თითქოს თო-კით ვილაცამ უკანვე მოსწიაო, შედრეა, დაბარბაცდა, და უკანვე ნაბიჯგა-დმოდგმული იქვე ლოდზე მიწვა.

— ეს რას ნიშნავს? — თქვა მან და უკან მოიხედა.

ეს სამი სიტყვა ქვესკნელის „ექომ“ ისე დააბუბუნა, ვალერის ეგონა ყუმბარები აფეთქდაო. გამოძახილი რომ ჩაკვდა, ძია შაქრომ მაშხალა მი-ანათა უიხარიოვს და მის გაფითრებულ სახეს თვალი რომ მოჰკრა, ჰკითხა:

— რა მოხდა?

ვალერიმ ძლიერ მოახერხა კითხვის შებრუნება:

— რა მოხდა? ხომ არ დაეცი?

— აკი გაგაფრთხილე — თოკის ნახევრისოდენა მანძილი მუდაშ თა-დარიგში იყოს მეთქი.

— სადა ვართ ძია შაქრო?

— კარგად იცი.

— ასეთი რამ ჯერ არსად მინახავს. ვერ გავიგე, ეს ბედნიერებაა თუ უბედურება, ზღაპარია თუ სინამდვილე!

— ყოველი ფეხის ნაბიჯზე ზღაპრული სილამაზეა, ეს იქნება დედა-მიწაზე თუ ქვესკნელში, ცაში თუ ზღვის ფსკერზე. ამას მხოლოდ დანახვა, შეგრძნება და შეყყარება უნდა. დაცვაც უნდა! — ნიშნისმოგებით უთხრა.

ამ სიტყვებმა თავის დანაშაულში ჩაახედა ვალერი უიხარიოვი და განციფრებისაგან ისე გამოერკვა, თითქოს ნეკნებში ლურსმანი ჰკრესო.

— წავიდეთ! — თქვა ძია შაქრომ.

— ეს რას ნიშნავს? ეს ყინულის ლოლუებს ჰგავს.

— სტალაქტიტები და სტალაგმიტები! ეს ერთი „ლოლუა“ ალბათ ათას წლებს ითვლის. თანაც ძალიან მკვრივია, ეს წყლის წვეთების მარა-დიული „მუშაობის“ შედეგია, ნამცეცობით დანალექებია. მაგრამ ახლა ამის დრო არაა, მოყვევი.

ისინი ლოდებზე ხან ხტებოდნენ, ხან ციმ-ციმ გადადიოდნენ, წყალ-

ში, ქვებსა და ხავსიან ლოდებზე აბოტებდნენ. ეს არაფერი, მთავარი იყო, რომ გვირაბის თაღი თანდათან დაბლდებოდა, სტალაქტიტები შემდეგ მარტინი — ეს უცნაური ლოლუები უახლოვდებოდნენ და გვირაბის წინა, გაუნათებელი მხარე ემსგავსებოდა ნიანგის დალრენილ ხახას ბასრი და უცნაური კბილებით, ეშვებით ან კიდევ საცეცებით. ამ „ეშვების“ დამტვრევა შეუძლებელი იყო. ეს იყო ყველაზე აუტანელი წინააღმდეგობა, რასაც კი ისინი მოელოდნენ.

— უარესის უარესი არ დაილევა, არც უკეთესის უკეთესი. აქ გულგატეხილობა არაფერ შუაშია! — გამამხნევებლად თქვა შაქრომ, თუმცა გული უიმედობით უტიროდა. მართლაცდა, ეს რა უბედურებაა? გვირაბმა თითქოს კრიჭა შეიკრა, ყბა ყბაში გასჩარა და დაღუმდა, მგზავრები კი „ცივი“ საშინელების წინაშე დააყენა. ამ დანალექებს შორის ზედა ყბაზე ამოგლეჭილ კბილივით სიცარიელე იპოვეს. ძია შაქროს შემოწმებით აქ კაცი გაეტეოდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ქვემოდან ამონაზარდ „ლოლუებზე“ გადაცურება იყო საჭირო.

შაქრომ ზურგჩანთა მოიხსნა და თქვა:

— ამ სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების „ლურსმნებზე“ რომ გადაცურდები, ეს ზურგჩანთა მომაწოდე და გაღმოძვერი, ოღონდ ფრთხილად იყავი, ხელი არ იტკინო.

შაქრო გადაძერა იქითა, თითქოსდა უფრო რთულ, ჯერ ალუქმელ სამყაროში, მარადისობის ზღაპრებში. ვალერის ზურგჩანთის სამხარეზე ხელი უტაცა, თავისკენ გადაითრია და, მოხერხებულად რომ მოეწყო, ვალერის „დასახვედრად“ მოემზადა. ისიც რის ვაივაგლახით გადაძერა და ერთ ბრტყელ, ლიკ ქვაზე ჩამოსხდნენ.

შიმშილმა და სიცივემ შეაწუხა ისინი.

ფეხები დაუსველდათ, შარვალიც დაუსველდათ მუხლებამდე.

შაქროს სუნთქვა უჭირდა. ვალერის გული მისდიოდა მქლავის ტკივილისაგან, მითუმეტეს, ლოდებზე ცოცვასა და ხტომაში არაერთხელ წაჰერა ქვაზე.

დასვენებისათვის არ ეცალათ თუნდაც იმიტომ, რომ მაშხალა იწვიოდა, შიოდათ. არავინ იცოდა დღის სინათლემდე ათ წუთში გააღწევდნენ, ათ საათში თუ ათ დღეში... და ამ მდგომარეობაში ათ წუთს გაუძლებდნენ, ათ საათს თუ, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ დღე-ღამეს!

ვალერიმ ქურთუკი ჯერ კიდევ ადრე გადააგდო. ნეტავ რატომ? იქნებ იმიტომ, რომ დაუსველდა, ან ემძიმა მისი ტარება? — არა. გადააგდო იმიტომ, რომ ძია შაქრო წელს ზევით მოშიშვლებული იყო, ცივოდა. რომ შეეთვაზებია, არ ჩაიცვამდა, ამით გული უარესად დასწყიდებოდა.

ისხდნენ ცივ ქვაზე და სიცივისაგან კანკალებდნენ.

— მთავარია, თავი არ წაარტყა სტალაგმიტებს. ზოგი სამართუბელი ვითაა, ზოგი საღისივით წვეტიანი... შენ რა, სად წაიღე ქურთუკი?

ვალერი პირდაპირ პასუხს მოერიდა და იცრუა:

— დამისველდა! სველი ტანსაცმელი და მოწამლული თაფლი ერთია. მირჩევნია გავიხადო ფეხზე, ვიღრე ვატარო სველი ფეხსაცმელი.

— ეს ცხადია, ჯობია, მაგრამ საშიშიცაა. ამ სიბრმავეში შესაძლოა წახნავოვნებზე დაპკრა ფეხი და გაიჭრა. ქურთუკი როგორლა. დაგისველდა?

— რა ვიცი, დამისველდა. — იცრუა ვალერიმ და თავი დახარა. ისე-თი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს პერანგი, რომელიც შერჩენოდა, ტანზე ეწოდა, რადგან... ძია შაქრო წელს ზევით მოშიშვლებული იყო და სიცივისაგან კანკალებდა.

— ნეტავ რა დროა? იქნებ შუა ღამეა. — თქვა შაქრომ.

— მაგ ზურგჩანთას ცოტა ხანს მე წამოვიღებ.

რაღაცა მოულოდნელად გაიტკაცუნა და მკვაჩე ხმა ელდასავით და-არხია მობჯენილ უკუნეთში; ეს მაშხალისაგან გამობარი სტალაგმიტი გაბ-ზარულიყო.

— წავიდეთ! — რაღაც უცნაურ ხმაზე წარმოთქვა შაქრომ. ამ ხმაში რწმენა და ურწმუნობა, შიში და გამბედობა, გადარჩენის იმედი და უიმე-დობა ერთმანეთს შემსხვრეოდნენ.

წავიდნენ.

ბევრი იწვალეს.

ფარულად გუნებაში ხან იცინოდნენ, ხან ტიროდნენ.

კიდევ უფრო შეცივდათ.

შაქროს ფეხსაცმლები წყალმა გახადა, მაგრამ კაცი არც კი შემდგარა: გზას განაგრძობდა. ლოდებქვეშ ხან ძვრებოდა, ხანაც წელგამართული მი-დიოდა, ხან ხოხავდა, ხანაც ხტებოდა. უიხარიოვიც იმასვე აკეთებდა, რა-საც ძია შაქრო. მას, მართალია, მხარზე ტვირთი არ ეკიდა, მაგრამ მოტეხი-ლი მკლავი სავმაო ტვირთად აწვა.

შაქრომ შიშველი ცერი ქვას წაპკრა და გამწარდა. მამალივით ამოს-წია ცალი ფეხი და სახე დაემანჭა. ცივ წყალში იდგა, მაგრამ ტკივილი სი-ცივეს ავიწყებდა. ზურგჩანთა ქვაზე დადო, თავი წაუხსნა და ტვირთის შესამსუბუქებლად რევოლვერი გადააგდო.

ცოტა რომ გაიარეს, იქედან სხვა ბარგებიც ამოყარა.

დაიღალნენ.

წუთით შედგნენ.

მაშხალა ის-ის იყო, უნდა ჩამწვარიყო.

— გახხადე ლანჩიანი ფეხსაცმელი, მაშხალა ინავლება.

— ფეხსაცმელები ორივე გამძვრა და დამეკარგა. გამწარებული ვი-ყავი და ყურადღება აღარ მიმიქცევია.



— მაშხალა ეს-ესაა უნდა ჩაიწვას, დავიღუპეთ!

— ახლა იმ ფეხსაცმელებს ეშმაკიც ვეღარ მიაგნებს. რამდენ გვეყოფა მაშხალა?

— დიდი-დიდი ორი წუთი. მაშ, ბარემ ეს ორი წუთიც მოვიგოთ და მერე ვითქმიროთ.

წავიღნენ. წყლის ჩხრიალი რატომდაც მომეტებულად გაძლიერდა.

რამდენიმე ნაბიჯი და ისინი ჩანჩქერს წაადგნენ, მიწისქვეშა ჩანჩქერს.

— დავიღუპეთ! — წამოიძახა ძია შაქრომ და ვალერი იქვე წაიქცა. სწორედ ერთი სიტყვა იყო მისთვის საჭირო, რომ უიმედობას მისი გამძლეობა მოეკლა.

— რა მოვიგიდა, ბიჭო. — იკითხა ძია შაქრომ.

— დავიღუპეთ, მეტი რა უნდა მოგვივიდეს.

— ეს შენ რაებს დუდლუნებ, ადექი და მომიახლოვდი, თოკი უნდა შეგაჭრა მახაზე.

ვალერი მიხვდა, რომ ახლა მართლაც გათავდა მათი საქმე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მაინც იკითხა:

— რატომ უნდა შემაჭრა თოკი? ან მტოვებ ან მართლაც ვიღუპებით.

— არც ერთი, არც მეორე! ჩანჩქერს წავადექით. თოკით უნდა გავსინჯო მისი სიმაღლე, კლდეზე ჩამოკიდებული რომ არ დავრჩეთ. — თოკი ქვას გამოაბა და უფასერულისაკენ გადაუშვა.

ჩანჩქერი არ იყო მაღალი. რაღაც სამ მეტრამდე თუ იქნებოდა. გაესარდა შაქროს, რომ ამ ჩანჩქერის „დაპყრობა“ შეიძლება; იხმო ვალერი, იღლიებქვეშ ბაწარი გაუტარა და მკერდთან შეუსკვნა.

— ბაწრით ჩაგიშვებ...

— არ დამტოვო. — ხმა აუთროთოლდა ვალერის.

— მერე მე ჩამოვალ... აი, ამ ქვაზე გამოვდებ თოკს და ჩამოვცურდები, როგორც მთამსვლელები. აბა, მოემზადე!

ვალერი მოემზადა, შაქრომ ხახუნისაგან სიმძიმის შემსუბუქების მიზნით თოკი ქვაზე გაღმოსდო და, როგორც ხის ტოტზე გაღმოხვეული თოკით ჩაუშვია ხოლმე გიდელი, ასევე ჩაუშვა ვალერი.

ამ უკანასკნელმა ფეხქვეშ სიმყარე რომ შეიგრძნო, ამოსძახა, ჩავედიო, და თოკი მოიხსნა.

შაქრომ თოკის ერთი ბოლო გამოიბა, ქვას გაღმოსდო, მეორე მნიარეს ორივე ხელით ჩაეჭიდა და ფრთხილად დაეშვა. ზემოთ, ქვაზე დატოვებული, უკვე მინავლებული მაშხალის შუქზე წელს ზევით შიშველი შაქრო, ჩანჩქერზე გაღმოკიდებული, ზღაპრულ ამფიბიას ჰგავდა.

ფეხზე რომ დადგა, თოკი მოიხსნა, ცალ ბოლოს ფრთხილად დაეკიდა და ტყაპანით ჩამოაგდო.

ჩანჩქერს ისინი თავიდან ბოლომდე გაელუმპა. სიცივისაგან კბილებს კბილებზე სცემდნენ, ძაგძაგებდნენ. ხელებზე იორთქლებდნენ, მაგრამ

გრძნობდნენ, თითქოს ცივი ორთქლი ამოსდიოდათ და ფილტვების უკანასხალი თად სულიც ეყინებოდათ. დასხდნენ. ვეღარ ლაპარაკობდნენ, კრიტ შეკვრიდათ, თვალებსაც ვეღარ ახელდნენ. შიში, შიმშილი, უძილობა, დაღლილობა და ჯერ წარმოუდგენელ-განუცდელი გარემო... ვალერის საზომი ძია შაქრო იყო. რომ ეთქვა, საკმარისია, დროა დავისოცოთო, ვალერი უსიტყვილ მიარტყამდა თავს ლოდზე და მოკვდებოდა, მაგრამ ისინი თავის-თავის გარდა ერთმანეთსაც ეკუთვნოდნენ და უნებართვოდ სიკვდილის უფლება არ ჰქონდათ. საკმარისი იყო ძია შაქროს ეთქვა, გადავრჩითო, და მართლაც მომაკვდავი რომ ყოფილიყო, ვალერის „სული ჩაედგმებრდა“.

თვალები რომ გაახილეს, დაინახეს, რომ მბჟუტავი მაშხალა, რომელიც ზემოთ, ქვაზე იდო და ძლივს ანათებდა, წამიდან წამზე ჩაქრისმით ემუქრებოდა მათ.

შაქრომ ხელი გაივლო შარვლის წინა ჯიბეზე, სადაც სანთებელა ჰქონდა შენახული, და გასინჯა, მაგრამ ამაოდ. დასველებულიყო და აღარ აინთო.

ძია შაქრო ახლა პგავდა იმ პილოტს, რომელმაც იცის, რომ თვითმფრინავი დაუზიანდა და არც თავისითავის შეველა შეუძლია და არც სხვისი.

თვალებზე აითარა ხელი და კბილები დაახრიჭიალა. იქაურობა კარგად მოათვალიერა და ვერაფერი საიმედო ვერა ნახა რა.

ჩანჩქერიდან არამდენიმე მეტრის მანძილზე, თითქოს კლდე საგანგებოდ გამოხვრიტესო, წყალი ყუტ-ყუტით შედიოდა და საღლაც მიეღინებოდა.

მაშხალა ჩაქრა და სრული სიბნელე გამეფდა.

— ახლაც არა გვერა, რომ დავიღუპეთ? ბოდიში მინდა მოგიხადო, როგორც აღამიანს. მე თავი დავიღუპე, მაგრამ შენ რაღას გერჩოდი?! ჩემი შეცდომა გამოუსწორებელია, მისი გამოსწორების საშუალება რომ მომეცემოდეს, სხვანაირად მოვიკცეოდი, მაგრამ ეს მე აღარ მეღირსება. მაპატიე, ძია შაქრო! ვიცი, სიკვდილის საათი დაღვა და მინდა ეს ჩემგან მიიღო აღსაჩებად.

— მომეშვი! — თქვა ძია შაქრომ, რომელიც გატაცებით აკვირდებოდა ნაპრალს.

— მინდა მიიღო!

— მომეშვი-მეთქი — ნერვიულად შეჰყვირა შაქრომ და კლდის ნაპრალს თვალებით კიდევ უფრო მიაშტერდა.

— მინდა მაპატიოთ!

— მომეშვი შე უღმერთოვ! — მთელი ხმით წამოიძახა და უცებ ჩურჩულით დაიწყო, თითქოს შეეშინდა არ გამქრალიყო ის სანუკვარი ხილვა. — აი, შეხედე ნაპრალს... თითქოს სინათლე გამოკრთოდეს! აბა, კარგად დაკვირდი! ვგონებ. იქ სინათლე გამოკრთის და ჭივლებზე ლიცლიცებს...

ძია შაქრო არ შემცდარა. კლდის იმ ბუნებრივ ხვრელში, სამაც მართვა მოვარდის ნარე ისეთი სიზუსტით და სისავსით გადიოდა, როგორც წყალსაღერს მიღლში, ღრო და ღრო შუქი გამოკრთოდა. წყლის ჭავლების მოძრაობის ღროს, ჰაერის ნაკადის დაწოლით იქმნებოდა სიცარიელე, საიდანაც დღის სინათლე ატანდა.

ახლა ძია შაქრო და უიხარიოვი ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, როგორც ნაღმზე მდგომი კაცი, რომელმაც არ იცის თავის საშველად ნაღმიღან გადახტეს თუ არა. ვაი თუ გადახტომის შემთხვევაში ზამბარის ძალამ ღაპტრას კაფსულს და ააფეთქოს. თუ არ გადახტება, მაში, ნაღმზე დგომით ზეზეურად მოკვდეს?

ძნელია თქმაც და ბედთან შერიგებაც.

შაქრომ უთხრა ვალერის:

— ჩავყვინთავ და გავალ. თოკი თუ ერთბაშად მოვქაჩე, წამოლი, თუ კი — ღრო და ღრო, მაშინ უკანვე გამიყვანე.

თოკი ორივემ მკლავებზე გამოიძეს და გადაწყვეტილების აღსრულებას შეუდგნენ. ერთი შეხედვით ეს იყო ცველაზე რთული ბარიერი, რაც კი მათ ამ ხნის განმავლობაში გადაულახავთ. თანაც შეუცნობელი. არავინ იცოდა იმ ხვრელის იქით რა იყო, ვაი თუ კვლავ უფსკრული, ან ჩანჩქერი?! მაგრამ სიკვდილი დღეს თუა აცილებელი, ბარე იყოს.

ძია შაქრო ამ ცივ წყალში ჩაყურყუმალავდა იმ იმედით, რომ ხვრელის სისქე დიდი არ უნდა ყოფილიყო და წყლის სწრაფი დინება იმ „ანგელოზ“ სინათლემდე სწრაფად გამოიყვანდა. უიხარიოვს შეეშინდა, ხვრელში არ გაეჩხიოროს და არ დაიხრჩიოს, მაგრამ ვინაიდან ახლა ბრძოლა მხოლოდ სინათლის სახილველად იყო მიმართული, აღარას დაუდევდნენ.

ძია შაქრო ხვრელის იქით მიიმალა... და აქ, წყვდიაღში დარჩენილი უიხარიოვისათვის წამი საუკუნედ გადაიქცა. ის თოკით ნიშანს ელოდა და, აპა, ისიც! შაქრო ანიშნებდა ჩავყინთეო... მოგეშველები... გამოისვლება... გადარჩები!..

ვალერი ისე გადაეშვა წყალში, თითქოს ნებაყოფლობით მდუღარე კუპრში შეცურებულიყოს. რამდენიმე წამში ისიც, ისე როგორც შაქრო, თითქოს „უფსკრულის საშოდან დაიბადაო“, მოევლინა ქვეყანას. ეს იყო მეორედ დაბადება...

გონს რომ მოეგო, იგრძნო, რომ სადღაც მყუდროდ წევს. თვალებზე რაღაც მსუბუქად აფარია, მაგრამ მზის ცხოველმყოფელ სინათლის ძალას მაინც გრძნობს.

— ძია შაქრო! — ნახევრადჩურჩულით თქვა ვალერიმ.

— ჰო, ძია შაქრო ვარ.

— ცოცხალი ხარ? ცოცხლები ვართ? — უჩვეულო მღელვარებისა და სინათლისაგან უპეებში ცრემლი ჩაუდგა. — აქამდე ცის პატარა ნა-

გერს ვხედავდით, ახლა კი მთელი ცა ჩემს თვალებს ეკუთვნის. რა ბედ-ნიერები ვართ?

— ჰო, ვართ.

— ძია შაქრო, გული მეუბნება, რომ შენ რაღაც სხვანაირი გახდი.

— რა ვიცი, შესაძლოა!

— თვალები მაინც გავახილო, მაგრამ სინათლე მაწუხებს.

— თვალები უნდა გაახილო და უნდა აიხილო კიდეც! — თითქმის ორაზროვნად უთხრა ძია შაქრომ.

ვალერიმ გაახილა ცრემლით სავსე თვალები. ძნელი იყო იმის უაგება, თუ ვის და რას ეკუთვნოდა ეს ცრემლები: სინანულს, მორიდებას, მზეს, შიშს თუ...

— ძია შაქრო!..

— ?

— ხმას რატომ არ მცემ? მე კარგად მესმის შენი, ძია შაქრო. შენ გინდა ახლა ხელები შემიკრა და სასაზღვრო საგუშავოზე მიმიყვანო. ეს ასეც უნდა გააკეთო, სხვანაირად არ შეიძლება. მე ამას უკვე შევეჩვიე. მაგრამ გული მტკივა... .

— რაზე?

— რომ შენ გშორდები, რომ... ვიცი, უარს მეტყვი თხოვნაზე — მომიკლა ყველა იმედი, მაგრამ არ მომიკლა იმაზე ფიქრი, რომ შენ ჩემი მამა ხარ.

— მაგრამ ხომ შეიძლება შვილი დამნაშავე იყოს?

— დიახ, მე დამნაშავე ვარ. მაგრამ მხოლოდ შენს წინაშე, — უდიერად მოგექეცი, გაგაწამე... ქვეყნის წინაშე დანაშაულის მცდელობა მამძიმებს მხოლოდ. მცდელობა მკვლელობისა არაა მკვლელობა... უნდა მაპატიო, რომ გული გატკინე, მაპატიო, როგორც ადამიანმა.

— ჩემისთანები მილიონები არიან. მე ერთმა რომ გაპატიო, ეს არ ნიშნავს, რომ გაპატია სხვამ.

— მე მინდა თქვენ თქვენი წილხვედრი მომიზლოთ, ქვეყნისა და ხალხის წინაშე პირადად გამოვისყიდი, სისხლით გამოვისყიდი, ოლონდ სიკვდილის წინ მინდა ვინმეზე გული შემტკიოდეს. კაცი ვინმეს უნდა მოუკვდეს ქვეყნად, ვინმე უნდა ჟყავდეს.

— განა არ შეგეძლო ეს გეთქვა იმ ღვთისნიერი ადამიანების მიშართ, რომლებიც ცდილობდნენ კაცად გამოეყვანე.

— უსარგებლოა ფიქრი იმაზე, რაც იყო, საჭიროა ზრუნვა იმაზე, რაც იქნება.

— რა იქნება, შენი აზრით, ვალერი?

— დავისჯები. მაგრამ რომ მომეცემოდეს საშუალება შეცდომის გამოსწორებისა...

— კარგი! — თქვა შაქრომ და პირი მოარიდა.

— თქვენ მე ბევრი რამ მასწავლეთ, ძია შაქრო.

— ?

— მიწის ყადრიც ვისწავლე, ცისა და მზის ყადრიც, ადამიანის ყადრიც ვისწავლე, ოო, რარიგ ძლიერად! თანაც მეორეჯერ დავიბადე ძია შაქრო. ჩვენი გადარჩენა ჩემთვის მეორედ დაბადება!

— კარგი ახლა, მე ყველაფერი მესმის... შენ გაზრდა გაჭლდა. ცომივით ხელახლა რომ შეიძლებოდეს შენი შეგუნდავება, პატიოსან კაცად გადაგაქცევ. მე მიყვარს ხარის გაწვრთნა, ვიდრე მისი დაკვლა.

— საშინლად მშია, ძია შაქრო... დასაკლავი უნდა დაიკლას!

— დაკვლა მუდამ შეიძლება, გაწვრთნაა საჭირო, რომ უღელში შეაბა, ყანა დაახნევინო, შეშა მოატანინო. შენ დასასჯელი ხარ, ვალერი. მკაცრად დასასჯელი ხარ დღემდე ნამოქმედარით. დღეის შემდეგ, არ ვიცი, რა მოხდება.

— ასეთ დროს პატიება უფრო დიდი სასჯელია.

— ეს მე არ მეხება და სწორედ ვისაც ეხება...

— ჩვენ იმასთან მივალთ! შემიკარ, ძია შაქრო, ხელები.

— არ არის საჭირო, რაღან ვხედავ, შენში არაფერი არ არის ისეთი, რომელსაც ბორკილი არ ედოს. სულსაც შენსას ბორკილი ადევს. ეს თვითონ შენი მეცადინეობით. — სავმაოდ გულსატკენად თქვა ძია შაქრომ, მაგრამ მისგან გამოსხივებულმა უდიდესმა აღამიანურობამ გული გაუთბო ვალერის.

— გულიც რომ ამომართვა, მაინც ვიტყვი — აღბათ ასეა საჭირო-მეთქი, ძია შაქრო არ ცდება და არც არასძროს შეცდება-მეთქი.

— შენ ჩემი გვერა? — სხვათა შორის იყითხა ძია შაქრომ.

— მხერა ყველას სახელით: მამის, დედის, დის, ძმის, ნათესაობის სახელით, რაღან არავინ ამათგანი არა მყავს, არც ის ვიცოდი რა იყო აღამიანი... მხერა!

— მხოლოდ დღეს?

— სიკვდილამდე.

— კარგი, წავიდეთ. მეც მშია. რაღაც უცნაურად მშია. — სუფრას-თან რომ მიმიწვიონ, აღბათ ლუქმასაც ვერ ავიღებ.

— მეც აგრე. წავიდეთ. მოტეხილ ხელს რაღა ბორკილი სჭირდება და... აი, ეს ხელი კი ქამარზე გამიკარი.

— ეს როგორ? აკი გითხარი...

— საჭიროა. იტყვიან, ძია შაქრომ დივერსანტი შეიპყრო, გაბაწრა და მოიყვანაო. თქვენი სახელია, ჭილდოზე წარგადვენენ...

— მერე? — გული ეტკინა ძია შაქროს. — მე ჯილდოზე არასძეს მიფიქრია. გაცილებით მეტს გეტყვი, თუმცა არ დაიჭერებ. ომში გშირობა ჭავიმსახურე, მომერიდა ალიარება და დავასაბუთ, რომ ეს სიკეთე სხვამ ჩაიღინა. ის „სხვა“ დღესაც ბრძოლის გმირია. როცა ერთმანეთს ვხვდე-

ბით და თვალებში ვუმზერთ, გრძნობს, რომ მე ვარ გმირი და ის ლაჩ არი... წავიდეთ.

— თქვენგან ბევრი რამ უნდა ისწავლოს კაცი, ძია შაქრო! ვაი, რომ მე აღარ მექნება საშუალება შეგხვდე.

— ნუ გეშინია, ჩვენი ქვეყანა ჰუმანურია, აღზრდის ქვეყანაა. ჩვენს ქვეყანაში დაბადებული და გაზრდილი კაცი, რაც არ უნდა უცხო და შორეული იყოს ის, მაინც ჩემი ქვეყნის შვილია. სამშობლო იგივე მშობელია. მშობელს უნდა მოუსმინო. წამოდი. წავიდეთ ისე, როგორც გლეხები მიღიან ყანაში.

— არა, მე წინ წავალ. როგორც პატიმარი. თქვენ — უკან მომყევით მეფეალყურე.

ძია შაქრო გვერდით მიუდგა და უთხრა:

— ჩემი სიტყვა შენთვის კანონი თუა, წავიდეთ ერთად. ამას შნიშვნელობა არა აქვს მართლისა და დამნაშავის დაზუსტებისათვის.

\* \* \*

საგუშაგოზე გამოარკვიეს, რომ ის უცნობი ჭარისქაცი დიდ თოვლობაზე ზვავის შედეგად მთებში უგზო-უკვლილ დაკარგული იური პანჩენკო იყო. გადაწყვიტეს მისი ნეშტის გაღმოსვენება. პანჩენკოს მშობლებს შეატყობინეს. ამასთანვე მორწვიეს ხელმძღვანელი პარტიული და კომერციურული ორგანოებიდან სტუმრები, კოლმეურნები. მათ შორის — ძია შაქრო.

იმ დღის შემდეგ ვალერის ძია შაქრო არ უნახია და ახლა მისმა გამოჩენამ ააფორიაქა. წამოხტა და მორიგეს უთხრა:

— გამიშვით იქ.

— ნაბრძანები მაქვს ნაბიჯი არ მოგაცვლევინო. შენთვისაც მოიცლიან.

— გავიქცევო.

— გესვრი.

— მესროლეთ! ოღონდ მეც იქ უნდა ვიყრ, სადაც ძია შაქროა, სადაც საგუშაგოს უფროსი ბორის ნიკოლოზის ძე გრანინია, სადაც პანჩენკოს მშობლები არიან, სადაც...

— სდექ!

— ან იქ, ან მესროლე. მე ახლად დავიბადე და...

— საზღვარს მკაცრი კანონები აქვს, უიხარიოვ, ნუ უხეშობ, თორემ გესვრი და გაგათვებე.

— მე ადამიანებთან მიერთივარ. ამისათვის თუ უნდა მესროლო, აღსრულდეს ნება! — თქვა და გაიქცა. რომ ძია შაქროს მამაშვილურია ჩა-ხუტებოდა.

სწორედ ახლახან გაწვეულმა ახალბედა მესაზღვრემ იარაღი შემართა  
და ვალერის საბედისწერო გამაფრთხილებელი ხმით შესძახა: გიგანტის  
— სდექ, გესვრი!

— მესროლე, თუკი ეს საჭიროა. მე ძია შაქროსთან მივდივარ, ხალხ-  
თან მივდივარ, რომ ყველაფერი ვუამბო...

ის იყო ვალერი გადასცდა საკონტროლო ხაზს და — დაეცა. ის ახა-  
ლბედა მესაზღვრის ტყვიამ მოცელა.

სწორედ ისე, როგორც ფრონტზე დაჭრილი თავისიანებისაკენ ხოხვით  
გაიწევს, ვალერიმ იქ შეკრებილი ხალხისაკენ გაიწია, მაგრამ ამაოდ. მი-  
საშველებლად მასცვივდნენ და სინანულით წამოაყენეს.

საგუშაგოს უფროსმა გრანინმა მედიცინის და დაიოთხვა და თქვა, —  
სამწუხაროა...

---

## სონეტების გვირგვინი

1.

ლეთეს ულმობელ მდინარებას ვერ გავატანე,  
 ვერ ეუმასპინძლე დავიწყებას ძეელი ტკივილით.  
 ამის გარეშეც არ ყოფილა ცხოვრება ტკბილი,  
 ერთად ხვდომია არსებობა ბეღნიერ ტანდემს.

შემორჩენილა მაღალ სულზე შემთხვევით ტანი,  
 თუმცა თვით სული დაღალული უჭირავს კბილით;  
 გადაქრულია ორივეზე მზის დერმატინი,  
 სამხიარულო სიმღერებით და ლიტანიით.

ნუთუ ყველა დღე გასულია... ვით ანათემა,  
 შორიდან ბრწყინავს გაცვეთილი წარსულის თემად  
 ძველი სამყარო ვარსკვლავებში გამოსახული.

ურუანტელივით სიბნელიდან დაპბერავს ზარა,  
 ნავლდება შიშით იმ გავლილი დღის საზღაურად  
 ოცნების თვალით სახილველი წყვილი საყურე.

2.

ოცნების თვალით სახილველი წყვილი საყურე  
 ჟველა დანარჩენ მოგონებას რომ ჭარბობს სრულად —  
 აი ნიშანი წარმავლობის, ჯერ არ მოსრული,  
 ფასეულობა ჩემი მცირე, რაც მამსახურებს.

ნუ ასმენინებთ ვალტორნებით გადაღლილ ყურებს  
 ამ სამწუხარო ჰანგებს, როცა ბედის სასრული —  
 შეშლილობისას ჰგავს დახატულ ვან გოგის სურათს,  
 ან წიგნს, რომელიც სულ ახლახან უხმოდ დავხურეთ.

ეს მდინარება არსებობის არსი არ არის?  
 არ იძერწება აქ დრო, ვითარც ქვები სილაში?! —  
 რასაცა დასწერს პალიმფსესტზე, იმასვე წაშლის.

მაშ, ვიღასთვის რექს დილის საარი,  
 სადღა თავსდება, ან იმ დღეებს ვინღა აპურებს?  
 ფიქრების გარდა არ არსებობს კიდევ სხვა ყურე.

### 3.

ფიქრების გარდა არ არსებობს კიდევ სხვა ყურე,  
 სხვა ამისთანა უწყინარი განსაცხრომელი,  
 იმედის, ნდომის ამნაირი მოსახილველი...  
 განა აბრამავებს კულისები სცენის მსახურებს?

ო, რამდენია ტრაგიული და სახუმარო?  
 ბოლოს მომიღებს ალბათ ისევ წყალობა თქვენი  
 უამი-კრონისი, საკუთარი შვილის შთანმთქმელი  
 (ყოველთვის ერთი დირიქორი ჰყავდა ამ ქოროს).

განმეორებულ ცხოვრებას ჰგავს ეს მოგონება...  
 რადგან სალმობარს არ ჰყავს გამგონე  
 მოწყენილია ჩემი მიმები.

და იმათ შორის მომხიბვლელი ჩემი ჰეტერა  
 კვლავ ინებივრებს იდუმალი ფიქრის იმედით,  
 ვიდრე იმ დღეთა სახსოვარი გულში ნეტარებს.

### 4.

ვიდრე იმ დღეთა სახსოვარი მარად ნეტარებს  
 სიცოცხლის შეგასი არ ყოფილა სხვაგვარი სევდა.  
 აქ აღარ ხდება ამ სიმღერის გადაფასება,  
 იგი სხვისთვისაც თუ რაიმეს ნიშნავს მეტადრე.

სხვა აღმაფრენის სიხარულით, ნამეტურ ადრე  
ჩასახლებულა საუკუნოდ ჩემში არსება,  
მაგრამ ის არა, მხოლოდ მისი დიდი მსგავსება,  
რომელიც თავის სურვილების კვალზე გატარებს.

როგორ მეგონა ყოველივე არ იყო მყარი,  
არც ის შორი წვა, შორი დაგვა, რაიც მხიბლავდა,  
ვით ოცნებები მწერვალებზე, რომ ჩანან ლანდად.

მაგრამ სხვა ნობათს მიმზადებდა თურმე სამყარო,  
გულის ზრახვათა მხილველი და აზრთა მკეტავი...  
რაა სიცხადე თუ ყველანი ვგევართ კენტავრებს.

### 5.

რაა სიცხადე თუ ყველანი ვგევართ კენტავრებს,  
ვით სხვის აზრებზე მორგებულ სურვილს.  
შუადღის ცაზე უდროო დროს და უსუსური  
ვინ აგორა კარეტა — მთვარე.

განა არ კმარა, შენ ჩვენს თავზე რაც იმხატვარე?  
ჭერ არ ყოფილა დაშორება ამგვარად სულის;  
სალონებიდან გამოდიან პირგპარსულნი  
და მაინც გვანან ჩავარდნილ ტაქსი.

გრიალებს ტაში დაჩბაზებში, მაესტროს თხოვენ.  
აქ უსათუოდ დაუკრავენ ახლა ბეთჰოვენს.  
იწყება როკია, ჰალი-გალი, ეს არის ჰობი.

აქ გრძელთმიანთა შეკრებილა თითქოს სინდიდი.  
პატრიარქია გაშმაგება, მოდის პანლურით...  
რაა იმედი უსაგნობის ამ სამსახურით.

### 6.

რაა იმედი უსაგნობის ამ სამსახურით,  
მელანქოლია — უსიტყვო როლის.  
როდემდე უნდა გვაცხოვრებდეს ამ ირონით  
მშვენიერება შავი დღისთვის გადანახული.

ჰქვია ახლა ამ გახსენებას მზის სიხარული —  
დადევნებული უდაბნოში კენტავრის რონინს.  
როცა შორიდან იბწვინება მორიელივით  
ქარგისფერ თმებში შემაღლული ბიბილო ყურის—

ერთ კათხა ლუდზე ჩამომჯდარი მწველი ივლისი  
სვამდა წყურეილით. შეფაკლოდა შენობებს სახე,  
რადგან იქ იდგა უფრო დიდი თეთრი სასახლე

გაბრუებული კევის სუნით... და სიხალისე  
აბლაბუდაში მისი თმების ხვევდა ლამურებს —  
მოლოდინივით საკუთარი ჩრდილის შემყურე.

### 7.

მოლოდინივით საკუთარი ჩრდილის შემყურე,  
დღეებიც ასე მოიქანცა... ამაოდ ვეძებ  
კმაყოფილებას სიყვარულის გრილ ნაპირებზე,  
მოქცეულია თავისსავე ჩრდილში სამყურა.

ეს სანახები ო, რა გვიან მოვინახულე.  
ამნაირ გრძნობას ერიდება გამოსვლა მზეზე,,  
არც ის არ არის მწუხარების უტყვი მიზეზი,  
რომ სამყაროში ბედისწერას ერთი ჰყავს ჰუნე.

ყოვლისშემძლეა უსინათლო იგი მოძღვარი.  
ო, ტრაგედია არა მარტო ამ თამაშშია —  
შეყუული ვარ მარტოობის თეთრ ნიუარაში.

და სიყვარულიც უძლურია მოშალოს ზღვარი  
ჩვენს შორის, რადგან სიცრუეა ტრფობის მეთავე,  
პარალელები ერთმანეთს არ გადაკვეთავვნ.

### 8.

პარალელები ერთმანეთს არ გადაკვეთავენ,  
გადახდილია პარაკლისი ან და პირიქით  
ახლა იწყება საქორწინო მარშების რიტმი —  
ხრიან ვარდები გვირგვინებზე მოკვეთილ თავებს..

არავითარი პარადოქსი და არც ნეტავი...  
არსებობს მხოლოდ სიკვდილის და სიცოცხლის რიგი.  
ო, ეს გზა მაინც საით მიძის ასე ირიბად,  
სად მარმარილოს კიბეებით მაღლდება ტანი.

რადგან გზა იგი რჩეულთათვის ერთია მხოლოდ,  
მაინც ძნელია წინდაწინვე გამოიგლოვო.  
ხელებს გვიქნევენ ბეღნიერი მგზავრები პონის.

ჩუ, ეს რა ხმაა, ქარია თუ სუნთქვა შოპენის, —  
ჩრდილნი ქრებიან მზის სხივებზე მოცახცახენი.  
რა ხშირად ისმის ოქტავაში შენი სახელი.

#### 9.

რა ხშირად ისმის ოქტავაში შენი სახელი  
დო-მინორ, დონი, ირხევიან ბაგენი თრთოლვით.  
ჰაერში ყველა მოშრიალე ხმელი ფოთოლი  
არის საშველად გამოწვდილი მათხოვრის ხელი.

მხატვრისთვის ზამთრის მოდელია ტიტველი ხენი:  
ცხენის ჭიხვინით ეფინება მიღამოს თოვლი,  
თეთრი ფაფარი აშლილი აქვს, თითქოს მოთოკილ  
თავს აქიცინებს და აკავებს ვიღაცის ხელი.

საკუთარ სხეულს აწყვეტილი ეს ხომ სულია  
ბალში ქარივით დაწრიალებს... რა შორს წასულა,  
დავიწყებიათ არსებობა მისი სრულიად.

დაღამების და გათენების მოსაწყენ სურათს,  
ვინ ხატავს ნეტავ, ან ვინაა მისი მნახველი.  
სარკმელზე ნელა აკაკუნებს უღონო ხელი.

#### 10.

სარკმელზე ნელა აკაკუნებს უღონო ხელი...  
იგი ნამდგვილად არის აქვე — მოგონებაში;  
იგი აქ თოვლის სიმსუბუქით ციდან დაეშვა  
და გაანათა მოლოდინი ზღაპრულ ქოხივით.

იგი ნამდვილად მოერიდა სხეულის ხმელი  
ფოთლით შენიღბვას და ქუჩაში დაღგა აფიშით;  
რომ წუთიერი ნეტარებით თავთან თამაში  
გამოესყიდა სილამაზის ნაღდი სახელით.

თუ მოგონება სასახლეა, თანაც უკარო  
და ვისაც უნდა, როგორც უნდა გადის, შემოდის...  
ვინ დაამკვიდრა სასახლეში ეს უკმარობა

ამ სილამაზის, სიყვარულის და უშენობის.  
ეს შენ ხარ, ირგვლივ ყოველივე გააღარიბე.  
როგორ იგრძნობა იდუმალი ლტოლვის სიხარბე!

### 11.

როგორ იგრძნობა იდუმალი ლტოლვის სიხარბე!  
აჲყვე გულისთქმას... გაშლილია გზები კარტივით.  
ვერ გარკვეულა თავისთავში გრძნობა მარტივი...  
მოგონებები ზურგით მოაქვთ ვით ვაშლი ზღარბებს.

მე იმ ბედნიერ მომავალზე, გულს რომ ახარებს,  
შთაბეჭდილებას შევქმნი ქარში გვიანი მარტის  
და მომინდება ლვთაებრივი ის სიმარტოვე,  
რომელიც თავის შესაცნობად სჭირდებათ საგნებს.

მაცოცხლებელი სურნელება წვიმის მირაჟის  
ლურსმულ წარწერებს ამოტვიფრაგს ღრმა ღამეებად,  
სულგანაბული შემიძლვება მდუმარებაში —

იცის ბუნებამ რასაც ნიშნავს ეს ჩაღრმავება.  
დადის მევალე და ხმაღაბლა კითხულობს სიას...  
გააღებ კარებს იქ არავინ არ ჩანს სრულიად.

### 12.

გააღებ კარებს, იქ არავინ არ ჩანს სრულიად —  
მობჯენილია ღამე შუბლზე ნიავით გრილით...  
მაგრამ შენ გვერა, რომ იქ სადღაც მღერის გრაალი  
და თუ არ მღერის, მაშინ ეს ხომ დასასრულია.

აი, აქ მოხდა ის შეხვედრა სულს რომ სწყურია,  
გამოანათა სიბნელიდან სხეულში გავლით  
სატანის თვალმა და სხივები ათასი გვარის  
ფიქრებთან ერთად შეუერთდა შორეულ წყვდიადს.

სულის სიღრმიდან ამოცურდა მძივივით თითქმის  
სულ მცირე რაღაც, მსგავსი წვიმის და მარგალიტის.  
დაგორდა ძირში... და უაზროდ თანდათან კვდება...

უეცრად მიწვდი და აისხი ყურსაკიდებად.  
მიღიხარ, გხედავ სასწაულით ვით გაიხარე...  
სულში მკვიდრდება სასოებით ახალწლის ღამე.

### 13.

სულში მკვიდრდება სასოებით ახალწლის ღამე...  
ეს ნიშნავს, ძველმა წელიწადმა დახუჭა თვალი;  
მალე შემოვა მოქანდაკე — ჭირისუფალი  
და ხსოვნის ნიშნად მიცვალებულს აუღებს ნიღაბს.

ალბათ სატანა კიდევ ერთხელ გადიხარხარებს,  
შერე უკანვე სიბნელეში გაქრება მაღვით,  
სად ანგელოზი იმღერიან ექსტაზით მთვრალნი: —  
დღეს ბებრები ვართ და ბავშვები გავხდებით ხვალე!

ანთია ახლა ერთი განცდით სამყარო — სახლი.  
ხად არის მაინც გასაყარი ძველის და ახლის?  
ხანგრძლივი დროით სად ვიყავით, ან სად ვიქნებით?

დამისხით ღვინო, ღვინო მინდა, სივრცე მწყურია —  
ვედრებას ცისკენ ეზიდება ოცნების ფრთები,  
როგორც მოცარტის ამღერება „ალილუა“.

### 14.

როგორც მოცარტის ამღერება „ალილუა“  
სალიერშიდაც აღტაცებას იწვევდა შურის...  
პირზე მეფშვენევა ღამის სუნთქვა, ვით აბრეშუმი  
და ამ ცოუნებას გადაუჩეჩ არც იოლია.

შეგდავებისთვის ყველაფერი განწირულია.  
 წილნაყარობის ეს თვითგვემაც ყოფილა ჩუმი.  
 ო, ერთი სიტყვა სატომ დარჩა ასე საშური,  
 თუ სიყვარულში უთქმელობაც ბანალურია.

ეს ვინ მოადგა დაგმანულ გულს წყვილი ჭანდელით,  
 ნელა შეაღო, შეიტანა ბნელში ნათელი  
 და შეატოვა დავიწყებას სიტყვა ნახვამდის...

ნუ სტირი ბავშვო, პონის ეტლი წრიულად დადიმ!  
 დრო-ჟამს უჭირავს ჩვენი ვნების თეთრი საზავე...  
 ლეთეს ულმობელ მდინარებას ვერ გავატანე.

### 15.

ლეთეს ულმობელ მდინარებას ვერ გავატანე  
 ოცნების თვალით სახილველი წყვილი საყურე.  
 ფიქრების გარდა არ არსებობს კიდევ სხვა ყურე,  
 ვიდრე იმ დღეთა სახსოვარი მარად ნეტარებს.

ჩაა სიცხადე თუ ყველარი ვგევართ კერტავრებს,  
 ჩაა იმედი უსაგნობის ამ სამსახურით,  
 შოლოდინივით საკუთარი ჩრდილის შემყურე.  
 პარალელები ერთმანეთს არ გადაკვეთავენ.

რა ხშირად ისმის ოქტავაში შენი სახელი,  
 სარკმელზე ნელა აკაკუნებს უღონო წელა.  
 (როგორ იგრძნობა ღდუშილი ლტოლვის ბიხარბე).

გააღებ კარებს, იქ არავინ არ ჩანს სრულიად...  
 სულში მკვიდრდება სახოებით ახალწილის ღამე,  
 როგორც მოცარტის ამღერება „ალილუია“.



მესამე აგაშიძე

# კორის ხანქალი ქალიშვილი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დიდ არს ძალა შენი, პოეზიავ, — შერწყმავ სილამაზისა სიმახინჯეს-თან, უკვდავების სიმბოლოდ ქცეულო! მართლაც რა დიადია შენი ხანძარი! იგი სწვავს და ანადგურებს გამქირდავ ღიმილს და პროზაულ აზროვნებას! შენ პირველსაწყისი აბსტრაქტი ხარ, რომლისგანაც გამოტყორცნილი სხივები, ჰეშმარიტების ლინზაში გარდატეხილნი, — ნათელს ფენენ გაურკვეველ სურვილებს და ყყუჩებენ ყოველგვარ ტკივილებს. ეს შენ იყავი, რომელმაც ფუნჯი მიაწოდე მიქელ-ანჯელოს და უბრძანე აღებეჭდე ექლე-სიის კადლებზე! ეს შენ ამსხვრევ მონობის ბორკილს! შენ ამარადისებ დაცუმულთ ძეგლებში! შენ ანიჭებ ბეღნიერებას მაშვრალთა და დავრდო-მილ! შენ მოგვიწოდებ, ვიყოთ სპეტაკნი და კეთილშობილნი, შევიცნოთ და ვიწამოთ საკუთარი თვი! შენ ბირთვი ხარ ბგერისა და საღებავის წვე-თისა! იისფრად შეღებილი წყლიდან ამომავალი ლიანის ღრივით აღმოი-სწრაფვი გაურკვევლობის ქაოსიდან და უსურვაზივით ეხვევი სიშიშვლეს სულისა და ხორცისა! შენ გშობა ბუნებასთან შეერთების სურვილმა... შენ მოლოდინის შვილი ხარ... შენ გშობა უსამართლობამ, რომელმაც არ უწ-ყოდა, რომ საკუთარი შვილი მოჰკლავდა. მაგრამ შენ თვით იტანჯები იმ დაღვრილი სისხლით! მაშ, შეგენდოს ცოდვა! ხელოვნება შენშია და შენ ხარ ხელოვნებაში. შენვე მაძლევ ძალას, რათა განვთავისუფლდე შენგან. შენ ხარ ენერგიაში და ენერგია შენშია! ხშირად გამსხლომიხარ ხელიდან, ვერცხლისწყლის ბურთო! სტრიქონის ტომარაზე უფრო დიდი ყოფილხარ და ვერ ჩამიგდიხარ შიგ! ბოლოს, როგორც იქნა, ჩაგტენე! ნება შენია —

გნებავს, გახეთქე ეს ტომარა! -- უკეთესი იქნება. მაშინ ჩემს მიმო და და გადასა მოწამლოს მკითხველი? ამიტომ გირჩევ მანდ იჯდე და მორჩილად იხეხო. ზურგი ცისფერ აბრეშუმზე!

\* \* \*

ოოგორც იქნა, ამოვარჩიეთ შედარებით მყუდრო ადგილი. დღის ორი საათი იყო. მზე აჭერდა. თავზე ნელის კაბა მოვიხვის და სილაზე წამოვ-შექი. კაბაში მაინც ატანდნენ მზის სხივები. კადევ ერთი ნაკეცი გავუკეთვა ამ ხელოვნურ ნიღაბს, გავაორმავე, მაგრამ ვერც ამან მიშველა. ზურგზე, გადავპრუნდი.

— როგორ დამწვერხარ, — მომესმა თავს ზემოთ.

ასაფერი ვუპასუხე.

— ნინო... — ჩამესმა ისევ ბურანში წასულს, — გესმის?

— გისმენ. — მივუგვე ხელებში თავჩარგულმა.

— ნავი არ ვიქირავოთ?

— არა, მეყო გუშინდელი...

ვუნებაში გამეცინა, როცა წინა დღით მომხდარი ამბავი გამახსენდა.

ილიგს ვიქირავეთ ნავი, ჩავჭექით და... ორიოდე ნიჩბის მოსმის შემ-ლეგ ნელიმ განაცხადა, — დავიღალე, მეტი აღარ შემიძლიაო. მთელი დღე მე მომიწია ნიჩბებთან ჭრომა.

მზერა პლაჟზე მოქოთქოთე ხალხისკენ გავაპარე. კვლავ მოვკარი თვალი ნაცნობ სახეს; ისევ ისე იჯდა, მარტოდ და კენჭებში თითს ურევდა. ჩვენენ არ იყურებოდა, მაგრამ ეტყობოდა, მთელი გულისყრი აქეთ ჰქონდა.

— ეხლა რომ ადგეს და აქ მოვიდეს! — გამოიცნო ჩემი ფიქრები ჩელამ.

ყურადღება არ მიმიქცევია.

— ჰა, რას იზამდი?

მხრები ავიჩეჩე.

— გინდა, მივიდე?

— ნუ სულელობ! — მკაცრად ვუთხარი... და იმ წუთშივე ვინანე (მინდოდა, მისულიყო. გუმანით ვგრძნობდი — ქართველი უნდა ყოფილიყო).

— მაინც, რა მოხდება რომ გამოველაპარაკო? — ეშმაკურად მკითხა

— თუ ეჭვიანობ?

გამეცინა.

— მიღი თუ გინდა!

მართლაც არ წაცანცარდა!

ინტერესით გავაყოლე თვალი; ზღვის ფერიას გავდა... ლერწივით ში-  
ირწეოდა, გაშლილ თმას ქარი უბურდავდა.

ნელი სკლით მიუახლოდა ბიჭს, ალერსიანად კითხა რაღაც და გვერ-  
დით მიუსკუპდა. ერთხანს რაღაც ეყლურტულა, ერთბაშად წამოდგა და  
ისევ ჩემსკენ გამოემართა. ვაჟი საცურაო ტრუსებიდან სილის ფერთხვით  
გამოუყევა უკან.

— გაიცანი, ჩვენი თანამემამულე ყოფილა, — მომახარა ნელიმ.

სიცილს ძლივს ვიმაგრებდი. წამოვიმართე და ხელი გავუწოდე:

— ნინო.

— გივი.

— დაბრძანდით, რატომ დგეხართ... — ისე შესთავაზა ნელიმ, თით-  
ქოს გაშლილ სუფრაზე ეპატიუებოდა. ბიჭი მძიმედ დაეშვა ჩემს ახლოს. მა-  
რთლაც ძალზე ლამაზი იყო.

— ესე იგი... — სრულიად მოულოდნელად მეტად მამაკაცური ხმით  
მიმართეს ჩემს ტყუპისცალს — ქართველები ხართ და სამშობლოში ჯერ  
არ ყოფილხართ?

ნელიმ თავი დაუქნია.

ბიჭი ჩაფიქრდა.

— დედა?

— არა, დედა პოლონელი იყო. — აჩქარებით მიუგო ნელიმ.

ეს იყო და ეს. მას მეტი ხმა არ ამოუღია. მხოლოდ გვიღიმოდა, შეკი-  
თხვებზე ან თავს დაგვიკრავდა, ან ხელს უარის ნიშნად გაიქნევდა და იჩ-  
და ასე — კენჭებში თითხაყოფილი.

\* \* \*

შინ ნირწამხდარი ვბრუნდებოდი; ეტყობა, არც ნელის ესიამოვნა მა-  
ინცდამაინც გივის უეცარი გამომშვიდობება და წასვლა. მაგრამ მე ის კი  
არ მაწუხებდა, რომ ის წავიდა, უბრალოდ, ვერ ვიტან ხალხს, რომ-  
ლებიც ცდილობენ თავისი ორიგინალობით მოგხიბლონ. ეს ერთვარი მე-  
შჩანურ, გულუბრყვილო იღმალების მანტიაში გახვევა საკუთარი პირო-  
ვნებისა მეტად ბანალური და იაფთასიანი მეჩვენება. ზის მამაკაცი ორი  
ქალის წინ და კენჭებს ჩიჩქნის... კითხავ რამეს და შემოგხედავს გამოგონი-  
ლი დაბნეულობის მზერით. ასე შეიძლება ვინმე ისტერიკულ, არტისტულ  
ბანოვანს მოაწონო თავი, ჩემთვის კი ეს უკვე განვლილი ეტაპია გრძნობა-  
თა სფეროში. სრულიად არ მხიბლავს ასეთი ხბოსთვალებიანი პოეზია.

ამ „გაიღუმალებაში“ კიდევ ერთ ისეთ რამეს ვხედავ, რაზეც არ შე-  
იძლება არ გაგეცინოს. ამ საფარველით მამაკაცი ცდილობს მთლიანად  
დაეუფლოს როგორც შენს ხორცს, ისევე სულს. მას უნდა ქრისტედ მო-

ჯაჩვენოს თავი, იმ დროს როცა ამ ნიღბის უკან ჭოჭოხეთური სიბილშე დამალება.

„განდგომილი!“ — ო, რა პათეტიკურად უღერს ერთი მოსმენით!

ყარს, ბატონო მამაკაცებო, ეს სიტყვა, შმორის სუნი ასდის. მე ვერ ამიჩუყებთ გულს მაგ ოქროს ძაფით მოქარეულ ძველი ტილოს ტომრის ნაგლევით. მაგ ჩვარში ვერასდიდებით ვერ შესძლებთ ჩემი სულის გახვევას. იგი უბრალოებასა და სისაღავეს არის შეჩვეული. ერთი შეხედვით შეიძლება ცივიც გეჩვენოთ. რა ვუყოთ! ეს იმის ნიშანია, რომ თქვენ ვერ ბრძანდებით ამაღლვებელი. და სრულიადაც არა იმის, რომ მე ვარ მოკლებული შინაგან ცეცხლს. მე შემიძლია ყოველგვარი მანჭვა-გრეხის გარეშე შემოგთავაზოთ თავი (რა თქმა უნდა, თუ მომეწონეთ), გიამბოთ ჩემს ტკივილებზე, სიხარულზე, წარსულზე, მომავლის ფიქრებზე, მაგრამ ვერასდიდებით ვერ მოვითმენ იმ სიყალებსა და სიცრუეს, რომლის თავზე მოხვევასაც მიპირებთ. თუ მართლა ცოდვილი და გარიყული ბრძანდებით, მიბრძანდით მონასტერში, ან საღმე მიყრუებულ ადგილას... არა, მე იმას კი არ ვამბობ, რომ თქვენ არ იტანჯებით... ო, არა! შეიძლება თქვენ პოეტური ნატურაც გაქვთ. სიამოვნებით მოგისმენთ, ავკრეფ თქვენი ბედნიერებისა თუ უბედურების ნამცეცებს, რომელსაც ჩემთვის გაიშეტებთ, მაგრამ ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ ეს ნამცეცები ღვთიური საკვებია.

\* \* \*

მამაკაცის იდეალი მამაჩემი იყო ჩემთვის. სანამ თბილისში ცხოვრობდა, მხატვარი ყოფილა. მერე აქ ჩამოსულა, კრასნოდარის მხარეს, აქ გაუცნია დედაჩემი და დარჩენილა კიდეც. დედა უბრალო ქალი იყო — შეერავი. მეზობლები ახლაც აღფრთოვანებულნი მეუბნებიან — როცა შენი მშობლები ხელგაყრილნი გამოვიდოდნენ ქუჩაში, ხალხი გაოცებით ჩერდებოდა და ისე უყურებდათ.

მაგრამ მამაჩემი მარტო სილამაზის გულისთვის როდი იყო ჩემი იდეალი; მოგიყვებით, როგორ დაიღუპა იგი.

(მაშენ შეიდიდ წლის თუ ვიქნებოდი).

მამაჩემი ერთი შეხედვით მეტად მოკრძალებული კაცი იყო. ჩვენს გვერდით ერთი ლეკი ცხოვრობდა, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა დედაჩემი. როცა დედა გათხოვდა, ჩვენს ოჯახს დაუმეგობრდა; მაინც არ კარგავდა იმედს. მამამ ამის შესახებ არაფერი იცოდა (დედაც ვერაფერს ეუბნებოდა, ეშინოდა). ერთხელ ოჯახში წვეულება გვერდია. სიმთვრალეში ლეკს წამოუყრანტალებია — შენი ცოლი მიყვარსო. მამა ჯერ გაოცებულა, მერე გარეთ გამოუყვანია და უთქვაშს, ამიერიდან ფეხი არ დაედგა მის ოჯახში. ლეკს გაულანდავს და ყელში სწვდომია. ამტყდარა ჩხუბი.

როცა გაუშველებიათ, ლექს შეუთავაზებია — „ბარაბანი“ კიტამაშოთთო. ამ ძველი ჯარისკაცული თამაშის პრინციპი ალბათ ყველაზ კაოგადიცით: იარაღში ერთ ტყვიას ჩადებენ, მის მოძრავ ნაწილს დაატრიალებენ, ლულას საფეხქელთან მიიტანენ და სასხლეტს თითს გამოჰკრავენ.

მამა პირქშად მდგარა.

— არა! — უთქვამს მას, — მე ყოველთვის ნალდზე ვთამაშობ!

ლეკი ვერ გარკვეულა, რაში იყო საქმე.

— ლაჩარო!

მაშინ მამაჩემი შინ შესულა, გამოუტანია იარაღი, ამოუგდია სავაზნედან ერთადერთი ტყვია და ასე, ექვსტყვიანი მიუწოდებია მეტოქისთვის. ლექს ხელი აცახცახებია.

— ლაჩარო! — უთქვამს მამაჩემს, იარაღი გამოუგლეჭია, ჯერ მის-თვის დაუხლია შუბლში, მერე თავისთვის.

ეს ამბავი თქვენ, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელი მოგეჩვენებათ.

იფიქრებთ, რომ მამაჩემი გიყი იყო, ან ეს ამბავი არ მომხდარა და ვი-გონებ. ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

\* \* \*

ჩემის აზრით, ადამიანები სულიერი სამყაროს მოთხოვნილებისდა მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფიან: ერთნი — მოცისფრო-მოყავისფრო ფე-რებით დატყვევებული, მეორენი — თმაგაწეწილი, ცეცხლოვანი ქარიშხლის ბგერებად ქცეულნი. არც ერთს არა აქვს უფლება განსაჭოს ერთ-მანეთის საქციელი. მაგრამ რატომდაც ასე არ ხდება; მშვიდი გონება ყო-ველთვის ან დასკინის, ან განცვიფრებით უმშერს გადარეული ქარიშხლის როკვას. პირდაპირ მეცინება, როცა გავიგებ, როგორ საუბრობთ მამაჩემის საქციელზე, ბატონო მშვიდო გონებავ! მაშ როგორ მოქცეულიყო? გა-მოეჩინა დიდსულოვანი მოთმინება, არაფრად ჩაეგდო მიყენებული შეუ-რაცხოფა (რადგან შეურაცხო მასზე მდაბალმა) და ამპარტავანი, თავის-თავში დარწმუნებული ინდაურივით გაფხორილს ღიმილით ენიშნებინა: „შენ შენი სიცოცხლე არად გილირს, რადგან არც არაფერი ღირს, მე კი სხვა იდეები მაქვს ცხოვრებაშიო?!“.

არა! ჩვენ სხვა ხალხი ვართ, ბატონო მშვიდო გონებავ და საერთოდ... გონებავ! ჩვენთან თამაში არ შეიძლება!

მამაჩემი მხატვარი იყო, ნამდვილი მხატვარი! ხელოვნება წარსდგაზღუდის წინაშე. ზღუდემ შესთავაზა — ერთმანეთს ისე შეხლოდნენ, რომ თავის გატეხის შესაძლებლობა ნაკლები ყოფილიყო. ხელოვნებას კი ბევრ-ჯერ ჰქონდა თავი გატეხილი და არ ეშინოდა კიდევ ერთი ჭრილობისა-შმაგი ხარხარით ეკვეთა მის წინ მდგომ პიტალო ქვას, დაამსხვრია, გაანა-დგურა იგი და თვითონაც შუბლშენგრეული მიწვა მის გვერდით.

ის რომ ცოცხალი დარჩენილიყო, ვერასოდეს ვერ მაჩვენებდა ასეთ  
მაგალითს — გაფაქიზებული სულის ისტერიული პათეტიკისა.

ეს ისტერია თქვენ შეყვარებული გოგონას ისტერიაში არ აგერიოთ,  
ბატონი ჩემო. ნუ მოჰკიდებთ მას დიდაქტიკის ტლაპოში მოთითხნილ ხე-  
ლებს... იგი, თქვენ რომ გოგონათ ის არ გახლავთ... ქარიშხალია, ქარიშხა-  
ლი, რომლის წინ მე მღუმარედ ვდგავარ. ვდგავარ და სახეზე ყვავილების  
ნიაღვარი მეხეთქება — მამაჩემის სისხლით შეღებილი ყვავილების ნიაღ-  
ვარი.

\* \* \*

სახლში მისვლისთანვე ლოგინში ჩავწეჭი. ნელიმ გუშინ მიგდებული  
კაბის ქსოვა განაგრძო. გამახსენდა, რომ წუხელ ჩვენს ბალში წიგნი დამ-  
რჩა სკამზე. აღგომა მეზარებოდა (არა და ისე ვერ ვიძინებ, ცოტა თუ არ  
წავიკითხე). ნელისთვის მეთხოვა, შემოიტანე მეთქი, მკრეხელობად მეჩ-  
ვენა, ისე გაფაციცებით, მთელი გულისყრით ქსოვდა.

ავდექი და გავედი.

წიგნი ისევ თავის აღგილზე დამიხვდა.

სკამზევე წამოვწერი და კითხვა დავიწყე.

— ნინო! — შემესმა უცებ.

თავი ავწიე. მესერთან გივი იდგა... ისევ ისე თავჩაქინდრული.  
მივედი.

— შემობრძანდით!

უსიტყვოდ გააღო კარი და შემოვიდა.

ისევ საცურაო ტრუსები ეცვა (პლაჟი ოციოდე ფეხის ნაბიჯზეა ჩვენი<sup>1</sup>  
სახლიდან დაშორებული). მაინცდამაინც გამოწყობილი არც მე გახლდით;  
ზალათი მქონდა შიშველ სხეულზე წამოცმული.

ღიმილით ვუმზერდი ჩემს უცნაურ ნაცნობს, რომელიც ისევ თამაშს  
განაგრძობდა (მორიდებით ჩამოვდა სკამზე, მე-17 საუკუნის რაინდივით,  
ხელებით მიმითითა — დავმჯდარიყავი მის გვერდით),

ჩამოვჯერი.

ახლა წითელ ხრეშს ჩაშტერდა.

უცებ... ოპო! ეს რა არის? გივიმ სრულიად მოულოდნელად, ისევ თა-  
ვაულებლად, ფრთხილად წამოილო ჩემსკენ ხელები და გრილი ხელისგუ-  
ლები სახეზე შემაჩერა. თან თმა თითებით უკან გადამივარცხნა — ჩემი  
აშეწილი, ოქროსფერი ბურბულელა.

არ ვიცოდი რა მექნა, ვიჯერი ასე, სახტად დარჩენილი.

თან... ცოტა არ იყოს, ვერ გამოდიოდა ლამაზად.

მეტად უხერხულად იჯდა და ეს კიდევ უფრო მიქმნიდა იმის შთაბეჭ-  
დილებას, რომ კვლავ თამაშს განაგრძობდა.

როგორც იქნა, გავბედე, მაჯაში. ხელები მოვკიდე და ნელა ჩამოვაჭ-  
ვებინე ძირს.

შამოდგა, გამიღიმა, მაპატიეთო თქვა და ხეს მიეყრდნო.

როცა დაბნეულობამ გამიარა, მივხვდი, რომ სულელურად მოვიქეცი-  
ეს კაცი სრულიად არ თამაშობდა.

ახლა ჩემი აფრენის ჭერიც დადგა. წამოვდექი, მივუახლოვდი ხეზე  
მიყრდნობილს და ყელზე ვაკოცე.

ხელში ამიტაცა.

— ჩემთან წავიდეთ, — ჩამჩურჩულა, — აქვე ვცხოვრობ.

\* \* \*

ნელი შეშფოთებული დამიხვდა.

— სად დაიკარგე?

უხმოდ მიგაცერდი. შერე ლოგინზე გავიშოტე.

— ზღვაზე ვიყავო.

ეჭვიანად შემომხედა. ჩაიცინა.

— ასე უცებ! რამ გადაგრია...

თვალები დავხუჭე. თვალშინ გივის სახე მეღგა. მკერდზე ისეჭ-  
ვგრძნობდი მის ხელებს და ეს წარმოდგენა მთენთავდა და მაბრუებდა. მა-  
გრამ ერთი რამ ვერ გამეგო: ბაღში რომ ჩემს მაგივრად ნელი დახვედრო-  
და, იმასაც ასე მოექცეოდა თუ არა...

ნელის გავხედე. ისევ ქსოვდა.

— თუ გინდა, დღეს ნავი ვიქირავოთ. — ვუთხარი ანგარიშმიუცემ-  
ლად.

— ჰა? — თავაუღებლად მითხრა — არა!

— რატომ?

— საქმე მაქვს...

ისევ ბალიშში ჩავრგე თავი. ბურანში ჩამესმა, როგორ წაიბურტყუ-  
ნა ნელიმ — გეყოფა, რაც დღეს მკლავები შალეო.

გამეცინა. გადმოვბრუნდი.

— წყალი მომიტანე, რა! — ვთხოვე — ნუ ამაყენებ!

როგორც შეეძლო, ფრთხილად დადო საქსოვი, გარეთ გავიდა. ორი  
წუთის შემდეგ შემობრუნდა, სველი გრაფინით ხელში.

— ჭიქა არ იყო?

— უჰჰჰ, — აღშფოთებით აიქნია თავი, — სამზარეულოში გამიყვანე  
ახლა, იმ ტალახში.

წყალი ტუჩებზე მეღვრებოდა და წურწურით ჩამომდიოდა გახურე-  
ბულ სხეულზე, ისხმებოდა ლეიბზე...

— მანდ დღეს შენ დაიძინებ! — თქვა ნელიშ (მის ლოგინზე ვიყავი  
წამოწოლილი). აღარაფერი მიპასუხია. მკვდარივით ჩამეცინა.

\* \* \*

— რა მოხდა? — ელდანაკრავივით წამოვიწიე ჯერ კიდევ ბურანში მყოფმა.

ნელი შეწუხებული სახით მიმზერდა. შევამჩნიე, რომ იატაკზე გატე-ხილი ბროლის ლარნაკი ეგდო.

— გადმომივარდა...

ლოგინიდან წამოვდექი და გავიზმორე.

პინდი შავი ნისლივით მოსწოლოდა ფანჯარას. ნიავს სანაპიროდან ზღვის სურნელება მოჰქონდა. შემცივდა. ხალათი შემოვიტმასნე. ნელი გა-მოშუობილი იყო. ეტყობა, ისევ მოედანზე მიდიოდა საცეკვაოდ. მიკვირ-და, როგორ იჯდა ასეთ ჰაეროვან და ფერმკრთალ არსებაში ასეთი დაუდ-გრომელი, უინიანი სული, რომელიც ჯიშიან, ლოყებალაქლაჟებულ ქალს უფრო მოუხდებოდა.

— შენ წამოხვალ? — ყასიდად მკითხა (ვითომ არ იცის, რომ არასო-დეს არ მხიბლავდა ის ბინძური მოედანი).

პასუხს არ დაუცადა, ისე გავიდა ოთახიდან.

— აბა, რითი გავერთოთ? — ვკითხე ჩემ თავს.

კაბა ჩავიცვი და სანაპიროზე გავედი. ზღვა ღელავდა. მზე უკვე ჩა-სულიყო. ლოდზე ჩამოვჭექი და ფეხსაცმლიდან სილა გადმოვყარე.

„— ნუთუ შენ მართლა წვინტლისფერი ხარ?“ — შევეკითხე ზღვას, როცა ფეხსაცმელი ისევ მოვირგე. ზღვამ გაშმაგებით შემომილრიალა ასეთ შეურაცხოფაზე. „— არა ეს ჩემი სიტყვები როდია!“ — ვუთხარი ვი-თომ შეშინებულმა (ზღვას უხარია, როცა ვინმეს აშინებს), — „ეს ერთმა ევროპელმა ბატონმა ბრძანა.“

„— ე! ახლა ყველაფერს შემადარებენ!“ — ამოიხრა ლურჯმა, ჭა-ორათმიანნა ბერიკაცმა: „— მაზუთში და ნავთში ამომთხვარეს და წვინ-ტლისფერი კი არა, რატომ იმისფერი არ ვიქნები.“

„— ისინი სულელები არიან, ჩემო კარგო!“ — ვუჩურჩულე მე — „ისინი უკან დატენენ... და იცი რატომ?“

„— არაო!“ — შეიქნია ფაფარი.

„— მათი ტკივილების ფესვი მეტად მოკლეა! იგი ვერ უერთდება ჭეშმარიტი პოზიის ძარღვს... მათ კი გონიათ, რომ უკვე შერწყმულნი არიან ამ ძარღვთან და სწორედ ეს იწვევს იმ ყალბ პოვიას, რომლისთვი-საც შენ წვინტლისფერი არსება ხარ და არა სველი ხანძარი!“.

კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ.

უცებ სიგარეტის მოწევა მომინდა.

წამოვდექი, გულთბილად დავემშვიდობე ზღვას, რომელმაც მთხოვა — ხვალაც მინახულეო და საცეკვაო მოედნისკენ გავემართე. ღამე იყო... არც ერთი მაღაზია არ მუშაობდა... მოედნის გარდა სად უნდა მეშოვა სი-გარეტი.

მოედნის კიბეებზე ტოლია შემეფეთა. როგორც იქნა, გამოვუსხლტი შელავებიდან და... კიბეებზე სწრაფად მიმავალს იმ წუთშივე მომზადება, ასისთვისაც ვიყავი მოსული... ისევ ჩამოვედი (რაღა სხვისთვის მეტოვა)... აუჩქარებლად ამოიღო და მთელი კოლოფი მომცა: „გქონდეს, მე ზიქებს გამოვართმევო“. ყოველთვის ასეთი ჯენტლმენი იყო, არყის სუნით აყროლებული ჯენტლმენი.

— შენი და სად არის? — ისე მკითხა, თითქოს არც აინტერესებდა.  
— იქ... — ხელი უმიზნოდ გავიქნიე მოედნის შუაგულისკენ.  
— ისევ ალიკასთან ცეკვავს, არა?  
— თუ ვაჟკაცი ხარ, მიღი და იმათ კითხე, ჩემგან რა გინდა, მეზღვაურო?

— არა! — ჩაიქნია ხელი. თვალებში ნაღველი ჩაუდგა.  
— გინდა, მე მეცეპვე. — ვუთხარი უცებ და თვითონვე გამიკვირდა (ან რა სასიამოვნო იყო გივის ხელების შემდეგ ამ ტლანქ, ბანჯგვლიან ჭელებში წელის გამომწყვდევა).  
— წამო — ისე მითხრა, თითქოს დამამადლა...  
— უკანასკნელი ვალსი! — გამოაცხადა რაღიომ.  
მოედნის მოაგირთან გივი დავლანდე.  
— ეხლავე მოვალ. — ვუთხარი ტოლიას, ხალხი გავარღვიე, მაგრამ იქ აღარ დამიხვდა... თითქოს მიწამ უყო პირი.

\* \* \*

სახლისაკენ მარტო წავედი. ტოლიამ თქვა — ვერ გაგაცილებოან რა ბედენა იყო მისთვის ჩემი გაცილება; იცოდა, რომ შინ მისვლისთანავე კარს ცხვირწინ მივჰყეტავდო.

წყვდიადში მივიკვლევდი გზას. სახეზე ნაძვის წიწვები მედებოდა.  
ზღვა ისევ ღელავდა, მაგრამ ახლა ის მშვიდი მოხუცივით კი არ ოხავდა. არამედ რაღაც განწირული, იდუმალი ხმით გოდებდა. უცებ ამ ბეგერებს რაღაც ხრინწიანი ხმაც ამოყვა და შიშისაგან ამბურძგლა.

მომეჩვენა, რომ სანაპიროზე ვიღაც ხარხარებდა.  
შევდექი. ხმა აღარ განმეორებულა.

„ასე იციან ზედმეტმა ფიქრებმა“ — ვუთხარი ჩემს თავს, — „უკვე ჰალუცინაციებიც დაგეწყო“.

ქარმა წამოუბერა და კაბა ამიფრიალა.  
ფეხს ავუჩქარე. თავზე წვიმის წვეთები დამეტა. სახლამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ერთი კი გავიფიქრე, მოღი, ვინმესთან შევალ და ღამის გათევას ვთხოვ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე — ნელს გული გუსკლებოდა.  
წვიმამ წამოუხშირა.

უცებ ისევ მომესმა ის საბედისწერო ხარხარი.

ახლა კი ვიკაღრე და მოვკურცხლე.

შეძრწუნებული გავრჩოდი.

მერე... ფეხი რაღაცას წამოვკარი და გავიშხლართე.

წამოღვიმის მეშინოდა, მეგონა თავზე ვიღაც მაღა.

როგორც იქნა, მოვერიე ჩემს თავს და... შემზარავად ვიკივლე!

ჩემს წინ გივი იდგა! მაგრამ ისეთი კი არა, მე რომ ვიცნობდი, ჩემს წინ გივის პაროდია იდგა... საზარელი მახინჯი, ჩაცვენილი თვალებით, ყურებამდე გახეული პირით.

თვალებზე ხელი ავიფარე...

როცა ხელები ჩამოვუშვი, აღარავინ იყო.

აქოშინებული ვთრთოდი და ვერ მომესაზრებინა, რომ უკვე სახლის წინ ვიდექი.

\* \* \*

ბაღში შევეღი და სკამზე ძალაგამოცლილი დავენარცხე. საკუთარ თავზე ვიყავი გაცოფებული. ის, რაც მე ვიხილე, რა თქმა უნდა, მოჩვენება იყო. სწორედ ამიტომ ვბრაზობდი. საკმარისია ვინმე ან რამე მომეწონის, რომ ჩემი წარმოსახვის უნარი მშს დაამახინჯებს, პაროდიად აქცევს და ისე წარმომიდგენს ხოლმე. არ ვიცი, რისი ბრალია ეს. იქნებ რაც მე ვიხილე, ნამდვილი გივი იყო, მისი სული, მრწამსი, არსება, მაგრამ მაშინ რატომ მეჩვენება ხანდახან, როცა ვარდი მიჰირავს ხელში, რომ მას გახრწილი გვამის სუნი ასდის და არა ის კეთილსურნელი, რომლითაც ბუნებას დაუსაჩუქრებია?

ნუთუ ვარდის სურნელებაც კვდომის სიმბოლოა?

ნუთუ ყოველგვარი სილამზე, სისპეტაკე და კეთილშობილება მხოლოდ ფარსია?

მაგრამ მამაჩემი? რატომ მამა არ წარმომსახვია არასოდეს ისეთად, როგორც ახლა გივი დავინახე? იქნებ იმიტომ, რომ მე იგი აღარ მახსოვს?

რამდენჯერაც წარმომიდგა თვალწინ, იმდენჯერვე ისეთივე იყო, როგორიც ფოტოსურათზეა აღბეჭდილი, იმ განსხვავებით, რომ ნატყვიარ შუბლზე არშიად შემოვლებოდა ცისფერი შარავანდელი. თვალებში კი რაღაც უცნაური შუქი უკრთოდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს შუქი არაამქვეყნიური იყო... პირიქით...

მახსენდება ერთი ნაცნობის სიტყვები: ბავშვი თავის თვითგანვითარებას მითიდან იშევებს... გადადის სათავეადასავლო წიგნებზე, შემდეგ კლასიკოსებზე და ბოლოს ისევ მითს უბრუნდება.

მაგრამ ბოლო მითი უკვე აძსტრაქტული, განზოგადებული ასახვაა იმისა, რაც აღამიანის გონებამ შეითვისა თავისი განვითარების რთულ გზაზე.

სული, რა თქმა უნდა, გონების პარალელური ვითარდება და ფაქტიზება. მაგრამ მისი განვითარების ეტაპებს ვერ დავყოფთ გონების განვითარების ეტაპების და მიხედვით. მე ასე ვიტყოდი მის შესახებ: ხანძრილან ხანძრამდე.

ხანძარი, შეუცნობლობის ბურუსი, თავის შეცნობა, და ბოლოს... ისევ ხანძარი...

მაგრამ ეს ბოლო ხანძარიც იმით განსხვავდება პირველი ალიდან. რომ იგი სწორი იმ საფარველს, რომელიც აქამდე პერიდათ საგნებს და ცოცხალ არსებებს ჩამოფარებული და შენს წინ გაშიშვლებულ სულს წამოაყენებს ხოლმე

იქნებ მამაქემის თვალებიდან წამოსული შუქი სწორედ ის ხანძარი იყო?

იქნებ მეც გადმომეცა მისი მაგიური ძალა და ახლა მხოლოდ სულს გხედავ?

\* \* \*

ერთადერთი, რასაც ისევე აღვიქვამ, როგორც არსებობს — ბახის პრელუდიებია (ორლანზე შესრულებული). არ ვიცი, რისი ბრალია ეს: ჩემს ხანძარს არ შეუძლია მისი საფარველის დაწვა, თუ ეს მუსიკა თვითონ არის ცეცხლი. ერთ დროს, სანამ ჩემი სული ბოლო ეტაპამდე არ იყო მისული, ჯაზიც მხიბლავდა. არ ვიცი, ახლა რატომ არ მიტაცებს მუსიკის სფეროში ეს უახლესი მიმღინარეობა. აღბათ იმიტომ, რომ მის უკან უბრალოდ ნიჭიერი შემოქმედნი დგანან და არა გენიოსები, რომელთაც შეუძლიათ გააციცხლონ ქანდაკება, შებოჭონ და არტახებში მოაქციონ ზღვის სიმღერა, ასაუბრონ სტრიქონები ადამიანთან.

დღეს მრავალი მეტად მცდარი შეხედულებაა ჩამოყალიბებული ხელოვნებაზე.

ავიღოთ ასეთი მაგალითი:

დგას მაგიდაზე ბროლის ლარნაკი. თანამედროვე მხატვრებს და პოეტებს გონიათ, რომ აღარ შეიძლება მისთვის ისეთი ფერის ან სიტყვაში მოქცეული ვნებების შეზავება, რომელიც ტილოზე ან ქაღალდზე ისე აღბეჭდავს ამ ლარნაკს, რომ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არ დარჩეთ.

უმეცარნი (თუმცა ტკივილებით გაბრუებულ და გამშარებულ კაცს უმეცარს ვერ დაარქმევ). იგი უმწეო უფროა; ამოსდის სიბრძნის კბილი და არც ამოსდის) ამ ლარნაკს ამსხვრევენ. ამ ხალხს, რომელსაც რაღაცა მიზეზების გამო თავი გენიოსი ჰგონია, მოდით, ვაპატიოთ ეს შეცდომა... საცოდავი არიან ისედაც: მათ ეშინიათ ახმაურებული ქუჩების, განიცდიან დევნის მანიას, აწუხებთ სივრცისა და დროის შეუცნობლობის პრობლემები.

არის მეორე ჭგუფიც: ისინი ცდილობენ მზის შუქზე ისტორიული ეს ლარნაკი, რომ ამ ჭურჭელში გამავალი სხივები მთლიანად მათ ოფალებში შეიღვარნონ. მაგრამ ეს ერთგვარად შეუძლებელია; მზის სხივები, იმის ნაცვლად რომ ლარნაკის სული ფრთხილად შემოიტანონ შეწმი, ამ ბრჭყვიალა საგანში მთელ რიგ დაბრკოლებებს აწყდებიან (მოდი ამ დაბრკოლებებზე ნუ ვილაპარაკებთ) და იმ ძალასაც კარგავენ, რაც აქამდე გააჩნდათ და ძალადაკარგული გინდა შეგსვლიათ და გინდა არა, ქალბატონებო და ბატონებო.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ მე როგორ მოვიქცეოდი, რათა ისე ალმექვა ეს ჭურჭელი, როგორც არსებობს? ვერ მოგატყუებთ, არ ვიცი. მაგრამ იძსტინქტურად ვგრძნობ, რომ ზემოთმოხსენებულ პირთა მიერ არჩეული გზა, ამ ლარნაკის აღქმისა, — მცდარია.

\* \* \*

ვაკვირდებოდი (მგონი ამას თვითონაც ამჩნევდა, ისე დაუინებით ჩავშტერებოდი): ქერა თმა, შავი, წყლიანი თვალები, შეშუბებული გუგები, ფერმერთალი, ოდნავ ჩავარდნილი ლოყები, მაღალი შუბლი...

ერთმანეთს ჩაერულნი ვიწერით სილაზე. მწყინდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი საალერსო სიტყვაც არ ეთქვა ჩემთვის. არა და არ შემიძლია ზოგი ქალივით ნახევრად ხუმრობის ტონში ვუთხრა მამაკაცს — შითხარი რამე საალერსო მეთქი („მიყვარხარს“ რომ თვით დავანებოთ).

ოქროსფერი სხეული ბრინჯაოს ქანდაკებასავით მოჩანდა ნაცრის-ფერ, ბრჭყვიალა ნიადაგზე. უფრო მაგრად მივეკარი და მკერდზე ვაკოცეთავი ამაწევინა, შემომხედა, თმაზე ხელი გადამისვა, გამიღიმა (მომეჩვენა-რომ რაღაც სასიამოვნო უნდა ეთქვა), გავირინდე... მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ისევ გულზე მიიყრინო ჩემი თავი და დუმილის სამყაროში შეცურდა. ცოტა არ იყოს, გავძრაზდი. ეს კაცი ჩემს ისედაც აწეშილ ნერვებზე თამაშობდა; ვერ წარმომედგინა, რომ თბილი სიტყვა არ ემეტებოდა. ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ მე მამის ასლი ვარ, მამა კი...

არ იფიქროთ, რომ რახან მამას გვავარ, მამაკაცური იერიც დამკრავს: პირიქით — მამაჩემი იყო ქალივით ლამაზი. მხოლოდ მიხრა-მოხრაზე, მკაცრად შეკრულ შუბლზე და დამცინავ ბაგებზე შეატყობით, რომ თქვენს წინ ვაჟკაცი იდგა. ალბათ ამას თვითონაც გრძნობდა, რადგან ყოველთვის წვერგაუპარსავი დადიოდა.

როცა დედა კვდებოდა, აგონიაში მყოფს მოეჩვენა, რომ მე მამა-ჩემი ვარ... მიმიხმო, აცახცახებულ ხელებს დიღხანს მისვამდა პირისა-ხეზე. „მაშ აღსდექიო“ — მეუბნებოდა მთლად შეცვლილი ხმით და ასევე, გარდაიცვალა: უკანასკნელ წუთამდე ეგონა რომ ქმარს ეხვეოდა.



ჩემმა მეგობარმა თითქოს ჩემი ფიქრები ამოიცნო — ისე კარგი მიზანი ვა ხელი სახეზე.

შევკრთი.

— წავიდეთ! — ვთქვი და წამოდგომა დავაპირე, მაგრამ მხრებზე მომენტია და ისევ თავისეკნ მიმიზიდა.

საშინლად გაყინული ხელები ჰქონდა. შემეშინდა — ისევ ისეთი არ მომენტენოს, გუშინ რომ ვნახე მეთქი. კინაღმა არ ვკითხე — წუხელ მართლა ის ხომ არ ხარხარებდა სანაპიროზე. ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, შუბლი შეიჭმუნა და განზე გაიხედა.

„ერიპა!“ — გავიფიქრე გულგახეთქილმა, მაგრამ მივხვდი, რომ ვაჭარბებდი. მეჩვენებოდა, თითქოს ამ კაცს ფიქრების წაკითხვა შეეძლო.

„თუ ტოპავ საკუთარი სულიერი სამყაროს ტალახში, მარტომ ტოპა!“ — ვუთხარი ჩემს თავს ზიზღით. „სხვას რატომ ითრევ მაგ გუკულმართებულ მგრძნობიარობაში, რომელიც შიზოფრენიას უფრო ჰგავს, ვიღრე პოეზიას.“

„მაპატიე“ — მიპასუხა მან, — „მავრამ ისე მეჩვენება თითქოს ეს კაციც არ უნდა იყოს უტვინო და შინაარსამოცლილი“.

„— რა ვიცი, გუშინ კი ჯამბაზად და მახინგად მომაჩვენე და...“

„— რატომ ფიქრობ რომ ჯამბაზი ან მახინგი უშინარსო და სულიერ სიძიდებულებული ხალხია?“ — მკითხა მან, — „მათი ხელები სუფთაა, წმინდანის ხელებს გვანან“. „

ეს კი აღარ დაუჭერე; „— მე კი მგონია. რომ ისინი ყველაზე უფრო ადვილად მოითხვრებიან ადამიანის სისხლში“.

„— შეიძლება შევ სწორი ხარ“, — მიპასუხა ორეულმა, — „მაგრამ თუ ჯალათად არ დაიბადე, ბოლომდე ჯალათი ვერ იქნები“. „

„— ეს როგორ გავიგოთ?“

„— სრულიად უბრალოდ: მახინგი და ჯამბაზი ჯალათად შეიძლება იქცნენ შურისძიებას გამო... მაგრამ დაღვრილი სისხლი მათ დასტანჭავს.. ჭოლო ადამიანი, რომელიც იტანჯება, არ არის ჯალათი“. „

„— მაშ ბოლოს რა მოსდით?“ — შევეკითხე დამცინავად; „— განიწმინდებიან და ღვთისმსახურებად იქცევიან, არა? ეს განწმენ და უკვე ყელში აქვს ამოსული კაცობრიობას“. „

„— არა, ვინ გითხრა რომ განიწმინდებიან. განწმენდა არც მე არა მწამის, რადგან ადამიანი მას თვითვე იგორებს. თუმცა, არც იგია ყალბი პათეტიკა... ეს კეთილშობილი, კარგი როლია. ითამაშოს ადამიანმა იგი, შეიჭრას მასში, ამით არაფერი დაუშავდება. მაგრამ მე იმათხე კი არ გელაპარაკები, ვისაც შეუძლია ირწმუნოს, რომ განიწმინდა, მე იმ ხალხზე გელაპარაკები, ვისაც ვერ ჩააცმევ წმინდანის ხალას, რადგან იციან, რომ თვი მეტად საზეიმოდ გამოიყურება მე-20 საუკუნეში“. „

ვგრძნობდი, რომ ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდნენ, მეგრამ ამოსავალი წერტილი რა იყო, სიკვდილი?

„რატომ სიკვდილი“ — ჩამესმა ისევ, — „სიკვდილი! — ეს მეტად იოლი გზაა ამ ქაოსიდან გამოსალწევად. არა და... მართლაც რა სასაცილოა — სიკვდილი! ის ჯერ კიდევ მაშინ კვდებოდა, როცა ჯამბაზი და მახინჯი იყო. კვდებოდა და არ მოკვდა. ეს სიკვდილზე უარესი იყო. და ახლა შენ გინდა ასე ადვილად გაანთავისუფლო იგი?“

„— კი მაგრამ“, — ვკითხე ცოტა არ იყოს შემცბარმა, — „ჩვენ მგონი ცოტა სხვაგან გადავუხვიეთ. არადა მართლა... ჩემს გვერდით ულაშაზესი კაცი წევს. ვთქვათ მას მართლაც მახინჯის და ჯამბაზის სული აქვს...“

„— მერე, მერე?“ — დაცინვით მყითხა, როცა იგრძნო, რომ გონება ამებნა და სწორად ვეღარ ვაზროვნებდი.

მთელი ძალ-ღონე დავძაბე, რათა საღად მემსჯელა, მაინც ვერაფერი ვერ ვთქვი.

„— კარგი, მე თვითონ გეტყვი რისი თქმაც გსურს. შენ ალბათ გაინტერესებს, რატომ აქვს მას ჯამბაზის და მახინჯის სული, არა?“

„— ჰო, მარტივად რომ ვთქვათ, ასეა.“

„— ალბათ ჰქონდა ასეთი რამ წარსულში“. ასეთი როგორი გამოსაც შენ მკერდში ჩაკვრიხარ, პოეტური ბუნების მქონე მარადიული მამაკაცის სტანდარტია“.

„— ეგ უკვე შენ თვით ამოიცანი. ახლა კი მთავარს მოგახსენება? ინ, რომელსაც შენ მკერდში ჩაკვრიხარ, პოეტური ბუნების მქონე მარადიული მამაკაცის სტანდარტია“.

\* \* \*

თქვენში ალბათ ბევრია ისეთი, რომელსაც გაეცინება ამგვარ ტიტინზე, რადგან იგი ბანალური და არაფრისმთქმელი მოეჩვენება... მაგრამ ეს ჩემი ბრალი როდია. ეს სულ იმ წყეული ორეულის ამბებია, რომელიც ცდილობს სულელად გამომიყვანოს თქვენს თვალში; განზრახ მაჩეჩებს საუბრის ისეთ თემებს, რომლებიც ძველი, გაბზარული ჭურივით ჟღერენ. ეს მან მითხრა, რომ ნამდვილმა მამაკაცმა უნდა გაიაროს მახინჯის, ჯამბაზის და ჯალათის სტადიები და თუ ბოლოს წმინდანის ხალათის ჩაცმას ვერ მოახერხებს, კენჭებში თითხაყოფილი უნდა იჯდეს ორი ქალის წინ...“

ო, წყეული! მე ხშირად მეუფლება შენი მოსპობის სურვილი, მაგრამ რამდენჯერაც აგიყვანე სახრიბელაზე, იმდენჯერვე ის ყულფი მე ჩამომაცვი კისერზე.

რამდენჯერაც მოგილირე დანა, იმდენჯერვე ჩემსკენ მოატრიალე მისი: ალესილი პირი.

ეს შენ ცდილობ დამანახო უხილავი და მერე შენვე დამცინი, რომ მე ბანალური და გულისამრევი ვარ.



მაგრამ ბოლო დროს ვისწიველე შენგან თავის დაცვაც და რომელიც შენგი მე ბანალობის განსახიერება ვარო, გპასუხობ, რომ მე ჭეშმარიტებას უფრო ვგავარ, რომელსაც არ ეშინია არავითარი ზედმეტი სახელისა. ეს შენ მაქციე მაზოხისტად, წამართვი სიყვარულის უნარი, გამოეღე და ყოველდღიური ტანჯვა-წამების ბორბლებქვეშ შემაგდე.

შენ წამართვი ბუნებასთან ტკბობის უნარი.

მაგრამ ვიცი! დადგება ყველას განსჯის დღე! მე შევძლებ ისე ჩამოგაცვა ყულფი, რომ თვით არ დავზარალდე და ასე მიგათრევ სამსჯავროზე — ყოველგვარი სილამაზის წამბილწველს და ჩემს გამამასხარავებელს!

\* \* \*

აღვწენებული მივდიოდი სახლისკენ. ვგრძნობდი, რომ ხალხი გაოცევით მიმზერდა. მხოლოდ სასაუზმესთან მისვლისას მივხვდი, რომ ლიფი შემსხნოდა და ჩამოგარდნაზე მქონდა. ამაშიც თითქოს ვიღაც უხილავის ხელი ერია, რომელსაც ჩემი საბოლოოდ შერცხვენა ჰქონდა გადაწყვეტილი.

„ბრიყვო!“ — დავუყვირე მრისხანედ — (ქარი კი მეხვეოდა და ჩემს წალებას ლამობდა), „ნუთუ ფიქრობ რომ ამით შემარცხვენ? შენ ვერასოდეს შესძლებ ისეთად დაანახო ჩემი თავი ხალხს, როგორც მე ვპრეტ მას! იხილეთ, იხილეთ პირველყოფილი სილამაზე, ხარბო ხვადებო! იხილეთ საფარველი გაყინული ცეცხლისა... მაგრამ ნუ შეეხებით! იგი ოქვენ ხელს დაგწვავთ! ჩამოვალეთ გიჟად, როგორც აქამდე მამაჩემს თვლიდით! შეინახეთ მკერდი კაბის ქვეშ, სულით კი ოქროს საპირფარეშოს კედლები შემინდეთ! ჩათვალეთ ჩემი ისტერია უბრალო ქალის ისტერიად და არა თვით ბუნების წიგილ-კივილად, რომელიც მოსამშობიარებლად წევს სისპერიკის სარეცელზე და ჯერ არნახული ძალის ხანძარი უნდა შობოს! გამიშეწევ თმები ქარიშხალო... შეიხიზნე სული ჩემი შენი დიადი ფრთხების ქვეშ... არა არს ძალა, რომელიც გაგვყრის ურთიერთს ამ შეერთების შეზღევ! უმტკიცესი იქნება ჩვენი კავშირი! და ჩვენ — შიშველნი და ულამაზესი მოვედებით მთელ სამყაროს და ვაუწყებთ დაბადებას ახალი ხანძისას! ამაღზევე უბიშოთა ზედაც, რამეთუ ვიყო თვით ხელოვნება, რომელიც მამაკაცის მკლავებს საჭიროებს...

იმღერე ცეცხლო, — წარსულის ექოდ! მაგ ხმაში ვისმენ უღრიალს ლითონის! გარყვნილ მუსიკის უბიშო ლექო! — ბგერები — ბრმები და უთითონი დატოვე დაბლა! შეემსხვერ ტალღად აწმყოს ნაპირებს — შეაგი პითონი! მტკივა ტირილი, — ქცეული ბალღად, — რომელიც ახლა ღაწვებს მიკოცნის!

ჭეშმარიტი პოეზიის ზღვაზე არასოდეს არ იტივტივებენ ცინიზმის ნერწყვით ან ხბოს ცრემლებით გაფისული ტივები. ღრღ მათ აღუშფოთ-ველად დაშლის და ამ ზღვის მორევში მოაყოლებს, რომელიც მტვრად აქცევს მის ჭუჭყიან მორებს.

ვერც ფილოსოფიურ სიბინძურეს მოითმენს იგი, ტალღებზე აათამა-შებს და სახეში ესვრის ხოლმე პატრონს.

ამ ზღვას მხოლოდ აღამიანის ნერვებისაგან დაწნული გვირგვინების ატანა შეუძლია.

გვირგვინზე ნაცრისფერი, პატარა ჩიტი ზის და მის მჭერარ ფოთლებს კენკავს.

დაცურავს გვირგვინი, ტრიალებს მორევის ირგვლივ, იწინწკლება ათასგვარი სიბილწის შეფეხით, მაგრამ ზეირთები უმალ ჩამობანენ ხოლ-მე დასვრილ ადგილებს.

იშვიათად მოხვდება იგი ამ მორევში.

ხოლო როცა მოხვდება, ცეცხლის თაიგულად იფეთქებს და ნაპერწ-კლებს ციცინათელებივით გაფანტავს წყვდიადში.

ნაპერწკლები ხანძრად იქცევიან.

ხანძრის ენები მზის სხივებისაგან დაწნული ნაწნავებივით აღიტყორ-ცნებიან ცისკენ.

ცხელია ეს ნაწნავები, რომლებიც კიბეებს გვანან, უგრძეს კიბეებს, რომელთაც ერთი ბოლო ამ უძირო ზღვის ფსკერზე უდგათ, მეორე კი იქ... სადღაც...

\* \* \*

• როცა გამოვფხიზლდი, მზით დამწვარი, შეშფოთებული სახეების ალ-ყაში აღმოვჩნდი. მთელმა აგზნებამ გამიარა და ამ სახეებს ნაცემი ძალ-ლივით შევყურებდი. ვიღაც ხნიერი ქალი მომიახლოვდა... უხმოდ მომა-შოდა ლიფი...

მქერდზე ავიფარე (შეკვრის თავი აღარ მქონდა)... წელმოწყვეტილი ავდექი, მაგრამ ისევ მოწყვეტით ჩავიკეცე კვლავ ხალხს მივაჩერდი; რო-გორ მინდოდა ახლა ჩემს წინ გივის ფერმკრთალი ხატებაც ამოტივტივე-ბულიყო...

ვიგრძენი, ვიღაც ხელს მიწვდიდა.

ავიხედე...

თავზე ექიმი მაღდგა და შილიმოდა.  
როგორც იქნა, აღგომა შევძელა...  
ხალხი ნელ-ნელა დაიშალა...

\* \* \*

სახლში წასვლა არ მინდოდა. სანაპიროს დავყევი. უცნაური გრძნობით ვიყავი განმსჭვალული. ვგრძნობდი, რომ რაღაცისაგან განვთავისუფლდი, მაგრამ ამ განთავსუფლებამ თითქოს დამაცარიელა კიდეც.

მზე ნელ-ნელა ეშვებოდა ზღვაში...

„ჰიპ!“ — ჩავიცინე სარკასტულად — „მკვდრის მზე! მოგინახეს რაღა, სახელი, ორანგუტანგის უკანალო!“

„ოპო!“ — გავიფიქრე უმალვე — „ხედავ, დაცარიელებამ ცინიკურად განგაშუყო უკვე... ოპო! ეჭე!“

„ოპო! ეჭე!“ — დავიძახე ხმამაღლა.

ხედი კი სულაც არ იყო მასხრად ასაგდები; ზღვაში ჩაშვებული მზის სხივები წითელ წვიმასავით მოჩქერდნენ და სისხლისფრად ღებავდნენ არემარეს. უცებ წარმოვიდგინე, რა არაჩვეულებრივი კონტრასტი იქნებოდა წითელი ვერცხლისფერთან (ჰიპ! ესთეტიკური ტებობის სურვილო, შენც მოხვედი?).

„მაგრამ ცინიზმი?“

„ეპ! რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ ცინიზმი დიდხანს ვერ ძლებს, ის ქრება... და სული ისწრაფვის სილამაზის ახლებურად აღქმია აკენს.“

სილაზე დავჭექი და სახე მივუშვირე მზეს.

„თუმცა არა!“ — გავიფიქრე კიდევ ერთხელ — „ვერცხლისფერი წითელთან კი არა, წითელ შუქში გახვეული ვერცხლი...“

„— გამარჯობათ!“ — ჩამესმა ყურში ორეულის ხმა.

„— მორჩა ყველაფერი!“ — ჩავილაპარაკე ნალვლიანად — „ესეც მობრძანდა, რათა კვლავ დამმუხტოს, აღმაგზნოს და მერე, — დაცარიელებული და გამოფიტული, უგონოდ გამშხლართოს ყველას თვალშინ!“

\* \* \*

მუხლებზე მკოცნიდა.

ვნეტარებდი.

ძლივს ამოვალებინე ხმა!

თუმცა რა ხმა, ისე ჩურჩულებდა, რომ არაფერი მესმოდა.

ჩემი კარგი, საყვარელი მუნჯი.

ისევ მიწერავდა ოქროს ბურბუშელას.

ნაძვის ტოტზე ერთმანეთის სულებთან დადებული ზავის ალაშივით  
ფრიალებდა ჩემი ცისფერი კაბა.  
შორიდან რაღაც სიძლერისმაგვარი ხმა შემომესმა.  
ყურადღება არ მიმიქცევია...

ლურჯ მდუმარებას მიაპობს ნავი და სიყვარულის ორი ნიჩაბით  
ვშორდებით ქალაქს... ზვირთებთან დავით ვნების ნაპირთან  
მისვლას ვიჩქარით... შორი მანძილი... იმედი ცოტა.... მაგრამ  
ეს ცოტა ჩვენთვის ბევრია... გქონდეს იმედი — არ არის ცოდ-  
ვა; ეს ნიშნავს — მტერი ვერ მოგერია... ვერ მოგერია, უბიშო  
დარჩი, და ვერ მოგხიბლეს მატარებლებმა, რომლებიც ბასრი  
ფოლადის ლანჩით სრესენ უძველეს მშვენიერებას...

ხმები კი ახლოვდებოდნენ.

სწრაფად ჩავიცვი კაბა. ისიც წამოიშია.

ტოლია და მისი ამფსონები იყვნენ, გახეთქილი მთვრალები.

— მეზღვაურებს სიცოცხლე! — მივესალმე მხიარულად.

მძიმედ დამიკრეს თავი და გზა განაგრძეს.

უცებ ტოლია მობრუნდა, მომიახლოვდა.

— ნელი ხომ არ გინახავს?

— შენ წარმოიდგინე, არა...

— გადაეცი, რომ აღარ დამენახოს... საერთოდ!

— ოპო, როდის გივარდებოდა ოვალში?

არაფერი მიპასუხა, ზურგი შემაქცია. ყური მოვკარი თითქოს ჩაილა-  
პარაკა — „ერთი თქვენი კახბაო!“

გველნაკენვით წამოვხტი:

— აბა... აბა!

ბიჭოს! არ შემობრუნდა და გაფხორილი მამალივით არ დადგა, თით-  
ქოს მე მივაყენე შეურაცხყოფა!

გივის გადავხედე; იჯა და უდრტვინველად შემოგვყურებდა. ისე  
ბრიყვულად იყურებოდა, კინალმ არ გაცემალე და ვლეშე. ტოლია ისევ  
მიბრუნებას აპირებდა, მაგრამ გივის ალუშფოოთველობით გამწარებულმა  
აღარც მახსოვს, რა მწარე-მწარე სიტყვები მივახალე ზედიზედ, რომ უცებ  
მომიახლოვდა, ნიკაპში ხელი ამომდო და ისევ „კახბაო“ — გამიმეორა.

მივაფურთხე.

ხელით ნელა მოიშორა სახიდან ღვთის წყალობა, რომელიც მას ალ-  
ბათ გესლი ეგონა და ისეთი სილა მტკიცა, როგორსაც იმ წუთში ნამდვი-  
ლად არ დავიშურებდი გივისთვის.

დავეცი.

ტუჩებიდან სისხლმა გამოჟონა.

ტოლიას ამხანაგები ეცნენ და გვერდზე გაათრიეს.

— ლაჩარო! — ზიზლით ვუთხარი ჩემს მეგობარს.



ტოლია დაჭრილი დათვივით ღმულდა და ისევ აქეთ მოზევდა მოზევდა.

გივი ისე წამოიზლაზნა, თითქოს ეზარებაო.

ხელი ჯიბეში ჩაიყო და მშვიდად გაემართა მთვრალებისაკენ.

იმ წამსვე მივხვდი, რასაც მოასწავებდა ეს და გააფორებით ჩავებდაუჭე მაჯაზე.

ფრთხილად მომიშორა.

თვალისმომჭრელად იელვა ბასრმა ფოლადმა.

სახეზე ხელები ავიფარე.

დიღხანს ვიყავი ასე.

მერე თითებშუა გამოვიხედე.

ჰოი საოცრებავ!... გივი გდია ძირს... სცემენ! აი, ვიღაცამ ქუსლი ჩააზილა! თმებით ათრევენ... ყველანი ხრიალებენ! ის კი ფართხალებს და... იცინის! იცინის ჩემი ბიჭი! ჩემი საყვარელი მუნჯი! გაუშვით ხელი! ქვა!... ო, როგორ ჩაარტყეს ქვა! ლოყა ჩაეხა! შაღრევანივით გადმოხეთვა სისხლმა... თავი დაანებეთ! გევეღრებით, გემუდარებით! მართალია, მას თქვენი დახოცვა უნდოდა, მაგრამ ასე მაინც არ დაგტანჯავდათ! მხეცებო! ნადირებო! ოოჲ! შეიბრალეთ! გევეღრებით! გემუდარებით! ეს რაა... ხელი გადაუგრიხეს... მუხლზე არტყმევინებენ თავს! გლეჭენ! ფლეთენ! ანა-დგურებენ! ის კი... ილიმება! ილიმება ჩემი მუნჯი, ჩემი საყვარელი ბიჭი, ხელი გაუშვით მეთქი! პერანგი შემოახიეს... ნეკებს უმსხვრევენ! წყეულნო! ჯალათებო! რას შევებით, რას!

ბლუჭა-ბლუჭა ჩამომქონდა თმა და მეც გივისავით ვგორავდი, მხოლოდ იმ განსხვავებით. რომ ის იცინოდა, მე კი შეშლილივით ვკიოდი... გაცოფებული ვფხოვნილი მიწას... ფრჩხილები მემსხვრეოდა, მომაკვდავივით ვიგრიხებოდი! ერთი მეც მომაყოლეს ზურგში... შემომესმა, თითქოს ხერხემალმა გაიტკაცუნა. ტკივილებისაგან მთლად დაკრუნჩეული მიფორთხდი ჩემს მეგობართან, ხელები გავიწოდე მისკენ... უცებ...

ვიღაცამ გამეტებით, მოწყვეტით ამოარტყა წიხლი!

გულალმა დაცა.

ეს რა არის...

ყელზე დააჭირეს ფეხი...

მთელი ძალით აწვებიან...

თვალები გაღმოეკარქლა...

მთლად გალურჯდა...

და...

მაინც...

იცინის!

იცინის და რაღაც უცნაური სინათლე მოიღვრება მისი აჩსებილან! ეს კი რაღაა!

ლმერთო ძლიერო!

მამა, ეს ხომ მამაჩემია! აი, ის ნატყვიარი, ის შარავანდედი!

ჰა... ა! მაშ ასე არა? წმინდანებს ვცემთ ბატონებო? ხელოვნებას ვა-  
თრევთ ლაფში?! კეთილშობილების სილამაზეს ვამახინჯებთ?! ვბილწავთ,  
ვრყვნით და ფეხქვეშ ვთელავთ სისპეტაკეს?! არა! ეს არ მოხდება!

სახელითა მამისათა და ძისათა წმიდისათა! (აკივლებულმა აღვიტაცი  
მიწაზე დაგდებული დანა).

ამინ!

ამინ!

ამინ!

### ა ვ ტ რ ი ს ა გ ა ნ

გადადი ლოცვავ მუსიკაში, მუსიკავ — ისევ მას მიეღვარე, ვინც აღ-  
გავლინა.

წარიღე იგი შენის ფრთებით, განფინე ღრუბლად, წვიმად აქციე, ჩა-  
მოღვარე უფლის ცრემლებად.

კვლავ აღადგინე ლურჯი ტბილან, შეასხი ხორცი, დატანჯე ისევ, ალ-  
ოდინე, დადაგე, დაწვი, აღაქმევინე სული ამა საუკუნისა. განშიდე  
ორად: დააყენე კედლის წინაშე, განაცდევინე, რა ძნელია მისი დამსხვრევა.

ჩამოუღვარე ჭრილობიდან ცრემლი და სისხლი, კვლავ გაუმთელე  
მერმე იარა.

სიტყვანო ჩემნო, როგორ მინდა იქცეთ ბგერებად, იმ ლოცვად იქცეთ...  
ამ ქაღალდის მიწიდან უცებ აღმოიზარდოთ, დაიგრავნოთ ცეცხლის ენე-  
ბად... გამხვიოთ შუქში ვარდისფერში, ჩაქრობის ჟამს კი მეც თან წარმი-  
ლოთ, იქ — ქაღალდში, არ ვიცი, სადღაც... და განვისრუტოთ ერთმანეთ-  
ში ამიერიდან.

\* \* \*

ბუჩქებში ვიმალებოდით.

ბილეთები უკვე ალებული გვქონდა.

სახლშიც არ გამივლია.

კიდევ კარგი, გივი იმ დღეს თავის განუყრელ ტრუსებში არ იყო გა-  
მოწყობილი.

როგორმც იქნა, ჩასხდომაც დაიწყო.

თვითმფრინავში ცხელოდა.

თავი საზურგეზე მქონდა გადაყრდნობილი:

ვთვლემდი.

თვალშინ ისევ ის ამბავი მეღვა — ჩემსკენ გამოწვდილი, განწირულად აყვირებული ადამიანების ხელებით...

„გალათიც გავხდი“ — გავიფიქრე — „მაგრამ ვისი ნება აღვასრულე? ნუთუ მაინც ჯალათი ვარ?“

სისხლი, რომელიც იმ წყეული მოგონების ღარიდან წვრილ ჭავლებად მოშეულდა, ყოველგვარ თავის გამამართლებელ არგუმენტს ეღვრებოდა და წითლად ღებავდა. შემაყრეოლა.

„შენ ხომ ცოცხალი ხარ! რაც მთავარია — შენ გადარჩი!“ — გადავხდე გივის. მისი ხელი აფილე, სახესთან მივიტანე და ლოყაზე მივიდე. შემომხედა.

— ტოლია ალბათ გადარჩებოდა. — ოქვა მან.

— გინდა რომ გადარჩეს?

თავი დამიქნია.

დავფიქრდი.

ისევ შევხდე.

„მართალია“. — გავიფიქრე — „მეც მინდა... ნეტავ გადარჩნენ ყვალანი... ყველანი... მაგრამ, ამას ხმამაღლა მაინც არ ვიტყვი...“

უცებ ისეთი რაღაც მომივიდა აზრად, თმები ყალყზე დამიღგა.

„გარბიხარ!“ — ჩამძახა ორეულმა — „მამაშენი კი არ გაქცეულა, ის პატიოსნად მოკვდა!“

„როგორ? ესე იგი, აღვასრულე და მეც უნდა აღვსრულდე? მაში ფუტკარი ვყოფილვარ!“

„ლაჩარო!“

„კარგი, მაგრამ... გივი?“

„გგონია, ის აიტანს სისხლიანი ხელების ფათურს?“

— ეს ხელები მას იცავდნენ!“

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს... ისე კი იცოდე, რომ ეგ ხელები მას ამიერიდან დასტანგავენ“.

ცრემლები მომადგა.

ბინდივით ჩამოწვა წინ რაღაც.

ვიზექი ასე, გარინდული, სანამ თვითმფრინავის ბორბლები ზრიალით არ გაგორდნენ თბილისის აეროდრომის ბილიკზე.

აეროდრომიდან ფეხით შამოვედით.

გაკვირვებით გვათვალიერებდა ხალხი.

ან რა დიდი მოსაწონები ჩვენ ვიყავით; გივის სახეზე წითლად უელა-  
ვდა იარა, მე კი მთლად ტანსაცმელშემოფლეოთილი გახლდით.

მანქანების სადგომთან მისვლა შეგვრცხა.

ნაადრევი შემოდგომის ფოთლებით მოფენილ ტრასას გავყევით.

სამდენჯერაც დავუქნიეთ ხელი მანქანას, იმდენჯერვე გააჩერეს... მა-  
გრამ... მერე... ისევ ნელ-ნელა დასძრავდნენ და გზას აგრძელებდნენ ხოლ-  
მე. არ უნდოდათ ალბათ მანქანის საზურგების დასვრა.

ან მართლა ვის ესიამოვნებოდა ასეთი ტალახი!

როგორც იქნა, გამოჩნდა ვიღაც ლვთისნიერი.

მალე სახლამდეც მივედით.

სადარბაზოში ხალხი იყო.

ვიღაცას პანაშვიდს უხდიდნენ.

ძლივძლივობით გავარღვიეთ ბრბო.

ბინაში შევედით თუ არა, გივიმ თავის საწოლ ოთახში შემიყვანა, —  
დამიცადე, მე ახლავე მოვალო,“ მითხრა და გავიდა.

ძალაგამოცლილი გავიშოტე ტახტზე, მაგრამ რა დამაძინებდა, ისე ვი-  
ჟავი აგზნებული.

ტახტთან მიდგმულ მაგიდაზე პატარა, მინიატურული მაგნიტოფონი  
ჭამოსკუპებულიყო.

ანგარიშმიუცემლად დავაჭირე ღილაკს თითი.

ავე მარია — ამოფრინდა მაგნიტოფონიდან შავი პეპელა. ავე  
მარია — ეხლებოდა ბროლის ჭალს ფრთხებით. ავე მარია —  
იწოდა ცოცხლად. ავე მარია — ცახცახებდა როგორც ფოთო-  
ლი. ავე მარია — პოეზიის მდუღარე ცრემლი. ავე მარია — გა-  
დამყვანი ცისქენ გონდოლი. ავე მარია — მომავდავი, ჯვარ-  
ცმული, მსხვერპლი. ავე მარია — ობოლი. ავე მარია — მოუ-  
ტანე ტანჯულ ქალს შვება! ავე მარია — ნუ ჩაქრობ სიყვა-  
რულს მისას! ავე მარია — იფერფლება, ნელ-ნელა კვდება.  
ო, ასე კვდება ის სიმღერა — რომელიც ისარს მკერდში შესო-  
ბილს — ვეღარ იძრობს... უჭირს... იმსხვრევა იმედები და ოც-  
ნებები... ო, ყველა, ყველა! ავე მარია — ყვავილისა, მიწისა,  
ცისა. ავე მარია — მოუტანე უბედურს შველა! ავე მარია —  
შეიბრალე, შენსავით ისიც. კედლებს აწყდება, იტანჯება, თავის

თავს კიცხავს... ისიც შენსავით იმქვეყნიურ ციაგით იწვის, რდ-  
აგვისა და ნანობს დაღვრილ სისხლსა და რისხვას... აუკე მისამა-  
— პაშაშინა. ცისფერო გედო. მიცურდი მასთან, რა მოზღვება?  
ცოდვაა განა? მიუახლოვდი, რათა სული შენს ფრთებზე ედოს,  
გადავიწყდეს დანა. ავე მარია — უნაზესი მუსიკის ჭაფო!  
ავე მარია — როგორ უნდა მოყრა მუხლისა. ავე მარია —  
ბგერებისგან დაწილო ძაფო! ავე მარია — შენ სხივი ხარ  
ჩვენი უფლისა.

ოთახში გივი შემოვიდა.

— ტელეგრამა მოვიდა... დედა და ძმა ჩამოდიან ხვალ აგარაკიდან.

ტახტზე პირჩამხობილი ვიშექი. გამიკვირდა, როგორ შეეძლო რაღაც  
ტელეგრამაზე ლაპარაკი.

მომიახლოვდა და ხელი მხრებზე დამაღო.

— გეყოფა, რაც მოხდა... — და გაჩუმდა, ხმა ჩაუწყდა თითქოს.

შემოვბრუნდი და გულზე მივეკარი. თავით ფეხამდი ვთრთოდი. სა-  
ხეზე ხელებს ვუსგამდი, ვეხვეოდი, ვკოცნიდი... ო, რა ახლობელი იყო  
ახლა ჩემთვის. „ძვირფასო“ — ვეუბნებოდი — „ძვირფასო, შენ ხომ ცო-  
ცხალი ხარ, რაც მთავარია, შენ ცოცხალი ხარ და მე შენ გეხვევი... ო, ო  
ცხელი ხარ! რა მოგივიდა? ავადა ხარ? ჩემო კარგო, საყვარელო ადამია-  
ნო! მითხარი რამე! მითხარი რომ გიყვარვარ, მოგწონს ჩემთან ყოფნა...  
რა მოხდება, რამე მითხრა... ნუთუ არაფერი გემეტება ჩემთვის... სულ  
დუმხარ და დუმხარ! მე კი მტკივა... აი აქ მტკივა და კიდევ აქ! ყველგან  
მტკივა... ყველგან! ყველგან!“ — ვქვითინებდი და ვკოცნიდი... ო, რო-  
გორ ვკოცნიდი... კოცნის ღროს ტუჩები მის ჭრილობაზე მომიხვდა და სი-  
სხლმა გამოჟონა. წვრილ ზოლებად წამოვიდა სისხლი. ისინი ჩემს ცრემ-  
ლებს ერთვოდნენ და ულამაზეს რუებად მიიკლაკნებოდნენ ჩვენს სახეებ-  
ზე.

ეტკობა — ეტკინა ჭრილობა და ფრთხილად მომიშორა. მომიშორა! „ო, შენ არ უნდა მოქცეულიყავი ახლა ასე! მე შენზე უფრო მტკივა...  
მტკივა და საშველი არ არის! შენ ყოველთვის შეგიძლია იარაზე წამალი  
წაისვა, დღეს, ხვალ, ზეგ... მე კი, მე... გუშინ! გესმის — გუშინ და მეტი  
არასდროს! გელოდი... როცა ოთახიდან გახველი, დიდხანს გელოდი, მე-  
გონა ადრე მოხვიდოდი. შენ მთელი საათი აღარ მობრუნდი. მეგონა —  
ყვავილების მოსატანად წახვედი... და აი, მოხვედი, რაღაც ტელეგრამით  
არა! ნურაფერს მეტყვი! ისედაც ვიცი — ახლა ყვავილები აღარ ყვავიან,  
ისინი დაჭინენ. მაგრამ მე მაინც მინდოდა ჩემთვის მოგეტანა ისინი... წი-

თელი... არა! ცისფერი მიხაკები... ცისფერი, ცისფერი და მხოლოდ ფიჭური ფერი! გამჭვირვალე, ძალიან პატარები და ნაზები“.

გივი ჩუმად იჯდა.

„ვიცი“ — ვეუბნებოდი — „ვიცი ეს რომანტიკაა, მაგრამ მე ისე მჭირდება ის! ჩვენ ახლა ყველას გაჭირდება იგი, და ყველაზე მეტად კი მე! მაშ რატომ არ უნდა მითხრა! ამით ხომ არაფერი დაშავდება... ღმერთო ჩემო! ესეც ხომ გამჭვირვალე, ცისფერი მიხაკები არაა... ეს სიტყვაა, სიტყვა და მხოლოდ სიტყვა! მაგრამ ის ჩემთვის ავე მარია იქნება, ყველაზე უფრო დიდი და ლამაზი ავე მარია... რატომ უნდა შეგვრცხვეს ჩვენი გრძნობების ყვირილისა... ნუ! ნუ ავათარებთ პირზე ხელს! გვეყოფა დუმილი, სიცივე... ამით ჩვენ ვერაფერს დავამტკიცებთ, გესმის, ვერაფერს! ასე გაივლის მთელი სიცოცხლე დუმილსა და სიცივეში... მე მცივა! მამა, სადა ხარ მამა! ო, როგორ მცივა... ვიყინები!“

\* \* \*

როცა გონს მოვედი, მთლად გაშუშული აღმოვჩნდი. გივი მაღვა თავზე წყლიანი ჭიქით ხელში... შეშფოთებული.

ელდანაკრავით წამოვხტი.

— ხშირად მოგდის ასე? — მკითხა.

ხელში ჭიქა უცაცახებდა და ვიგრძენი — საცაა უნდა გავარღნოდა. დავაკვირდი. არა, ეს გივი არ არის. მაშინ ამას არ მკითხავდა.

— რა მომდის? — ვკითხე მშვიდად.

— ჰა... არაფერი... აი, ეს დალიე...

ჰემ! რაღაც წამალს არ მაწყდის! გესმით! მე ყვავილები ვთხოვე და ის დამაწყნარებელ საშუალებას მაწოდებს. დასაწყნარებელ წამალს უწვდით შიშველ ვნებას?! ეს ხომ მისთვის საშინელი ნარკოტიკია!

მაინც... ავიღე და დავლიე.

— გივი! — მივმართე უცეპა — რა ტელეგრამაა, რას ამბობდი?

— დედა და ბმა ჩამოდიან ხვალ... შენ აქ დარჩები!

— ოო... ეს კი დიდი გაბედულებაა. — გავიქნიე თავი — ესე იგი... ჩამოვლენ დაპ მეჳ (მხარი ავწიე პათეტიკურად) — მაინც აქ დავრჩები?

— ჰა, შენ მაინც აქ იქნები! — ისეთი ზეიმით მითხრა, რომ მთლად განვციფრდი; ნუთუ იმდენად ბრიყვია, რომ გონია დიდ პატივს დამდებს. თუ ახლობლებთან ჩემი გამოჩენა არ შერცხვება?

ჩაფიქრებული ჩამოვჭექი ტახტზე. თითი ისევ მაგნიტოფონის ღილაკს დავაჭირე:

— „ავ“-ო, დაიყეფა, „ე“ აღარ ვათქმევინე, თითი ავწიე.

— ჰოო... გივი, მართლა — მივმართე წყნარად — გინდა... — და დავდუმდი. ცრემლებით სავსე ბუშტი მომაწვა ყელში და გამგუდა.

— რა?! — წაიჩურჩულა. კიდევ ჩურჩულებს! თითქოს ერთი წამით  
შემზარდა.

— გინდა, ცოლად მომიყვანე!

არაფერი უთქვამს... გამიღიმა, მომიახლოვდა და თავზე ხელი გადა-  
მისვა.

— ესე იგი, შენ არ შეგრცხვება ჩემი ცოლად მოყვანა?  
თავი გააქნია, „არაო“.

— ო, ჩემი საყვარელო... — განვაგრძე თამაში (ხელები კისერზე შე-  
მოვაჭდე), — ძვირფასო...

დადნა.

უცებ ისევ წამომიარა... თითი მივაჭირე ცხვირზე; „პიიპ!“  
გაოცებულმა შემომხედა.

— რას მიყურებ? — ცივად ვკითხე, გეგონა, შენი ცხვირიც ავე მარი-  
ას დაიწივლებდა?

წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

„მივქარავ“ — გავიფიქრე გუნებაში — „კარგი ბიჭია, ტყვილა ვუ-  
რევ... თუმცა... არა, მაგრამ რაში ვადანაშაულებ? სიბრიყვეში?! დიახ, სი-  
ბრიყვეში, ამაზე მეტი რა გინდა... იქსო მეგონა და ნეხვი აღმოჩნდა! რა-  
ტომ?! არა, არა!“ — გავიფიქრე შეძრწუნებულმა, როცა გამახსენდა, რა  
ამაყად შეჰქარხარებდა გუშინ მტრებს პირში — „რა სულელი ვარ! მე  
თვითონა ვარ ბრიყვი! ან როგორ მომივიდა თავში ასეთი რამ! ღმერთო  
ჩემო! ეს ხომ ჩემი ბიჭია! ჩემი კარგი მუნჯი!“

წამოვხტი და ჩავეხუტე.

## დ ი ლ ა

გათენდა. განიბნა ლალი და ლილა ვერცხლისფერ ხეივნებზე. სარკმე-  
ლი შევალე. ღამით დაგროვილი თამბაქოს კვამლი ლურჯი სულივით გა-  
მოსტაცა დილის ნიავმა ჩვენი სიყვარულის სენაკს, წაიღო მაღლა, წვრილ-  
ზოლებად დაშალა, შერწყა მზის წითელ სხივებთან და ეს უწვრილესი ბა-  
ფთები ისე გაბრწყინვნენ, ვით ცრემლნარევი სისხლის ბილიკები, გუშინ  
რომ სახეს მიღარავდნენ.

ო, ღილავ, ფერმკრთალო, კეთილშობილო ქალიშვილო, რა გამჭვირ-  
ჟალე და სუფთა ხარ!

ეს მე ვარ, შენი და, შენი ტყუპისცალი — დამდგარი ლოცვად!

რად მოგყავს ჩემსკენ პროზის კიბორჩხალა?!

რატომ გინდა ვინმემ თქვას, რომ მეც შენსავით წმინდა არ გარჩევ  
რატომ მოგაქვს ყოველდღიურობის ჭუჭყი და სიბილწე?!

რატომ გინდა მსაჯულად მიქციო ის, ვისაც მე არარად ვთვლი?

განა ვინმეს შეუძლია განგსაჯოს შენ?

ო, ნუ მეტყვი, რომ ის ხალხი კეთილი და კარგია... ისედაც ვიცი.  
მაგრამ განა შემიძლია გამოვიყეო აქ და ვიქცე ცოლად?

ეს ხომ ჩემთვის ყველაზე დიდი გარყვნილებაა!

\* \* \*

„მაინც როგორ გავხარ დღემდის ხელოვნებასა თუ ცხოვრებაში არ-  
სებულ ქალებს — მითხრა ორეულში — ერთად აღებულთ“.

დავფიქრდი. ისევ ბანალობაში მდებდა ბრალს. თუმცა, ერთად აღებუ-  
ლი, უკვე კომპლიმენტი იყო. თანაც, ქალი და ბოეზია მუდამ ერთნაირია  
(რანაირადაც არ უნდა გაფაქიზდნენ).

ეს რომ ვუთხარი, ისევ ჩაიცინა: „თქვენ არ გაიხარეთო“ — თქვა,  
(ცოტა იუმორის გრძნობაც გააჩნდა პატივცემულს), და სარკეში შეძვრა.  
გივის დავხედე.

ისევ ეძინა.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

გავალე.

მაღალი ბიჭი იდგა, ჩემოღნით ხელში.

— მობრ-დანდით ვერ ვთქვი, მივწვდი — სისულელე იყო. თვითონ  
კი შეეძლო — მიბრძანდითო, ეთქვა).

გაკვირვებით შემათვალიერა, ჩემოდანი დადო, პალტო გაიხადა.

— გამარჯობათ!

— გავიმარჯოს რა! — ვუპასუხე (უცებ ისევ ჭამომიარა), მივიზიდე  
და შუბლზე ვაკოცე.

მთლად გამოშტერდა. ეს ცოტა არ იყოს მართობდა (რამით ხომ უნდა  
დაიკიშყო კაცმა ის ამბავი, დასწყევლოს ეშმაკმა!)

ახლოს მივედი.

თვალი თვალში გავუყარე.

— ამ! — ისე შევუყვირე, რომ შეხტა საწყალი.

გივის გავდა, ოლონდ დამჭერას.

მიყურა, მიყურა და გამიცინა... ლოყაზეც მიიიჩემიტა.

— გაპ! — თითო მივიღე ნაჩქმეტზე — ძმის საცოლეს პწკენ...

ეტყობა, ესეც ხუმრობად ჩათვალა.

— საწოლზე გაიშხლართა და მზერა ჩემს მოტიტვლებულ მხრებზე შეა-  
ჩერა.

— რაო, — ვეკითხები — რაზე დაფიქრდი?

ბიჭოს! არც ეს იღებს ხმას! ყრუ-მუნჯთა არტელია, რაღა!

— დედაშენი საღლაა?

— ჸა?

— ჸა და ის! — ახლა კი მართლა გავგრაზდი — დედაშენიც ხომ უნდა ჩამოსულიყო!

— კი მაგრამ... — ამოღერლა როგორც იქნა — ოქვენ რატომ გაინტერესებთ დედაჩემის ჩამოსვლა?

(ოქვენაო! — დამცინის).

— ჩვენ, პატივცემულო, ამიერიდან რძალი ვართ ოქვენი.

წამოჭდა და ახლა მუხლებზე დამაშტერდა.

მეც ავიღე და ხალათი სულ ზევით ავჭაჩე.

„რას შვრები!“ — ჩამხახა უცებ ორეულმა — „შენ ისევ ძველი დრო ხომ არ გვინია?! თხოვდები, ქალო!“

ახლა კი დავუჭერე.

— უჰ! თავი მტკიცა-მეთქი — მივახალე სახტად დარჩენილს და ისევ გივისთან შევედი.

\* \* \*

გივიმ, როგორც იქნა, გაიღვირა.

ვუთხარი, შენი ძმა ჩამოვიდა მეთქი.

გავიდა.

მალე შუა ოთახიდან ცხარე ჩურჩული შემომესმა.

გივი, ცოტა არ იყოს, ანერვიულებული შემობრუნდა.

— რად გინდოდა ეს! — მითხრა ხრინწიანი ხმით.

— რა?

— შენ უკეთ მოგეხსენება!

„ჩაუკაკლა!“ — გავითიქრე გაბრაზებულმა. — „არა, მართლაც ცუდად მოვიქეცი... მაზლია მაინც!“

იმ აზრმა, რომ უკვე მაზლიც მყავდა, პირში სიცილის ბურთი ჩამჩარა. ბურთი ისე მიხიცინებდა ყელში, რომ ვეღარ მოვითმინე და გარეთ გადმოვაგდე. ბურთმა სკუპ, სკუპ და გივის შიგ შუბლში მოხვდა, პატარა, ცხელი მზესავით.

იფეთქა, რა გაფხუკუნებსო!

— რა მოგივიდა? — ვეკითხები გულუბრყვილოდ. — ო, რა გაბრაზება გცოდნია!

უცებ... ლოგინიდან წამოვხტი და... გამეცინა.

— ბიჭო! — ვეუბნები, — რა სასაცილოები ვართ! მე — უფრო მეტად! აი, ოჯახური სცენაც მოვაწყვეთ! კარგი... მე მეპატიება... მაგრამ შენ! რა ოჯახზეა ლაპარაკი?! ნუთუ ფიქრობ, რომ ის ამბავი დაიფარება?! ნუ-

თუ მართლა შეგიძლია წარმოიდგინო, რომ უკვე ყველაფერი კარგადა? რა იცი, რომ ახლა კარი არ გაიღება და არ წამიყენენ? არადა... პეტ! რომ იცოდე, დღეს რა სასაცილო ამბავი დამემართა! როცა გამოვილვიძე... და-ვდეჩი და ლოცვა აღვავლინე, გამიმარჯვე უფალო-მეთქი! რა სასაცილოები გართ გივი! არადა, იცი რას ვფიქრობდი... ვერ დაიჭერებ. ვფიქრობდი — ნეტა როგორი ოჯახის ქალი დადგება ჩემგან-მეთქი, როგორი დედა. — ხმა ჩამიშეყდა...

მერე გივის გადავხედე.

გამშრალი იჯდა.

— ცოტალა დამრჩა, — ვეუბნები — მალე მიმაყენებენ კედელთან.

— არა, — ამბობს და... — ეს რა არის? ოპო, ცრემლები.

— არა კი არა, კი — გპასუხობ და მსიამოვნებს რომ ის ტირის... ტი-რის ჩემი მუნჯი, ჩემი საყვარელი ბიჭი, ჩემი ავე მარია...

იტირე ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო!

\* \* \*

მეორე დილას უკვე ვბრაზობდი ჩემს თავზე (ასეთი ლირიული გა-დახრებისათვის). მეჩვენებოდა, რომ სისულელე იყო გრძნობების ასე მი-შვება. ის კი არა და, გაბრაზებულმა მაგიდაც ავაყირავე და მაგნიტოფო-ნი გავტეხე. გივიმ მშვიდად აიღო და ფანჯარაში მოისროლა (ფანჯარა ლია მაინც ყოფილიყო).

გივის ძმა გაოცებული, სახემოლრეცილი აკვირდებოდა ჩვენს მოქმე-დებას.

გივის დედა ჭერ არ აპირებდა ჩამოსვლას.

ჩემმა მეგობარმაც ამიბა მხარი სიგიჟეში (მაგნიტოფონის გადაგდე-ბით დაიშეო და)... მერე ჩემზე მეტი ენერგია გამოიჩინა.

არ მოგვეწონებოდა რამე და ლაშ! ხელად იმსხვრეოდა ქაშანურის-ვაზები, ფაიფურიო, ბროლიო....

რას არ ჩავდიოდით!

\* \* \*

დიდი ხანი არ გაგრძელებულა ამ ერთ დროს მშვიდი ოჯახის სულიე-რი რევოლუცია. მალე გივის დედა ჩამოვიდა. ამ ქალმა წყნარად აგვისნა, რომ სრულიად არ იყო ვალდებული ჩვენს მიერ დამტვრეული ჭურჭლის ნამსხვრევები ეკრიფა იატაკიდან და არც იმდენი მოთმინება პქნოდა, რომ ეყურებინა, როგორ ილეწება წვითა და ღავით შეძენილი ქონება.

გივიმ ვიღაცა თავისი ნაცნობი ქალბატონის პასპორტით მოახერხა წა-სტუმროს ნომრის დაქირავება.

მეორე სართულზე დავბინავდით. ქვემოთ რესტორანი იყო, საიდანაც.

მუდამ მთვრალი სიცილი გვხვდებოდა. ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევ-დით. როცა მოგვშივდებოდა, გივი ჩადიოდა და საჭმელი ამოშქონება ხო-ლმე.

ღამით გარეთ გავდიოდით და გაზონებზე ვწვებოდით.

შემოდგომა იყო და ყვავილები აღარ ხარობდნენ, მაგრამ მიწა, რო-მელზედაც ვიწევით, უცნაურ სურნელებას გვაღვრიდა... ეს კი, მე მგო-ნი, საკმარისია, რომ ბედნიერად იგრძნო კაცმა თავი.

ისე კი... ერთ ამაგს ვნანობდით; მაგნიტოფონი რომ არა გვქონდა, რათა ავე მარია ან რამე მისთანა მოგვესმინა.

როგორც იქნა, დავითანხმე გივი, ბუდიდან ცოტა ხნით აფრენილიყო და სიმღერა მოეტანა.

\* \* \*

„საბოლოოდ ააფრინე!“ — მითხრა ორეულმა — „სად გაუშვი ის ბიჭი!؟“.

გამეცინა. ისევ უნდობლობას იჩენდა ადამიანებისადმი.

„დაგიღგა აღსასრული!“ — ვუთხარი — „შენ კი ისევ ხავს ებლაუ-ჭები! ხომ ხედავ... მთლად გაიძრეთ ტანსაცმელი. ჩვენ ახლა მე-20 საუ-კუნის პირველყოფილი ადამიანები ვართ“.

„ჰამ! მეც მაგას არ ვამბობ!“ — ჩაიხითხითა მან — „შენ ველურივით გულუბრყვილო ხარ! გუ...ლუბრ...ყვი...ლო!“

ჩავთიქრდი — „მაშ, შენის აზრით, აღარ დაბრუნდება?“

„— ვინ, პაროდია?“

„— არ მჯერავს შენი!“ — ვუთხარი ამაყად — „სიყვარული შენზე ქლიერია! ის მოვა, სულ მალე... ახლა... აი, ხედავ, უკვე აკაკუნებს...“

კარებთან მივვარდი და...

ჩემს წინ შვეიცარი დგას.

ბარათს მაწვდის.

აცახცახებული ხელით ჩამოვართვი.

გავხსენი.

შიგ არაფერი არ დევს.

გიურით მივვარდი საბანთან, ტანზე შემოვიხვიე და ასე ჩავემხე ლო-გინში.

„ხომ მიიღე!“ — ჩაიხითხითა ორეულმა. — „თან ნახე, დღევანდელი კაცობრიობის უესტს რომ იმეორებს; ცარიელ ბარათს გიგზავნის — სე-ლინგერის მოთხრობის გმირივით... თავის ძმას რომ ცარიელ ქალალდს უგ-ზავნის. ის როგორ არის, ერთი იაპონელი პოეტის სიტყვები: „მესმის ორი ხელის ტაშის ხმა. როგორია ერთის ხმა?“ დუმილიო, გესმის! ღვთა-ებრივი! არ იციან, რომ მათი დუმილი სიბინძურეშია განზავებული,

მათი სულიც ამ სიბინძურეში ტივტივებს, ცეცხლი არ მოსდება რომ დაცეცხლი! და... ესე იგი, არც მაშინ იწოდა, ერთად რომ დაწანწალებდით და გაზონებზე წვებოდით. ვის ბაძავს? პაროდია! მახინჯი! დაგვტოვა, გეს-მის... შენ კი ისევ იმედოვნებ რომ მოვა და „ავე მარიას“ მოგიტანს!“

ხელი შევიქნიე.

„— არა!“ — დავუყვირე მე ისევ ამაყად, — „არ შეიძლება რომ არ მოვიდეს! ჩვენ შევურიეთ ერთმანეთს სისხლი და ცრემლი! მე მისი გულისათვის დავიტანჯე, გავხდი დამნაშავე, დევნილი! იგი მამაჩემია, ის ხელოვნებაა! ის მე არ დამტოვებს!“

\* \* \*

ასე გავიღა სამი დღე...

\* \* \*

მთელი ეს ხანი თითქმის სიზმარში ვიყავი.

მეოთხე დღეს პროზის მხეცმა მაგრძნობინა. რომ თუ რამე არ ვჭამე, თვითონ შემყლაპავს.

ბარბაცით ჩავყევი კიბეებს რესტორნისაკენ...

შევედი.

დავჭექი.

ყავა მოვითხოვე.

მოდის, მოფრიალებს ყავადანი... მოსდევს ოფიციანტი.

„დაიჭირეს!“ — გავიფიქრე უცებ შეძრწუნებულმა — „დაიჭირეს, ჩაავლეს, ის ალბათ ყველაფერს თავის თავზე აიღებს! ღმერთო ჩემო... და-ხვრეტენ! რა სულელი ვარ! რეგვენი... დახვრეტენ! დახვრეტენ ჩემს „ავე მარიას“...“

შამოხტი და... ისევ დავჭექი. „არა, შეუძლებელია! მაშ ბარათი?! ბარათს როგორლა გამომიგზავნიდა? მაგრამ არა! ეს შენი გამოგზავნილი იქნება! ბილწო!“ — დავუკივლე ორეულს და ცხელი ყავა სახეში შევასხი. „უჰ! ოფიციანტისათვის არ მიმისხამს!“

გაშტერებულმა შემომხედა, ჭიბიღან ცხვირსაჭოცი ამოილო, მოიშმინ-და ყავის ნალექი, ხელი ასწია და...

— არა, — შავიჩურჩულე, — ვიცი, შენ არ დამარტყამ...

ამ სიტყვებზე კარს ვეცი, წიხლისკვრით გავაღე. გარეთ გავგარდი. გამვლელები გაოცებით მიყურებდნენ. მივრბოდი და ბნელიანივით ვძოლავდი ჩემთვის რაღაცას.

ფეხი რაღაცას წამოგვარი, წაგიბორძიკე, დავეცი, პირქვე ჩავემხე...  
თავი რომ ავწიე, ისევ ალყაშემორტყმული აღმოვჩნდი.

ახლა უკვე აღარაფრის აღარ მეშინოდა.

მე უნდა აღვსრულებულიყავი...


ვიღაცა მომიახლოვდა.

ხელი გამომიწოდა.

ავიხედე.

ჩემს წინ მოხუცი ქალი იდგა.

— აე მარია! — ვუთხარი მე, თვალები დავხუჭე და მუხლებში ჩა-  
ვუვარდი.



320200606 ყავდაშვილი

## რუსეთის პირველი რევოლუციის ასახვა ვარღამ რუსების პოეზიაში

1905-1907 წლების რევოლუცია უდიდესი მოვლენა იყო როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა ხალხის, ისე განსაკუთრებით ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებაში. მან შესძრა ყველა სოციალური ფენა, აამოძრავა საზოგადოების ძალები, ჩააბა ისინი რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასი, ყველაზე ორგანიზებული და ბოლომდე რევოლუციური სოციალური ჯგუფი.

ისევე როგორც ყოველ რევოლუციას, პირველ სახალხო რევოლუციასაც წინ უძლოდა დიდი იდეოლოგიური ძრები. მსხვილ მუშათა ცენტრებში იქმნებოდა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები, ფაბრიკა-ქარხნებსა და სოფ-

ლად კი წრეები, რომლებიც თავიანთ ამოცანად ისახავდნენ მარქსისტულ-ლენინური შეგნების შეტანას მასებში, მათს შეკავშირებასა და დარაჭმვას კაპიტალიზმისა და თვითმშეყრობელობის წინააღმდეგ საირიშოდ.

ამ იდეოლოგიურ სამზადისში აქტიურად მონაწილეობდა მხატვრული სიტყვაც. ქართულ მწერლობას მუდამ მაღლა ეჭირა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის ღრმა, რომელსაც ახალი შინაარსი მისცა მწერლების ჯგუფმა, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს რომ გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. ამ ჯგუფს ზოგჯერ „მესამე დასის“ მწერლობასაც უწოდებდნენ და მასში შედიოდნენ ე. ნინოშვილი, ი. ევდოშვილი, ნ. ჩხიფაძე, ჭ.

ლომთათიძე, ი. ეკალაძე და სხვები. მათ ახალი ფორმით გამოავლინეს ქართული კლასიკური მწერლობის ძირითადი მოტივები — ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, დემოკრატიზმი, ამასთან მწვავედ აკრიტიკებდნენ შრომისა და კაპიტალის ანტიგრინისტურ წინააღმდეგობას, ეროვნული საკითხების გადაჭრას უშუალოდ უკავშირებდნენ მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას სოციალური თავისუფლებისათვის.

მწერალთა ამ ახალი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო ვარლამ რუხაძე. მისი შემოქმედებითი გზა ბათუმში დაიწყო და აქვე დავაუკაციდა როგორც დემოკრატიული პოეტი (1902-1911 წლები). მართალია, თვითონ იგი თავისი სოციალური წარმოშობითა და მდგომარეობით არ ეკუთვნოდა მუშათა კლასს, მაგრამ ბათუმის პროლეტარიატის რევოლუციურმა გამოსვლებმა მასშე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და განმისჭვალა რევოლუციური შეგნებით. როგორც ცნობილია, 1902 და 1903 წლების მარტში ბათუმში გაიმართა მუშათა გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაციები, რომლებმაც დიდი გამოძახილი პოვეს მთელ რუსეთში და შეუმჩნეველი არ დარჩენია ლენინურ „ისკრას“. „პატარა ბათუმს, — წერდა ეს გაზეთი 1903 წელს, — უფლება აქვს იამაყოს მარტის დემონსტრაციით“.

მუშათა რევოლუციური აღმავლობა, მათი ბრძოლა კაპიტალიზ-

მისა და თვითმცყრობელობის წილი ნააღმდეგ ოპტიმისტურად განაწყობდა ვ. რუხაძეს. იგი თავიდანვე აქტიურად ჩაეცა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სისტემატურად მოღვაწეობდა რევოლუციურ-დემოკრატიულ პრესში და თანაბათან დაუახლოვდა მუშათა კლასის ხელმძღვანელ პარტიას. „აქ კიდევ უფრო დავუახლოვდი მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელ პარტიას, — იგონებდა პოეტი. — მათი გავლენით მეც ჩავები ორგანიზაციულ საქმიანობაში და ერთგულად ვასრულებდი სხვა-დასხვა დავალებებს“ („რჩეული ლექსები“, გვ. 3-15, 1931 წ.).

1903 წელს ვ. რუხაძე ცხოვრობდა ზღვის სანაპიროსთან. მის ბინაში იმართებოდა ორალეგალური თათბირები, იმპერდებოდა ფურცლები, მთელ დასავლეთ საქართველოს ეფინებოდა „ერთობის ხმა“. ამავე წელს ბათუმში მოეწყო მუშათა საპირველმაისო დემონსტრაცია. მართალია, იგი ჩაშალეს კაზაკთა რაზმებმა, ბევრი მისი მონაწილეობა დააპატიმრეს, მაგრამ ამ გამოსვლამ დააფიქრა ხელისუფალნი, ხოლო მუშათა კლასს იმედის ნაპერწეული გაუღვივა. ვ. რუხაძე იგონებდა:

„გათენდა პირველი მაისი. მშვენიერი დილა იყო. თითქოს ბუნებაც ემზადებოდა საზეიმოდ.

სრულ 10 საათზე ერთბაშად შეჩერდა ყველა ქარხანა და მუშათა ზღვა ქალაქისაკენ დაიძრა „მარსელიოზას“ სიმღერითა და

ალაფრთოვანებდა მშრომელთა შეუძლებელი დგარი ბრძოლა, მტკიცედ სჯეროდა, რომ „ექლით მოფენილ“ ცხოვრებას ბოლო მოეღებოდა („სიმღერა“). იგი მოუწოდებდა შეგობრებს მტკიცედ შეკავშირებულიყვნენ და შეერთებული ძალით დაემხოთ უსამართლო წყობილება.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ვ. რუხაძე იყო ქართული სოციალ-დემოკრატიული უურნალის „მოგზაურის“ აქტიური თანამშრომელი. კერძოდ, მის ფურცლებზე გამოაცვეყნა მებრძოლური სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები „ქუჩაზე“, „სალი კლდე გასკდა“, „განა ეს მოსათმენია?“ და სხვ. ყველა ეს ლექსი ეხმაურებოდა მუშათა კლასის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მყითხველებში აღვივებდა თვითმპყრობელობის სიძულვილს, ამაღლებდა მშრომელთა კლასობრივ შეგნებას და ხელს უშენდა მასების რევოლუციურ დარაზმულობასა და შეკავშირებას. პოეტმა იცოდა, რომ თვითმპყრობელობასთან ბრძოლა ითლი საქმე არ იყო, მაგრამ არავითარ რეპრესიასა და მსხვერპლს არ შეეძლო გამარჯვებისაკენ ხალხის მისრაფების დაოკება. ამ მხრივ საგულისხმოა ლექსი „განა ეს მოსათმენია?“, რომელშიც ვ. რუხაძემ ემოციურად გაღმოგვცა დედის გლოვა ერთადერთი შვილის დაღუპვის გამო მეფის სატრაპების წინააღმდეგ ბრძოლაში და ხალხის მრისხანება, მისი მტკი-

წითელი დროშებით. ამ ზღვაში მეც გამიტაცა...

მიტინგი თათრის მოედანზე იყო დანიშნული. სახელდახელოდ მომზადებულ ტრიბუნაზე ერთერთი ორატორი ავიდა და დიდი პოლიტიკური სიტყვა შარმოთქვა. ლაპარაკობდა მჭევრმეტყველურად. მის სიტყვაში ცეცხლი ფეხშვდა და გულში დარღად ცვიოდა. ჩვენ სულგანაბული ვუსმენდით. ჭერ არც კი დაემთავრებია სიტყვა, რომ ცხენის ფეხის თქარათქური გაისმა“.

სპირველმაისო დემონსტრაციამ პოეტს განუმტკიცა რწმენა, რომ თვითმპყრობელობის დღეები დათვლილი იყო და ხალხი უსათუოდ გაიმარჯვებდა. თავისი სიხარული და ნათელი მომავლის ღრმა რწმენა ვ. რუხაძემ გამოხატა ლექსში „ზამთარს სული ეპარება“, რომელიც იმავე წელს დაბეჭდა „კვალში“.

1904 წელს ბათუმში გამოვიდა ვარლამ რუხაძის ლექსების პირველი წიგნი „ცისკარი“. წინასიტყვაობაში, რომელიც ამ კრებულს ერთოდა, იმ დროს ფართოდ ცნობილმა კრიტიკოსმა ივანე გომართელმა საქმაოდ დაწვრილებით დაახასიათა პოეტის შემოქმედება.

როგორც კრებულის სათაურიდანაც ჩანს, პოეტის ლექსები ძირითადად ეძღვნებოდა ხალხის მომავალს, რწმენას, რომ წყვდიადს სულ მალე შესცვლიდა ცისკარი. ვ. რუხაძეს შთააგონებდა და

ზმია დასალუპავად გურჯაანი ადა  
მოწმობს, კერძოდ, პოეტის ლექ-  
სები „ლოთი“, „მშიერი“, „ქუჩა-  
ზე“ და სხვები.

როცა ხალხის მზარდი რევო-  
ლუციური მოძრაობით დამფრთ-  
ხალმა მეფის მთავრობამ მშრო-  
მელთა მოტყუებისა და გზა-კვალ-  
ის აბნევის მიზნით 1905 წლის 17  
ოქტომბერს ცნობილი მანიფესტი  
გამოსცა, მენშევიკები სიხარულით  
შეხვდნენ მას, ხოლო ბოლშევიკე-  
ბი ხალხს განუმარტავდნენ, რომ  
მანიფესტი იყო მეფის ხელისუფა-  
ლთა ფანდი, რათა შეეჩერებინათ  
რევოლუციის აღმაფნეობა. ამ  
კრიტიკულ მომენტში ვარლამ რუ-  
ხხაძემ სწორად შეაფასა მეფის  
მთავრობის მანიფესტი და ლექს-  
ში „17 ოქტომბრის სახსოვრად“  
მასებს მოუწოდა, ნუ ენდობითო  
„შემოდგომის მზეს“. ეს ფაქტი  
იმას მოწმობს, რომ პოეტი ახლოს  
იდგა ბოლშევიკებთან და საღად,  
ობიექტურად აფასებდა სიტუა-  
ციას.

ამითვე უნდა აიხსნას, რომ ვ.  
რუხხაძემ რევოლუციის დამარცხე-  
ბის შემდეგაც, რეაქციის პერიო-  
დშიც შეინარჩუნა ოპტიმისტური  
განწყობილება და ოვითმშერობე-  
ლობაზე ხალხის საბოლოო გამა-  
რჯვების სწმენა. ამას აღასტუ-  
რებს პოეტის ისეთი ლექსები, რო-  
გორიცაა „მტარვალს“, „გმირის  
საფლავზე“, „სიმართლის ღმერთი  
ტახტზე დაჭდება“, „განთიადი ის  
დიადი“, „განთიადს“ და სხვები,  
რომელთა უმრავლესება 1908

ცე გადაწყვეტილება სამაგირო  
მიეზღო მტრისათვის, გამარჯვება-  
მდე მიეყვანა თავისი სამართლია-  
ნი საქმე.

ასევე აქტიურად თანამშრომ-  
ლობდა 1906 წელს ვ. რუხხაძე  
ასდმპ თბილისის გაერთიანებული  
კომიტეტის ყოველდღიურ გაზეო  
„ელვაში“. ამ გაზეთის ფაქტიური  
რედაქტორიც ფ. მახარაძე იყო.

ვ. რუხხაძის ამ პერიოდის ლექ-  
სებში აშკარად იგრძნობა რევო-  
ლუციურ-დემოკრატიული სკოლ-  
ის მეთაურის იროდიონ ევდოშვი-  
ლის პოეზიის გამოძახილი. მათი  
სოციალური, ეროვნული და ეს-  
თეტიკური შეხედულებანი იდენ-  
ტური იყო, რამაც მნიშვნელოვან-  
წილად განაპირობა ორეთვე პოე-  
ტის წერის მანერა, მომწოდებლუ-  
რი ხასიათი და საბრძოლო პათო-  
სი. საკულისხმოა აგრეთვე, რომ  
ი. ევდოშვილის მსგავსად ვ. რუხხა-  
ძე ხშირად იყენებდა სიმბოლო-  
ებს, ეტროფილა ქარიშხალსა და  
აბობოქრებულ ზღვას, რომლებ-  
შიც გულისხმობდა რევოლუცი-  
ურ-განმათავისუფლებელ მოძრა-  
ობას. ერთ-ერთ ლექსეში იგი, მა-  
გალითად, ასე მიმიართავდა ზღვას:  
„მაშ, რას უყურებ, ააგორე,  
ზღვაო, ზვირთები, ესროლე მტა-  
რვალს, ნუ შედრკები, ნუ შეშინ-  
დები“. გვერდს ვერ ავუვლით აგ-  
რეთვე იმ ფაქტს, რომ ვ. რუხხაძემ,  
ისევე, როგორც ი. ევდოშვილმა,  
დიდი ყურადღება დაუთმო ე. წ.  
ცხოვრების გერებს, ლუმპენ პრო-  
ლეტარებს, რომლებიც კაპიტალი-

წელს დაშვერა და გამოაქვეყნა. რეაქციის პარტაში და იატაქევე-შელი რევოლუციონერების გაუ-ტეხლი რწმენა, მათი მისწრაფე-ბა — კვლავ დაერაზმათ ხალხი თვითმმაყრობელობაზე ახალი იე-რიშისათვის ვ. რუხაძემ რეალუ-რად ასახა ლექსში „კრება“. ახა-ლგაზრდა რევოლუციონერი საი-დუმლო კრებაზე შეკრებილთ ნა-თლად უხსნის ექსლოატაციის. ჩაგვრის წარმომშობ მიზეზებს და მოუწოდებს მათ კვლავ დაირაზ-მონ, შეერთებული ძალით შეუ-ტიონ ბოროტებას, მოიპოვონ თა-ვისუფლება. აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი რევოლუციური პათო-სისათვის ცენზორს დაუმახინე-ბია, მთელი სტროფებიც ამოუ-ლია, ხოლო პოეტი დაპატიმრებას გადაარჩინა ფსევდონიმმა „ვ. ჩახ-რუხაძე“. პოლიციამ ვერ შეძლო დაედგინა მისი ავტორი, თუმცა თავს დაესხა გაზეთის რედაქციას და დაარბია იგი.

რამდენადც რეაქციის პერიო-დში სულ უფრო ძნელდებოდა რევოლუციური პათოსით გამსჭ-ვალული ნაწარმოებების გამოქ-ვეყნება, ვ. რუხაძე ფსევდონი-მებს (ვ. ჩახრუხაძე, ხუმარა) ამო-ეფარა. 1908 წელს სატირულ-იუმორისტულ უურნალ „მათრახ-ში“ მან ვ. ჩახრუხაძის ხელმოწე-რით დაბეჭდა ორი ლექსი: „სათ-არხანის სიმღერა“ და „ოცნებავ, ფრთები შესხი“. ამ ლექსების რევოლუციური სულისკეთები-სათვის უურნალის გამოცემა შეა-ჩირეს, ხოლო მისი რედაქტორ-გა-

მომცემელი თ. ბოლქვაძე პასუხი-ს გებაში მისცეს. ის რას სწერდა საცენტრულ კომიტეტი თბილისის სასამართლო პალატის პროკუ-რორს 1908 წლის 18 ოქტომბერს:

„მათრახის“ მესამე ნომერში ჩახრუხაძის ხელმოწერით მოთავ-სებულია ლექსი „სათარხანის სი-მღერა“, რომელიც შეიცავს მო-წოდებას შეიარაღებული აჯანყე-ბისაკენ....

მეორე გვერდზე მოთავსებუ-ლია იგივე ავტორის ლექსი („ოც-ნებავ, ფრთები შესხი“ — ვ. ყ.), რომელშიც თანამედროვეობა გა-მოცავებულია ბოროტების სა-მეფოლ. ავტორი ოცნებობს ქვე-ყანაზე, სადაც ბატონობს შრომა, სადაც თანასწორია ყველა და აღ-ამიანების ერთი ნაწილი წურბე-ლასავით არ სწოვს სისხლს მეო-რეს....“

სასამართლო პალატის პროკუ-რორი, რა თქმა უნდა, დაინტერე-სდა ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის ვინაობით, მაგრამ ბეჭ-დვითი სიტყვის საქალაქო კომი-ტეტმა მას უმწეოდ უპასხა: „კომიტეტი მოკლებულია ყოველ-გვარ შესაძლებლობას გაიგოს ჩა-ხრუხაძის ფსევდონიმით გამოქვე-ყნებული ლექსების ავტორის ნამ-დვილი გვარი“ (სცსა, ფ. 480, აღმ. № 2, საქმე № 268).

თავის ლექსებში ვ. რუხაძე კვლავ და კვლავ ამხნევებდა და-მარცებულ მშრომელებს, გამოთ-ქვამდა იმედს, რომ დაედგებოდა უამი და ხალხი გამარჯვიბის ნა-

თელ დროშას ააფრიალებდა. „მწამს: დაკრაგს წამი, კვლავ გათენდება“, წერდა იგი ლექსში „ისევ დაღამდა“. პოეტი ქება-დიდებით იხსენიებდა იმ გმირებს, რომლებიც რევოლუციას, ხალჩის ბედნიერებისათვის ბრძოლას შეეწირნენ („გმირის საფლავზე“, „შევარდენი“, „სააღდგომო“ და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ლექსში „გმირის საფლავზე“ პოეტი პირდაპირ არ ასახელებს გმირს, ლირიკულ ფერებში გვიხატავს ხალხის ნათელი ბედნიერებისათვის თავდადებულ მებრძოლს, ვის წმინდა საფლავსაც მთვარე ნაზად ეალერსება, ხოლო ბულბული ტკბილად უგალობს. პროფესორ შ. გოზალიშვილის დასკვნით, ეს ლექსი მიძღვნილია დიდი რევოლუციონერის ლადო კეცხოველისადმი, რომელიც ვერაგულად მოკლეს მეფის მსახურებმა 1903 წელს. „1908 წელს, — წერს პროფესორი შ. გოზალაშვილი წიგნში „ქართული რევოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის“, — პოეტმა ვ. რუხაძემ, ირ. ევდოშვილის წაბაძვით თუ ლიტერატურული გავლენით, დაწერა ლექსი „გმირის საფლავზე“. პოეტი ლექსის გმირს პირდაპირ არ ასახელებს, მაგრამ მყითხველი წაკითხვისთანავე ხვდება, ლადო კეცხოველს ნათელი ხსოვნისადმია მიძღვნილი“.

სხვა ლექსებშიც ვ. რუხაძემ ადიდა ბრძოლაში დაცემული გმირები. ლექსში „დედას“ პოეტმა ის აზრი განავითარა, რომ „ვინც

თვისი ნიჭი, ცოდნა, მალ-ლოხებალხის სამსახურს მთლად შეალია“, შთამომავლობა არასოდეს დაივიშებს, იცოცხებს თაობათა მეტსიერებაში. სულ სხვა ბედი ელოდათ, პოეტის აზრით, მოღალატეებსა და პროვოკატორებს, რომლებსაც მეფის იხრანა საჯაშუშოდ გზავნიდა მუშათა და პარტიულ ორგანიზაციებში. ისინი იყვნენ რევოლუციის ყველაზე მხდალი და თავკერძულად განწყობილი თანამგზავრები, რომლებიც დააფრთხო რევოლუციის დროებითმა დამარცხებამ. გამარჯვების ჩრდილი რომ დაკარგეს, ისინი ადვილად გადაიბირა იხრანკმდ და თავის აგენტებად გაიხადა. ასეთ პირებს ვ. რუხაძემ „ჩვენი დროის იუდა“ უწოდა და მათ იუდასავე ხევდრი უწინასწარმეტყველა. ყველა, ვინც ხალხს საქმეს უღალატებს, პოეტის აზრით, დაიმსახურებს მხოლოდ ზიზღა და სიძულვილს.

1908 წელს გამომცემელმა კ. ალანიამ ბათუმში დაპირა დაესტამბა ლექსების კრებული „ცხოვრების ველზე“, რომელშიც შეიტანა მხოლოდ ირ. ევდოშვილისა და ვ. რუხაძის ლექსები: იროდიონ ევლოშვილის ყოველ ორ ლექსის შესაბამისად მოსდევდა ვარლამ რუხაძის ორი ლექსი. კრებულში შევიდა ვ. რუხაძის მამხილებელი, რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები „ორი სურათი“, „მუშის ღილინი“, „მშიერი“, „არის ის გასაკიცხავი“, „რა მალონებს“, „შუაღამეა“ და

სხვები. მაგრამ რეაქციის სუსხიან პერიოდში ამ წიგნს მზის სინათლის ხილვა არ ეწერა — მისი დასტამბვა აკრძალა საცენზურო კომიტეტმა.

1910 წელს ვ. რუხაძემ ბათუმში გამოსცა ლექსების მორიგი კრებული „ცისკარი“. მასში კიდევ უფრო მყაფიოდ წარმოჩნდა პოეტის შებრძოლი სული და გამარჯვების ღრმა რწმენა.

მეფის თვითმშეყრინბელობის დამხობას ვ. რუხაძე უდიდესი სიხარულით შეხვდა. ეს ისტორიული ფაქტი პოეტმა შეადარა მზის ამოსვლას და წყვდიადის გაქრძაბას. თავისი სიხარული და აღტაცება მან მხატვრული ექსპრესიით გადმოგვცა ლექსში „განცდა“.

გარშემო ბნელოდა,  
სული მზეს ელოდა,  
ხან მწარედ კვნესოდა,  
ხან რწმენით მღეროდა.  
ცისკარი აღმოხდა,  
შევძახე: „რა მოხდა?“  
მახარა: „მზე მოდის,  
ბნელს სული ამოხდა“.

ეს სიხარული და აღტაცება იმდენად ძლიერი იყო, რომ პირველ ხანებში ვ. რუხაძემ გადაჭარბებულად შეაფასა თებერვლის ბურუუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგები. მაგრამ დიდხანს არ გაუვლია, რომ პოეტი მიხვდა თავის შეცდომას. იგი ხედავდა, რომ იდეალი და სინამდვილე კვლავ შორიშორ იდგნენ და სულს შესჩიოდა, „არა გვაქვს არ-სად თავშესაფარიო“.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიყვანა ვ. რუხაძე ულიერი დეპრესიიდან. მან თვალითლივ დაინახა, თუ რამდენად უსუსური და ანტიხალხური იყო მეზევიების პოლიტიკა. და პოეტი თითქოს ხელახლა დაიბადა, ახალი ხმით ამღერდა. იგი განადიდებდა საბჭოთა აღმამინების გმირულ შრომას, თაობას, რომელსაც ასულდგმულებდა კომუნისტური იდეალები და ქმნიდა ახალ ცხოვრებას, ამკითხებდა სოციალისტურ წყობილებას. მას ახარებდა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გზით მიმავალი საბჭოთა საქართველოს წარმატებანი, ადიდებდა ლენინურ პარტიას, ვისი ხელმძღვანელობითაც ხალხი იდეალებს რეალობად აქცევდა, აშრობდა კოლხეთის ჭაობს, აშენებდა ლიმონისა და ფორთოხლის ბალებს. ლექსში „კოლხეთს“ პოეტს განსაკუთრებით ის აღართოვანებდა, რომ საბჭოთა აღამიანს ნათელი პერსპექტივები, წინსვლისა და ნიჭის გამოჩენის ყველა პირობა ჰქონდა. ამიტომ წერდა იგი: „და დღეს უსაზღვრო გაქვს გასაქანი, ოლონდ გაშალე არწივის ფრთხები“.

რაც დრო გადიოდა, ვ. რუხაძის პოეზია სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას. მასში ასახვა პოვა სოციალიზმის მშენებელთა მისწრაფებებმა და განცდებმა. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსები „მტკვარს“, „წყალტუბოსაღმი“, „საბჭოთა სოფელი“, „ქალს“ და

სხვ. პარალელურად პოეტი მწვავედ ამათრახებდა დრომოშმულ ნორმებსა და ტრადიციებს, წარსულის მავნე გადმონაშთებს. 1935 წელს მან „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 2) გამოაქვეყნა ლექსი „აჭარელ ასულს“, რომელშიც გადაჭრით დაგმო რევოლუციამდელი ქალის უფლებობა, მონური ყოფა და განადიდა კომუნისტური პარტია, „ძველს რომ ანგრევს და ახალს ამყარებს“.

ვ. რუხაძე ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი უანგარო და გულ-

წრფელი მუშავი იყო. საშაროსა და ანად წერდა ამას წინათ წერტილი სორი დ. კობიძე: „ვარლამ რუხაძის ლექსებს დღეს ჩვენი ახალგაზრდობა მღერის („დილა არის... ცა ლაუგარდი“ და სხვა) და მათი ავტორის მივიწყება სამართლიანი არ იქნება“. ჩვენი ზრით, საჭიროა გამოიცეს ვ. რუხაძის ლექსების სრული კრებული, რომელიც საშუალებას მისცემს ქართველ მკითხველს წარმოიდგინოს ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის განვითარების სრული სურათი.

## აგაზ სურანიძე

# „ერთხელ ვინილუს“ ავტორის ვინაობა და ღვაწლი

ალბათ ყველას მოუსმენია საკ-  
მაოდ პოპულარული ლექსი „ერ-  
თხელ ვინილე ბალში ყვავილი“ და  
მასზე შექმნილი სიმღერა. ამ ლე-  
ქსის ავტორმა არაერთი გულთბი-  
ლი ნაწარმოები უძღვნა ახლადგა-  
ნთავისუფლებულ აჭარას. მას ამ  
კუთხესთან აახლოებდა ნათესაუ-  
რი კავშირიც. ეს იყო კონსტან-  
ტინე (კოშია) დავითის ძე ერის-  
თავი (1859-1931), გასული საუკუ-  
ნის ბოლოს და ჩვენი საუკუნის  
პირველი მესამედის საქმაოდ ნა-  
ყოფიერი შემოქმედი და საზოგა-  
დო მოღვაწე. სამუხაროდ მის შე-  
სახებ თანამედროვე მკითხველმა  
ცოტა იცის.<sup>1</sup>

1 ამ შხრივ სასიამოენო გამონაკლისია  
აწ განსვენებული მკვლევარის სოლო-  
მონ ცაიშვილის მიერ დიდის გულმოდ-  
გინებით და საქმის სიყვარულით დაწე-  
რილი წიგნი „კოშია ერისთავი“ (თბილი-  
სი, 1958 წ.). ბიოგრაფიული და სხვა  
ცნობებისათვის ვსარგებლობდით ამ წი-  
გნით.

კონსტანტინეს წინაპრები აფხა-  
ზეთის მთავრები შერვაშიძეები  
არიან. ერთი მათგანი გურიის მთა-  
ვარს ერისთავად დაუნიშნავს, ამა-  
სთან დაკავშირებით გვარიც შეც-  
ვლილა. კოშიას მამის დათას (და-  
ვითის) დედა მარიამი საქართვე-  
ლოს უკანასკნელი მეფის გიორგი  
მეთორმეტის შვილიშვილი იყო.

დედის მხრივ კოშია ენათესავე-  
ბოდა გურიის მთავრებს გურიე-  
ლებს, სამეგრელოს თავადებს ჯა-  
იანებს და აჭარის მმართველებს  
ხიმშიაშვილებს. დედა — ბარბა-  
ლე ერთ დარის სამეგრელოში გა-  
ნთქმული ფეოდალის და სამეგრე-  
ლოს ჯარის მეთაურის ოტია ჯაია-  
ნის (გარდაიცვალა 1841 წ.) და  
აჭარელი თავადის აბდი ხიმშია-  
შვილის (1789-1859) ქალის ესმას  
(1819-1893) შვილი იყო.

უცხოელთა მიერ მიტაცებული  
აჭარის განთავისუფლებისათვის  
ბრძოლის უინით აღტყინებულ

18 წლის კ. ერისთავს გულმა თანამოძმეულისაკენ გაუწია; 1877 წელს მოხალისედ შევიდა ქუთაისის ცხენოსანთა რაზმში, რომელსაც პოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი ხელმძღვანელობდა და რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა აჭარა-შავშეთის განთავისუფლებაში. აქ გამოჩენილი მამაცობისა და თავ-განწირვისათვის კ. ერისთავი გიორგის ჯგრით და რამდენიმე ორდენით დააჯილდოვეს, ომის დამთავრების შემდეგ კი ბათუმის ოლქში მუსულმან ქართველთა ასეულის მეთაურად დანიშნეს. ეს არ იყო შემთხვევითი. ადგილობრივი მოსახლეობა პირველ ხანებში უნდობლად უყურებდა ახალ-დამკვიდრებულ რუსეთის ხელი-სუფლებას. მიტომ მათ ხელმძღვანელად აუცილებელი იყო ისეთი ადამიანის გამოხახვა, რომელსაც აჭარასთან ჰქონდა ნათესაური კავშირი და სარგებლობდა მოსახლეობის ნდობით. კ. ერისთავს ფრთიც გააჩნდა და მეორეც. მისი უშუალო უფროსი, დედის ბიძა, ცნობილი ქართველი პატრიოტი ნური აბდის ძე ხიმშიაშვილი იყო. ამ უკანასკნელმა დიდი როლი შეასრულა თავისი საგვარეულო მამულის შავშეთის ოსმალთაგან განთავისუფლების საქმეში.<sup>2</sup>

კარიზმის ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ დააფასა ადგილობრივ ქართველ მამულიშვილთა დამსახურება. ომის დამთავრები-

დან ორი-სამი წლის შემდეგ თუ-თქმის ყველა მათგანი (თუცცირქ ათაბაგი, ხუსეინ აბაშიძე, მარგან მარშანია, დურსუნ თავდგირიძე, ნური ხიმშიაშვილი და სხვები) სხვადასხვა მიზეზებით სამსახურიდან დაითხოვა, რამაც დიდი უკა-მაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში და ამანაც ხელი შეუწყო მუჰაჯირობას, ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-გადასახლებას.<sup>3</sup>

კარიზმის მესვეურებმა არც კ. ერისთავის ღვაწლი დააფასეს. ქალაქ ბათუმის მაშინდელმა უფროსმა პოლკოვნიკმა ა. ბერსმა კ. ერისთავი თავის თანამებრძოლებაზე რეგებ და ასლან შაშიკაშვილებთან ერთად დააპატიმრა და სასამართლოს გადასცა, თითქოს ისინი ღამით თავს დაესხნენ ა. ბერსმა და სურდათ მისი მოკვლა. ექვსი თვეის პატიმრობის შემდეგ, 1883 წლის 27-30 მაისს შედგა სასამართლო პროცესი, რომელზეც ნათელი გახდა მეფის ჩინოვნიკის მიერ მოწყობილი ინტრიგა; მოწმეთა ჩვენებებით და დამცველთა მაღალებითი ფიური გამოსვლით დაიმსხრა ა. ბერსმის მიერ სუსტ საძირკველზე აგებული გოდოლი ბაბილონისა.<sup>4</sup> კ. ერისთავი თავის თანამებრძოლებთან ერთად გამართლდა, მაგრამ ბათუმში აღარ გაეჩერებოდა, იგი ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში გადავიდა და კვლავ ქართულ მილიციაში გააგრძელა სამსახური.

3 იქვე, გვ. 74.

4 გაზ. „დროება“, 1883, № 103, 104, 106, 108, 114.

შემდგომ წლებში კ. ერისთავი რამდენჯერმე ოზურგეთის თავადა-აზნაურთა წინამძღვანლად აირჩიეს და ამ თანამდებობაზე იგი დარჩა.

22 წლის განმავლობაში, 1917 წლის თებერვლის რევოლუციონ-დე. კ. ერისთავი არ შესულა არც ერთ პარტიაში, მაგრამ იგი თანა-უგრძნობდა და თავშესაფარს აძ-ლევდა ცნობილ რევოლუციონე-რებს და საზოგადო მოღვწეებს: თ. ჩუბინიძეს, ი. ჭუმბურიძეს, ს. სტეფანოვს, დ. სულიაშვილს, ლ. ქიაჩელს, ჭ. ასათიანს და სხვებს.

აქვე გვინდა ალვნიშნოთ, რომ ცნობილი ქართველი კინორეჟი-სორი სიკო დოლიძე ამჟამად ამ-ზადებს ფილმს, რომელშიც მაყუ-რებელი ნახავს რევოლუციონერ-თა ციხიდან გაპარების კაღრებს და ამ სახითათო საქმეში კ. ერის-თავის აქტიურ როლს.

საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან, კ. ერისთავი გადა-დის თბილისში და ხანდაზმულო-ბის მიუხედავად აქტიურად ებმე-ბა ახალგაზრდა რესპუბლიკის კულტურულ - საგანმანათლებლო საქმიანობაში. კ. ერისთავი გარდა-

იცვალა 1931 წლის 26 დეკემბერს თბილისში, დაკრძალეს სახელმწიფო ფოს ხარჯზე ვერის ძველ სასაფ-ლაოზე.

საბჭოთა ხელისუფლების პე-რიოდში სათანადოდ დაფასდა კ. ერისთავის მრავალმხრივი და მე-ტად სასარგებლო საქმიანობა. იგი, ერთი პირველთაგანი მიიღეს საბ-ჭოთა კავშირის მწერლების კავ-შირის წევრად, დაენიშნა პეტო-ნალური პენსია, შეუნარჩუნდა წინაპრების მიერ მემკვიდრეობით გადმოცემული ქონება, რომლის ნაწილი საქართველოს სახელმწი-ფო მუზეუმს ჩააბარა. საოჯახო რელიქვიებიდან ყურადღებას იპ-ყრიბს აკვარელზე შესრულებული კესარია გურიელის პორტრეტი, რომელიც უცნობი მხატვრის ნა-ხელავია და ამჟამად ი. გრიშაშ-ვილის სახელობის თბილისის ეთ-ნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

აჭარასა და შავშეთში კ. ერის-თავის ხანმოკლე ცხოვრება (1877-1883) მარტო სამხედრო სამსახუ-რით არ შემოფარგლულა. აქ დაი-წყო მისი შემოქმედებითი გზა. 1877 წელს დაწერილ პირველ ლექსში იგი უმღერის აჭარასა და შავშეთს:

ოდესაც ცცემდა აქ მაჯა ერის,  
ამ კუთხეს ტურთა პქონდა ბუნება;  
მარად ისმოდა ხმა ჩანგის უღერის;  
აქ ნეტარებდა კაცის ბუნება.

დილის ნიავზე სად ყვავილთ გროვას  
იაღონნი მაღლს მიუგალობდნენ;  
რა უამი ჰქონდა ამ კუთხეს ხმოვანს,  
ახ, რომ იცოდნენ, ახ, რომ იცოდნენ.<sup>5</sup>

პოეტი აღფრთოვან ე ბუ ლ ი ა, შორებული ძმები კვლავ შეხვდ-  
რომ საუკუნეების მანძილზე გან- ნენ ერთმანეთს:

შემდეგ დიდი ხნის მძიმე გაყრასა  
ჩვენ შევიყარეთ ხელახლად, ძმაო,  
მაღლობელი ვარ კეთილ წამისა,  
რომელშიც არ დგას ჩვენთვის ამაო.

ამით იგი ბანს აძლევს დიდ ქა-  
რთველ პატრიოტებს: გრ. ორბე-  
ლიანს, ილიას, აკაკის, დ. ყიფიანს,  
ს. მესხს, გ. ყაზბეგს, გრ. გური-  
ელს, შ. ხიმშიაშვილს და სხვებს,  
რომელებმაც აჭარის განთავისუფ-  
ლებით გამოწვეული სასარული  
გამოხატეს თბილისში მუხრან-ბა-  
ტონის სასახლეში გამართულ ის-  
ტორიულ ბანკეტზე.

მეფის მოხელეთა ანგარებამ,  
პიროვნების უფლების შელახვამ,  
რელიგიური გრძნობების შეგინე-  
ბამ და ინტრიგებამ, რომელებიც  
მიმართული იყო. ადგილობრივი  
მოსახლეობის, აგრეთვე ხელმწი-  
ფის სამსახურში მყოფი ქართვე-  
ლების წინააღმდეგ, და რომელთა  
მსხვერპლიც კინაღამ გახდა ოვით  
კ. ერისთავი, პოეტს ბათუმიდან  
წასვლის წინ ათქმევინა სევდიანი  
სტრიქონები.

თბილისში კ. ერისთავი კიდევ

<sup>5</sup> კ. ერისთავი. ლექსთა კრებული. თბილისი, 1887 წ. ვევმოთ ყველა ლექსი  
ამ კრებულიდან არის მოტანილი.

უფრო უახლოვდება ლიტერატუ-  
რისა და ხელოვნების ცნობილ  
მოღვაწეებს: ილიას, აკაკის, სერ-  
გეი მესხს, გ. წერეთელს, ნ. ნიკო-  
ლაძეს, დ. მიქელაძეს, პ. მირიან-  
შვილს, მ. გურიელს, გ. შერვაში-  
ძეს. 1887 წელს თბილისში გამო-  
დის კ. ერისთავის პოეტური კრე-  
ბული, რომელშიც 1877-1886  
წლებში დაწერილი 28 ლექსია შე-  
ტანილი, მათ შორის „ერთხელ  
ვიხილე ბაღში ყვავილი“, რომელ-  
იც 1883 წელს, ბათუმში ყოფნი-  
სას არის დაწერილი, და რომელ-  
ზეც კოქინია დგებუაძემ საკმაოდ  
ცნობილი სიმღერა შექმნა.

როგორც ს. ცაიშვილი აღნიშ-  
ნავს, კ. ერისთავის ლექსები მრა-  
ვლად არის გამნეული ქართულ  
ურნალ-გაზეთებში, გარდა ამი-  
სა მრავალი მათგანი ინახება პო-  
ეტის პირად არქივში. მკვლევარმა  
კ. ერისთავის პირველივე ლექსში  
სამართლიანად შენიშნა აკაკის გა-  
ვლენა.

საინტერესოა აკად. ს. ჯანაშიას  
სახელობის საქართველოს სახელ-

მუზეუმში დაცული (H კოლექცია, № 14, ა. ბ.) 14 ხელნაწერი ლექსი, რომელთაგან შვილი მიძღვნილია აკაკისადმი. დანარჩენებს აქვს სათაურები: „მეგობარს“, „ვის გენიშვილა“, „შეშვილა მუზა“, „ნათლისლება“, „აჭარის-შვალი“, „ვაის გავეყარე“ და სხვ. არც ერთ ლექსი არ ახლავს ავტორის ნამდვილი გვარი, ხელმოწერილია ფსევდონიმებით: „ხოჯა კოშია“, „აჭარელი კოშია“, „კოშია მეურნალი“ და ა. შ. ხელნაწერთა აღმწერელის პროფ. ელ. მეტრეველის აზრით ყველა ფსევდონიმი ერთ პიროვნებას უნდა ეკუთვნოდეს;<sup>6</sup> ამ მოსაზრებას გვსურს დავუმატოთ ჩვენი ვარაუდი, რომ ლექსებს ავტორი კოშია ერისთავია. ამას გვაფიქრებინებს მისი ნათესაური ურთიერთობა აჭარასთან და სიახლოებებთან და ნათესაობა აკაკი შერეთელთან. (აკაკის ბებია ლისა და კ. ერისთავის ბებიას დედა კასარია დები იყვნენ).

აღნიშვნის ღირსია კ. ერისთავის თეატრალური მოღვაწეობა, იგი ითვლება ქუთაისის ქართული დრამატიული თეატრის ერთერთ დამარსებლად. კ. ერისთავს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართულ ისტორიულ დრამატურგიაშიც. ამ უანრიდან მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ნაწარმოები, ამათვან პიესა „კესარია

6 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. 4, თბილისი, 1950, 83. 26, 27.

ბატონიშვილი“ და კინოს ცენტრი „ლაზისტანის უკანას კელებული მუზეუმი“ ბელი“ (იგივე პოემა „სიყვარულის მსხვერპლი“), რომლებიც ეძღვნება აჭარის, გურიის და ლაზეთის ისტორიულ წარსულს, ისმალთა ბატონობის მძიმე პერიოდს.

პიესა „კესარია ბატონიშვილი“ დაწერილია 1905 წელს. იგი წაუკითხავს ვლ. ალექსი-მესხიშვილს და მიუცია ვიზა ბათუმში დასადგელად.

1905-1906 წლების თეატრალურ სეზონში კ. ერისთავი ჩამოვიდა ბათუმში, სადაც იმ დროს წარმოდგენებს მართავდნენ შალვა დადალიანი და ვალერიან შალიკაშვილი. „ბათუმში რომ ჩამოვიდა, თურმე დაწერილი ჰქონდა ახალი პიესა „კესარია ბატონიშვილი“. წინადადება მოგვდა, დაგვეღვგა ეს ახალი პიესა, და მართლაც ხელი მოვკიდეთ და ერთ კვირაში მოვამთავრეთ. ეს პიესა შალვა დადალიმა დადგა“. — წერს ნიკო გვარაძე.<sup>7</sup>

პიესის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1907 წელს თბილისის სცენაზე ის დაუდგამს ქართული თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეს ვასო აბაშიძეს, ხოლო ვალერიან გუნიას იგი საბენეფისოდ აურჩევია. პრემიერა აჩვენეს 1907 წლის 9 იანვარს, რასაც მაშინდელმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა (გაზეთები „ზარი“ და „ზაკავკაზიე“).

7 ნიკო გვარაძე, თეატრალური მემუარები. თბლისი, 1951.

პიესა ნამდვილ ისტორიულ ამბებს ასახავს და ძირითადად ეხება გურიისა და აჭარის მე-19 საუკუნის პირველი მესამედის ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებას. საქმაოდ კარგადაა მოცემული გურიის სამთავროს დაშლის წინა პროცესი, აჭარის მმართველთა დიდი ოჯახის აწეშილი მდგომარეობა და ა. შ. მოქმედი პირებიც რეალური პიროვნებები არიან: მამია გურიელი, მისი და კესარია (პიესაში იგი მამიას ქალიშვილად არის წარმოდგენილი), ახმედ-ბეგი (იგივე აბდი ხიმშიაშვილი), სიმონ გუგუნავა, დავით მაჭუტაძე, გიორგი ერისთავი (ავტორის ბაბუა), მზეხა ჭყანია, მაქსიმე ერისთავი, ბეჟუქენ გურიელი და სხვები.

პატრიოტული გრძნობები ჩააქსოვა ღრამატურგმა მეორე ნაწარმოებშიც „ლაზისტანის უკანასკნელი მფლობელნი“, რომლის სიუჟეტი მთლიანად აჭარისა და ლაზეთის ცხოვრებიდან არის აღებული. თავდაპირველად კ. ერისთავს იგი პოემად ჰქონია დაწერილი, ხოლო 1926 წელს კინოსცენარად გადაჟუქეთებია.

საყურადღებოა, რომ სახკინ-მრეწვის მიერ 1926 წელს გამოცხადებულ კონკურსზე წარდგენილ 155 კინოსცენარიდან ექვსს მიეკუთვნა პრემია, მათ შორის კ. ერისთავის კინოსცენარს, რომლის ავტორი 300 მანეთით დაუჯილდოვებიათ.

კ. ერისთავის მოთხოვნებიდან ყურადღებას იმსახურებს „ყანა-ალმალ“ („სისხლის აღება“), რო-

მელიც სოლომონ ცაიშვილის აზრით ავტობიოგრაფიული თანამდებაა და მასში მოთხოვნებილია პროცესზე, რომელიც ა. ბერსის მიერ შეთითხნილი საქმის გამოშედგა. მართალია, მოთხოვნაში ბევრგან არის ეპიზოდები კ. ერისთავის ბიოგრაფიიდან, მაგრამ პროცესზე, რომლის მსვლელობა ფართოდ არის გაშუქებული „დროებაში“, ძალზე ცოტაა ნათქვამი, ამიტომ ამ ნაწილში ღვაწლმოსილ მკვლევარს ვერ დავეთანხმებით.

მოთხოვნა „ყან-ალმალ“-ის სიუჟეტი ძირითადად აჭარის, ქობულეთის სოფლებიდან არის აღებული. პერსონაჟების უმრავლესობა ისტორიული პირები არიან.

მოთხოვნაში ასახულია სისხლის აღების ჩვევა, რასაც აღგილი ჰქონდა ძველ აჭარაში.<sup>8</sup>

თავის ნაწარმოებებში კოწია ერისთავი ფართოდ იყენებს აჭარულ-შავშურ დიალექტს, რითაც ნათლად ირკვევა, რომ მისი ავტორი აღრიღანვე კარგად იყო დაუფლებული ამ კუთხეების ცოცხალ მეტყველებას. ყოველივე ეს კ. ერისთავის ნაწარმოებებს საინტერესოს და პოპულარულს ხდის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კოწია ერისთავის აქტიორული მოღვაწეობა. ვისაც ალ. წუწუნავას მიერ 1927-1928 წლებში შექმნილი კინოფილმი „ჭანყი“ უნახავს, არასოდეს დაავიწყდება ბატონიშ-

8 კ. ერისთავი. ყან-ალმალ. ტფილისი, 1930.

ვილის სახე. ერთ-ერთ წამყვან როლს 70 წელს მიღწეული კოშია ერისთავი ასრულებს. აქ ნათლად ჩანს მისი შინაგანი არტისტიზმი. ეკრანის შესაფერისი მიხერა-მოხ-ვრა, ძალდაუტანებელი უესტი.

მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ კ. ერისთავი ამ ფილმის კონ-სულტანტი გახლდათ. კ. ერისთავის გვერდით თამაშობლნენ მსახიობები, რომლებიც მისი ახლო ნათესავების და სხვა რეალური პიროვნებების სახეებს ქმნიდნენ. ერთი მათგანია სამეცნიეროს ჯარის წინამდლოლი, კოშიას ბაბუა ოტია ჯაიანი (მსახიობი ბარდლა კორძაია), აგრეთვე ხასანბეგ თავდგირიძე (ქ. ანდრონიქაშვილი), მისი ძმა, რომლის როლს ასრულებს ყედემ ჭყონია. ტელემაკ გურიელი ფილმში თავის თავს აასახიერებს.

კოშია ერისთავი პოპულარული პიროვნება იყო; მას განსაკუთრებით პატივისცემით ეპყრობოდნენ აჭარაში. იმ დროისათვის შეზობელ გურია-აჭარასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი არ გადაწყვეტილა ისე, რომ კ. ერისთავს მონაშილეობა არ მიეღოს. მასთან ხშირად ჩადიოდნენ აჭარის მცხოვრებლები და კოშიას მეშვეობით თთქმის ყველა საქმე დავისა და კონფლიქტების გარეშე წყდებოდა.

კოშია ერისთავი თავისი ახლო ნათესავების: შერიფ, ნური, თემურ ხიმშიაშვილების და თუთან შერვაშიძის გარდა კარგად იცნობდა აჭარის მაშინდელ მოწინავე

ადამიანებს: მემედ ჭყონია, დედონი ნიუარაძეს, რეჯებ შაშიკაშვილს, ალიაღა სირაძეს. ამ უკანასკნელს ბევრჯერ მეც შევხვედრივარო, გვიამბობს კოშიას 84 წელს მიღწეული ვაჟი, გიორგი ერისთავი, ბევრჯერ მომსამენია მისი მახვილი იუმორი, აგრეთვე ხუსეინ ბაჯელიძის ტკბილი ხმა, ყურშუმ ჭყონიასა და რეჯებ ნიუარაძის დარბაისლური, ძველქართული სჯაბაში; ასევე საინტერესო ამბებს გვიყვებიან გიორგის დები ჩუტა და მარიამი.

ნური ხიმშიაშვილთან ერთ-ერთ შეხვედრას გიორგი ასე აღწერს: მაშინ 12 წლისა ვიქენებოდი, გუბერნატორი ახლად შეცვლილი იყო, მამამ ქუთასში ჩამოგვიყვანა, სასტუმროში გაეხერდით. ქალაქში ცოტა ხნით გასულ მამას მაღალი, საკმაოდ ხანშიშესული, ჩოხა-ახალუხში და მოსირმულ ყაბალახში გამოშეყობილი, პოდპოლკოვნიკის სამხრებანი კაცი შემოყვა. „დედაქემის ბიძაა“ — მითხრა მამამ. საუბრიდან გავიგე, რომ ეს კაცი ნური ხიმშიაშვილი იყო, მის შესახებ სხვა დროსაც ბევრი კარგი რამ გამეგო, დიდი მგზნებარებით ლაპარაკობდა, ლამაზი ქართულით, შიგა და შიგ მთიულურ-ხევსურულსაც გამოურევდა ხოლმე.

— ასეთ დროს შავშეთიღან ქუთასში რამ ჩამოგაღდოო — ჰეითხა მამამ ნურის.

— ეჲ, ჩემო კოშია, დღეს ერთი ქუთასელიც შემეკითხა და პირდაპირ მივახალე — სამსახურმა

ჩამომიყვანა-შეთქი, მაგრამ გზა-  
ზე, სანამ შენ გადაგეყრებოდი,  
ერთი ამბავი გამახსენდა, მამაჩე-  
მის ნაამბობი: ერთ გლეხს ცხენის  
გაყიდვა გადაეწყვიტა თურმე, მა-  
გრამ ყველა მომსვლელი ცხენს  
პირს უღებდა, კბილებს უსინჯავ-  
და, რატომდაც ყველა იწუნებდა.  
ხალხთან შეხვედრისას ისე მიეჩ-  
ვია ცხენი ამას, რომ თუ ვინმე  
ეზოში ჩაივლიდა, პირს თავისით  
ალებდა და კბილებს აჩვენებდაო.  
ასე ჩემი საქმეც. გუბერნატო-  
რებს ხშირად ცვლიან და ყოველ  
შეცვლაზე ჩემი სახლობდან, შა-  
ვშეთიდან, მეც ჩამოვგირითდები  
ქუთასში, ვეჩვენო, რომ სამსახუ-  
რიდან გაგდებულს ცუდი რაიმე  
არ დამწამონ.

„ა. ბერსის მიერ მოწყობილი  
ინტრიგის დროს — გვიყვება გი-  
ორგი, მის სახლში გამალებული  
სროლა ატყდა. ჩინვნიკის მოს-  
ყიდულმა აგენტმა მიზანში ამოი-  
ლო კ. ერისთავი, მაგრამ მას მისი-  
ვე ასეულის ერთ-ერთი წევრი  
ზენდიდელი ბეჭანიძე ამოეფარა  
და საკუთარი სიცოცხლის ფასად

იხსნა იგი. ამ ქსელიდან დაშავდა  
კოწიამ თავი დაალწია რეზებ შა-  
შიკაშვილის დახმარებით. კეთილი  
მეგობრების წინაშე არც კოწია  
რჩებოდა ვალში. ბათუმის ყავა-  
ხანაში ერთ-ერთ აჭარელს ვიღაც  
მთვრალმა ოფიცერმა სილა გააწ-  
ნა, შეურაცხყოფილმა მყისვე და-  
ნა იშიშვლა, მაგრამ ხალხი ჩაერია  
და ოფიცერი გააპარეს. კოწია ერ-  
ისთავი ბათუმის ბულვარში შეხვ-  
და ამ ოფიცერს, დუელში გამოი-  
წვია და დასჭრა. მაშინ დუელი  
აკრძალული იყო. ამ შემთხვევის  
გამო კ. ერისთავი რამდენიმე  
დღეს კარცერში ყავდათ გამომწ-  
ყვდეული. მისი დამსახურება რომ  
არა, ალბათ პატიმრობასაც მიუს-  
ჯიდნენ“.

კოწია ერისთავზე კიდევ ბევ-  
რის თქმა შეიძლება, მაგრამ ესეც  
კმარა იმისათვის, რომ იგი დავა-  
ყენოთ იმ მამულიშვილთა გვერ-  
დით, რომლებმაც ღირსეული  
წვლილი შეიტანეს აჭარის მოსახ-  
ლეობის ეროვნული თვითშეგნე-  
ბის ამაღლებისა და კულტურული  
განვითარების საქმეში.



# თუმანის წერილი

ესახლებოდა პასახე

## მესახელი კაღაიძოსეკოა

- რას იცინი?
- ბიჭი შემეტინა.
- ოოო, მომილოცავს!!!
- მოიცა, კაცო, ფერ ცოლმა არ იცის!
- რა ისმის ტელევიზორში?
- რადიო-პროგრამა.
- რაღიოში?
- ტელეპროგრამა.
- რა ღირს ეს მონაღირე ძაღლი?
- ფერ პატარაა, ყეფა არ იცის...
- ყეფას მეზობლებისგან ვასწავლი.
- თქვენს შვილს სკოლაში „დაისი“ უპოვნეს!
- ნოტების პარტიტურა?
- პაპიროსი.
- მანქანის მართვა იცი?
- დაძვრა ვიცი, გაჩერება არა.
- საკმარისია. მიღებული ხართ მძღოლად.
- ეს ავალმყოფი მუნჯია?
- არა, იჩივლა ექიმი ფულს მთხოვსო და გლანდებთან ერთად ენაც ამოაგლიფეს...
- ალარ გიყიდი დედა-ენას“...
- მე ვიყიდი, თვითონ!

- ფულს როგორ მოაგროვებ?
- პაპიროსის წევას თავს დავანებებ!
- ერთხელ, ქუჩაში, ცოლის თხოვნით ჩიტი დავიჭირე, შემთხვევით...
- მერე?
- ახლა ყოველ დღეს მოხოვს: „კიდევ დამიჭირეო!“
- ხევსური! აი, ესაა ზღვა!
- დედილავ!!! რამხელა არაგვი ყოფილა!!
- რა იყიდა ჩემმა ქმარმა?
- ფანქარი.
- დავაყარე მიშა, — მაშინ მე საშლელი მომეცით.
- ალო! ამხანავონ ნოშრევან, თქვენ უნდა შეამოწმოთ კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებინა სამეურნეო შემმოწმებელი ბიურო, რომელიც ამოწმებდა ბრიგადას, კიტრის მოსავლის შემოწმებისას...
- წარმოგიღგენია? შვიდივე ტყვია სამიზნეზე მაღლა ცაში წამივიღა! აბა, ჩემგან რა უნდა გამოვიდეს?
- მაყარი.
- მამა, ბრაზილიელებს რატომ ვერ ვუგებთ ფეხბურთში?
- ცალი ხელით კენგურუს იჭერენ ჯუნგლებში.
- დაგიჭირე! კენგურუ მარტო ავსტრალიაშია...
- რას მოგიშენია, დავით?
- ჩემი ცოლი ვენერა ახალ კაბას მოხოვს.
- მერე, შენ რა უთხარი?
- ვენერა მილასელს კაბა სულ არ ეცვა-მეთქი...
- მერე? იმან რა გითხრა?
- კოსტუმი დამიმალა: „შენც მიქელ-ანჯელოს დაგითივით იარეო“...
- თქვენ ბავშვის დედა ხართ და უნდა გრცხვენოდეთ!
- მე ბავშვის დედა კი არა, ბავშვის მამა ვარ...
- ეს კაცი თქვენი ძმაა??
- ძმა კი არა, ჩემი ცოლია!
- დაუძახეთ თქვენს ქალიშვილს!
- მე ვაუიშვილი ვარ, ბიძია!!!
- არც მე ვარ ბიძია, დეიდა დამიძახეთ...

622/142

СОЮЗ СОВЕТСКИХ  
ЗАЩИТИТЕЛЕЙ

ЗДЕЛ 40 №5.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ  
„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 76118